თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავთანდილ ბუცხრიკიძე

პოლიტიკური ლიდერი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 1996

66 (2Г)
32 (179.22)
ბ99

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას და ერთ-ერთი პირველი ცდაა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ამ სახით ისეთი აქტუალური და პრაქტიკულად ღირებული პრობლემის შესწავლისათვის, როგორიცაა პოლიტიკური ლიდერი.

დღევანდელ საზოგადოებრიობაში ნამდვილი ჭეშმარიტი პოლიტიკური ლიდერების დეფიციტის პირობებში აღნიშნული ნაშრომი უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს პოლიტიკის სფეროში მოღვაწე ყველა პიროვნებას.

წიგნი განკუთვნილია პოლიტოლოგების, პოლიტიკოსების, სტუდენტებისა და პოლიტიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: დოც. ვ. შ უ ბ ი თ ი ძ ე
რეცენზენტები: პროფ. შ. თ ე თ ვ ა ძ ე
დოც. ი. გ ი ო რ ბ ე ლ ი ძ ე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

ვუძღვნი მამის გიორგი (ჟორა)
აკაკის ძე ბუცხრიკიძის ნათელ
ხსოვნას

შესავალი

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების სწრაფმა ცვალებადობამ და ახალმა ღირებულებითმა ორიენტაციებმა განაპირობა პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის შესწავლის აუცილებლობა. ამდენად, იგი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყურადღების ცენტრში მოექცა. სოციალური მარკეტის პრობლემების სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ გამოკვლევებში განსაკუთრებული ადგილი პოლიტიკური ლიდერობის პრობლემას ეთმობა.

აღნიშნული პრობლემის- შესაწავლის თვალსაზრისით, მეცნიერული კვლევა-ძიების სამი პერიოდი გამოიყოფა: პირველი დაკავშირებულია ევროპის კონტინენტის ცენტრში ფაშისტური რეჟიმის დამყარებასთან. ამ გარემოებამ გამოიწვია ფართო მეთოდოლოგიური კვლევა-ძიების წამოწყება, განსაკუთრებით დასავლეთის პოლიტოლოგიასა და სოციოლოგიაში.

მეორე პერიოდი უკავშირდება, ერთი მხრივ, კოლონიური სისტემის მსხვრევის შედეგად განთავისუფლებული ქვეყნების წინაშე მდგარი სოციალური და პოლიტიკური მოდერნიზაციის აუცილებლობას და, მეორე მხრივ, საბჭოური დიქტატორულ-ბიუროკრატიული რეჟიმის დამკვიდრებას მსოფლიოს ზ. ევროპა რეგიონში (მაგალითად, საბჭოთა ამერიკაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბალკანეთ-აღმოსავლეთ აზიაში). ამ პერიოდში ინტენსიური მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის შესახებ, მეცნიერული ცოდნისა და მისი გამოკვლევის კანონზომიერების მრავალი ახალი ასპექტი დადგინდა, ამასთან, ზოგიერთი საკითხი დეტალურად იქნა შესწავლილი.

პოლიტიკური ლიდერობის პრობლემის მეცნიერული კვლევა-ძიების მესამე პერიოდის შინაარსი განპირობებულია, ე.წ. „აღმოსავლეთის სოციალიზმის" პოლიტიკურ-იდეოლოგიური კრახით, ამასთან, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში დემოკრატიზაციის პროცესის ჯ-

ვითარებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ევროპისა და კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში სეპარატისტული რეჟიმის დამყარება და სამოქმედო ასპარეზზე მანიაკური ტოტალიტარული პოლიტიკური ლიდერების (ჯ.დუდაევი, ვ.არძინბა, კ.კარაჯიჩი და სხვ.) გამოსვლა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ მიმართულებით სათანადო კვლევა-ძიების გაფართოებაგაღრმავებას.

ის გარემოება, რომ პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა პრინციპულად იმის საფუძველსა და საშუალებას იძლევა, რომ მის შესახებ არსებობდეს როგორც არსობრივი, ისე ფაქტობრივ-ემპირიული მოძღვრება, ამჟამად შემეცნებითი ძიების მიერ სრული შესაძლებლობით არ არის წარმოდგენილი. ზოგან წინა პლანზე წმინდა არსობრივი შემეცნებაა მოცემული და ემპირიულ შინაარსზე არაფერია ნათქვამი, ზოგან კი მოცემული პრობლემის მთელი შინაარსი ემპირიული მასალით ამოიწურება. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მოცემული პრობლემის, როგორც არსობრივ, ისე ემპირიულ მხარესაც ეხება. მათ გამოკვლევათა ამგვარ სტრუქტურას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორის პრაქტიკულ ამოცანებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პოლიტიკური ლიდერობის შესახებ არსებული შემეცნების ბუნება, ექსტენსიური დახასიათებით, ემპირიულ ცოდნად გვევლინება. ბოლო ათწლეულებში, ლიდერის ფენომენის შესწავლის აქტუალობის საგრძნობლად ზრდის გამო, პოლიტოლოგთა და პოლიტიკურ სოციოლოგთა ძალისხმევა მიმართულია პოლიტიკური ლიდერობის არსისეული ცოდნის განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით, პოლიტოლოგიისათვის ასევე აქტუალური ხდება პოზიტიურ-ემპირიული მონაცემების მნიშვნელობის გარკვევა. თუმცა აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს იმ მეთოდსა, თუ მეთოდებზე, რომელთა გამოყენებითაც უნდა გადაწყდეს ესა თუ ის პრობლემა. უთანხმოების საფუძველი, ლიდერობის ფენომენის შემეცნების რაობისა და ლოგიკური სტრუქტურის შესახებ, სხვადასხვა თეორიული ვარაუდია. ამ ასპექტით ორი თვალსაზრისი უპირისპირდება ერთიმეორეს — ინდუქციური და დედუქციური. მოცემული მოვლენის შესასწავლად სიმრავლიდან გამოსვლას და შემდეგ ერთიანის მიგნებას, ჩვეულებრივ, ინდუქციურ მეთოდს უწოდებენ, ხოლო როდესაც ამოსავალ ფრაქციად გამოყენებულია ერთიანი მოცემულობა და მის საფუძველზე ხდება სიმრავლის კვალიფიკაცია, ამ შემთხვევ-

ხვევაში ლაპარაკია დედუქციურ მეთოდზე. ბაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თვითონ ამოცანის გადაწყვეტა საჭიროებს ორი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას, და მაშასადამე, თავისთავად ინდუქციაც და დედუქციაც კანონიერია.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის შესწავლას. მითუმეტეს რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თანამედროვე პირობებში ეს ფენომენი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თანამგზავრი გახდა და ერთდროულად იგი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის მაუწყებელიცაა.

საბჭოთა საქართველოში მრავალი წლის მანძილზე პოლიტიკური ლიდერები არ პრსებობდნენ. რესპუბლიკის სათავეში პარტიული ფუნქციონერები იდგნენ, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკური ლიდერის ნიშანთვისებებს და პოლიტიკური ხელმძღვანელების* როლს ასრულებდნენ. ყოველივე ზემოთქმულის გამო რესპუბლიკაში, ისე როგორც საბჭოთა კავშირში საერთოდ, ხდებოდა ბუნებრივი პოლიტიკური პროცესების ბლოკირება, რომლის ფარგლებშია მხოლოდ შესაძლებელი ლიდერობის ფენომენის წარმოშობა. საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობის მიერ პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა დამუშავებული არ ყოფილა,** რაც გამოწვეული იყო ორი გარემოებით: ჯერ ერთი, ჩვენს სოციოლოგიურ და ისტორიულ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში მთელი ყურადღება ტრადიციულ პრობლემატიკაზე იყო გადატანილი.

ეს ყველაზე ნათლად ჩანს ისტორიული მატერიალიზმის, მეცნიერული კომუნიზმის, სოციოლოგიის სახელმძღვანელოებში, სადაც, როგორც წესი, პოლიტიკური ლიდერობის საკითხი შეტანილი არ იყო. როგორც ჩანს, ავტორები ფიქრობდნენ, რომ ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ძირითადი პრობლემების დამუშავება იმთავითვე გულისხმობს პოლიტიკური ლიდერობის, როგორც ხელისუფლებრივი პროცესების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას და ამიტომ კანონზომი-

* სადისერტაციო ნაშრომში გარკვეულია ცნების — „ლიდერი", „ხელმძღვანელი" შინაარსობრივი განსხვავება.

** კვლევა-ძიება ძირითადად შემოიფარგლებოდა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მიერ მცირე ჯგუფებში ლიდერობის საკითხთა შესწავლით.

ერად არ მიაჩნდათ ერთი და იმავე საკითხების სხვადასხვა სახელწოდებით კვლევა.

მეორეც, პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის საკითხების კვლევა დაკავშირებული იყო ისეთ პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ მიმდინარეობებთან, რომელთაც, როგორც რეაქციული იდეოლოგიის გამტარებლებს, სახელი ჰქონდათ გატეხილი. დასავლეთის პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა ნააზრევის კრიტიკის დროს აქცენტი გადატანილი იყო არა წმინდა მეცნიერულ პრობლემებზე, არამედ ამ პრობლემების პრაქტიკულ-პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევ გადაწყვეტაზე. ნაცვლად იმისა, რომ ნაჩვენები ყოფილიყო, რამდენად მართებულია თვით ეს პრობლემა, ხდებოდა მისი უგულებელყოფა ამ პრობლემის საბჭოური საზოგადოებათმცოდნეობისათვის მიუღებელ გადაწყვეტასთან ერთად.

ამასობაში დასავლეთის პოლიტოლოგიასა და სოციოლოგიაში თანდათან აღმოცენდა სხვადასხვა თეორიული მიმართულებები და თვალსაზრისები (ელიტარული, ლიდერობის, ბიუროკრატიის თეორიები, მასობრივი საზოგადოების, სოციალური ინტეგრაციის კონცეფციები; პლურალისტული დემოკრატიის, ინდუსტრიული საზოგადოების, კონვერგენციის თეორიები; ნეომარქსიზმის ფრანკფურტის სკოლა, ფენომენოლოგიური, აკადემიური, გამოყენებითი, ალტერნატიული, სტრუქტურული, კოგნიტური, ე.წ. „გამგები“ და სხვ. მიმართულებები სოციოლოგიაში). შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ხდება ერთი და იმავე მასალის სხვადასხვაგვარი გააზრება და სხვადასხვა კონცეფციები ერთ-ერთს არგუმენტებით უპირისპირდება. პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის დინამიკის, განვითარებისა და ფუნქციის ასახსნელად აუცილებელია პოლიტიკური სოციოლოგიის მეთოდების გამოყენება. ამ მეთოდების გამოყენების მართებულება საბუთდება იმ ზოგადი მოსაზრებებით, რომლითაც პოლიტიკური ლიდერობის რეალიზაციის პროტაგონისტი წარმოადგენს პოლიტიკური ლიდერი, როგორც ხელისუფლებრივი ფუნქციის განმახორციელებელი.

მართალია, ლიტერატურა უხვია, მაგრამ ამ საკითხთა სრული კლასიფიკაცია ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში არ შემოდის. გამოვყობთ მხოლოდ პრობლემისადმი მიდგომის იმ სახეობებს, რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, უმთავრესია და მათ ილუსტრირებას წარმოვადგენთ სათანადო ანალიზითა და ინტერპრეტაციით.

თავი პირველი

პოლიტიკური ლიდერის ცნება და წარმოშობის კონცეფციები

პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური კვლევა-ძიება პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის კონკრეტულ განხილვას მოითხოვს. ეს კი ნიშნავს, ლიდერის პიროვნება გავარკვიოთ არა მხოლოდ მისი ზოგადი — სოციოლოგიური ნიშნების საფუძველზე, არამედ იმ ნიშნების, თვისებების, თავისებურებების საფუძველზეც, რომლებიც დამახასიათებელია მისთვის, როგორც ამა თუ იმ ეპოქაში, ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, ამა თუ იმ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, პოლიტიკურ სისტემაში მოქმედი პიროვნებისათვის, როგორც ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის, კლასის, ეროვნების წარმომადგენლისათვის. პოლიტიკური ლიდერი, როგორც კონკრეტული პიროვნება, საყოველთაო, ზოგად ნიშნებთან ერთად, განსაკუთრებული და სპეციფიკური ნიშნების მატარებელია. ყოველი ლიდერი თავისი ეპოქის პროდუქტია. მოცემული ეპოქის განვითარებისა და ცვალებადობის კანონები, მისი თავისებურებანი მას აყალიბებს, როგორც სხვა ეპოქის ლიდერისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებული ნიშან-თვისებების მქონე ფენომენს. მოცემული ეპოქის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში პოლიტიკურ ლიდერს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის ამა თუ იმ ერის, კლასის, სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი. სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის ამ ელემენტებთან ურთიერთობა აყალიბებს პოლიტიკურ ლიდერს, განსაზღვრავს მის თავისებურებებს, განსაკუთრებულ ნიშნებს, რომლითაც ის უახლოვდება თავისი კლასის, სოციალური ჯგუფის, ერის წარმომადგენელ ლიდერებს და განსხვავდება სხვა ეპოქისა და სოციალური ერთობის ლიდერისაგან.

ლიდერი არ შემოიფარგლება ზოგადი და განსაკუთრებული ნიშნებით. მას ამ ნიშნებთან ერთად ახასიათებს ერთეული, ცალკეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც მრავალი სხვადასხვა ფაქტორით განისაზღვრება. ლიდერს ყოველ ისტორიულ ეპოქაში, ხოლო ეპოქის ფარგლებში „თავის“ პოლიტიკურ სისტემაში სხვებისგან

განსხვავებული ადგილი უჭირავს. ეს ხასიათდება ცხოვრების ბუნებრივი, და, პირველ რიგში, სოციალური პირობებით, რაც განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ თავისებურებებს. აქვს სხვებისაგან განსხვავებული ბუნებრივი და სოციალური ნიშნები: ფიზიკურ-ბიოლოგიური აგებულება, ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭი, მიდრეკილებები, მიზნები. ლიდერის ინდივიდუალური თავისებურებების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის ურთიერთობები, რომლებიც მისი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ სარბიელზე ყალიბდება. ამდენად, ნიშან-თვისებათა მთელი რიგი ერთობლიობა ყოველ პოლიტიკურ ლიდერს განსხვავებული აქვს.

პოლიტიკური ლიდერის ინდივიდუალობა, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება მის, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სუბიექტის მოქმედებაში, მოღვაწეობის პროცესში, იმ როლში, რომელსაც ასრულებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, აგრეთვე ლიდერის ხასიათში, ფსიქიკურ თავისებურებებში. ეს ნიშნები კი სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა მოქმედებით ჩამოყალიბებული ნიშნებია და, ამდენად, ლიდერის, როგორც პიროვნების, ინდივიდუალობა სოციალურად დეტერმინებულია.

პოლიტიკური ლიდერი სოციალური ერთობის (დიდი სოციალური ჯგუფის — კლასის, ერის, საზოგადოებისა მთლიანად) ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელია, რომლის მიმართ სოციალური ერთობა, ამ ერთობისათვის მნიშვნელოვან სიტუაციებში, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა მიღების უფლებას ცნობს. პოლიტიკური ლიდერი რეალურად ასრულებს ცენტრალურ როლს სოციალური ერთობის ერთობლივი სოციალური და პოლიტიკური მოქმედება-მოღვაწეობის ორგანიზებასა და სოციალურ ერთობაში ურთიერთობათა რეგულირების საქმეში.

პოლიტიკური ლიდერი ძირითად სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს საკუთარი, ინდივიდუალური და „თავისი გუნდის" შესაძლებლობების მიხედვით სახავს. მაშასადამე, იგი ინდივიდუალური და განსაკუთრებული მიზნით მოქმედებს და ამიტომაც მისი მოღვაწეობა სოციალურ-პოლიტიკური პროცესების სფეროში ინდივიდუალური და განსხვავებული დამოკიდებულებით ხასიათდება. თავისი განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური მიზნის განხორციელებისას, პოლიტიკური ლიდერი, ამასთან, ჩვეულებრივ იზიარებს მოცემულ საზოგადოებაში და სოციალური განვითარების მოცე-

მულ ეტაპზე მოქმედ საყოველთაო სოციალურ იდეალს, ან შესაძლოა, კრიტიკულად ეკიდება ამ უკანასკნელს და მის დაძლევას ცდილობს. ასეთ შემთხვევაშიც პოლიტიკური ლიდერი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მიზანს საყოველთაო სოციალური იდეალის მიხედვით სახავს.

პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ლიდერობა დაკავშირებულია ხელისუფლებრივი ფუნქციების განხორციელებასთან. „უნდა ვივარაუდოთ, — წერს ამერიკელი პოლიტოლოგი ჯ.ბლონდელი, — რომ პოლიტიკური ლიდერობა წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ყველაზე უფრო ზოგად ფორმას".[1] აღსანიშნავია, რომ საკითხის ამგვარი ინტერპრეტაცია, ჩვენი შეხედულებით, სრულიად მართებული და კანონზომიერია, ვინაიდან პოლიტიკური ლიდერი საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისას ხელისუფლებრივ მექანიზმებს საჭიროებს.

ამასთან, პოლიტიკური ლიდერი, ბუნებრივია, გულგრილი და ინდიფერენტული არ არის იმ სამოქმედო მეთოდების, საშუალებებისა და მისაღწევი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციისადმი, რომელთა გადაჭრაც აუცილებლობას წარმოადგენს. ამიტომ, იგი ყოველთვის ირჩევს განსხვავებულ შესაძლებლობებს, მათ შორის სხვებზე მეტად სრულყოფილს და, მაშასადამე, სხვებზე მეტად, ერთი მხრივ, სამოქმედოდ გამოსაყენებელსა და, მეორე მხრივ, განხორციელების თვალსაზრისით კანონზომიერს.

ამასთან ერთად, ხელისუფლების სათავეში მდგომი პოლიტიკური ლიდერი არ შეიძლება არ იყენებდეს იძულების ხელისუფლებრივ ბერკეტებს, მაგრამ მაინც მის ძირითად რესურს წარმოადგენს ზემოქმედება „თავის" სოციალურ ერთობაზე.

პოლიტიკური ლიდერობის მექანიზმი წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრული წესების სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს „პირველი პირის", როგორც ლიდერობის მატარებლის ხელისუფლებრივ სტრუქტურებში ჩაბმისა და ლიდერის მიერ ხელისუფლების განხორციელების უმნიშვნელოვანეს პროცესს.

პირველი პირის, როგორც ლიდერობის მატარებლის, პრობლემა არსებითად, ხელისუფლების პერსონიფიცირების პრობლემას წარმოადგენს. ეს

1. Blonded I., Political Leaderschip, N. Y. 1977, p. 17.

არის ხელისუფლების შერწყმა პოლიტიკური ლიდერის პიროვნულ თვისებებთან და მათი გადატანა მისი მოღვაწეობის შინაარსსა და მის გარემომცველ პირობებზე.

დასავლეთისა და ყოფილი სოციალისტური სამყაროს პოლიტოლოგია კარდინალურად საპირისპირო პოზიციიდან განიხილავს პირველი პირის — პოლიტიკური ლიდერობის მატარებლის პრობლემას.

პოლიტიკური ლიდერის ხელისუფლებრივი სტრუქტურების თვითნებობისაგან, საზოგადოების დაცვის მექანიზმის ძიებაში, დემოკრატიზაციის განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნების პოლიტოლოგთა ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შემუშავებულ იქნეს სამართლებრივი სახელმწიფოს მოდელი, სადაც „მართავენ კანონები და არა პიროვნებები". დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის დემოკრატები პრიორიტეტს ანიჭებენ ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი ხელმძღვანელის — პოლიტიკური ლიდერის არჩევას.

პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში გარკვეულია ცნებების — „ლიდერი", „ხელმძღვანელი" შინაარსობრივი განსხვავება. პოლიტიკური ლიდერი სპეციფიკური „ბუნებრივი შერჩევის" პროდუქტია. მისი გამოჩენა სოციალურ-პოლიტიკურ სამოღვაწეო ასპარეზზე სტიქიურად ხდება. ავტორიტეტისა და სოციალურ ერთობებზე პიროვნული ზეგავლენის გამო პოლიტიკური ლიდერი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში, — ე.ი. არსებითად ახორციელებს ხელისუფლებრივ ფუნქციებს.

პოლიტიკური ლიდერობის ფენომენი თავს იჩენს პრობლემურ სიტუაციებში, როდესაც საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციები და მათი კონკრეტული გამოვლინება უშუალოდ უკავშირდება მოქალაქეთა ინტერესებსა და მიზნებს, სოლო-საზოგადოების-მმართველ უმცირესობას — ელიტას — უხდება მოვლენების ცვალებადობა-განვითარების ადეკვატური და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღება, რაც აუცილებლად საჭიროებს არსებული ვითარების ყოველმხრივ სოციალურ-პოლიტიკურ ანალიზს. რადგანაც ყველა სოციალურ ჯგუფში, განსაკუთრებით დიდ სოციალურ ერთობაში (მაგალითად, ერში), საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენები და ხდომილებანი, თითქმის ყველა შემთხვევაში, განსხვავებულად ამა თუ იმ ინ-

ტენსივობით, ეხება მისი წევრების სასიცოცხლო ინტერესებს, ამდენად, ვითარების შეფასებაც სხვადასხვანაირია, ისე, როგორც ნეგატიური მოვლენების დაძლევის მიზნით შემუშავებული ღონისძიებანი. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავება და მათი დაპირისპირებულობა.

ჩვეულებრივ, პოლიტიკური ლიდერი უნდა ფლობდეს შეკმნილი სოციალური და პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზის უნარს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამას გარდა, ლიდერს უნდა ჰყავდეს ადეპტები (მიმდევრები), მომხრეები, ე.ი. საკმაოდ ავტორიტეტიანი პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს. ყოველივე ზემოთქმული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება არაოფიციალურ პოლიტიკურ ლიდერებს და მათ ქმედება-მოღვაწეობას.

პოლიტოლოგთა, სოციოლოგთა და სოციალურ ფსიქოლოგთა შეხედულებით, ხელმძღვანელი, ლიდერისაგან განსხვავებით, შეგნებული, ცნობიერი — „შერჩევის" პროდუქტს წარმოადგენს. მისი დანიშვნა ან არჩევა, ანუ ხელისუფლებრივი ფუნქციებით აღჭურვა, ხორციელდება მიზანდასახულ ღონისძიებათა შედეგად, სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების შესაბამისი ელემენტების კონტროლით. ლიდერობისაგან განსხვავებით, ხელმძღვანელობა სტაბილურ ფენომენს წარმოადგენს.[1] მას კანონით მეტ-ნაკლებად მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი ენიჭება, რომლებიც არაფორმალურ პოლიტიკურ ლიდერს არ გააჩნია.

როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, თითქმის ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა იწყება არაოფიციალური, არაფორმალური ლიდერობის ფენომენის გამოჩენით სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე, ყოველ შემთხვევაში ამ მოძრაობის საწყის ეტაპზე.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოფიციალური ხელმძღვანელების პარალელურად ხშირად საკმაოდ აქტიურად მოქმედებენ არაფორმალური ლიდერები, რომელთა სოციალური როლი საგრძნობლად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციებში. იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალურ ხელმძღვანელობას არ შესწევს უნარი საზოგადოებას შესთავაზოს კრიზი-

---

1. პოლიტოლოგიის საკითხები, №1, თბ., 1992, გვ. 38.

სული მოვლენების გამომწვევი მიზეზების ობიექტური შეფასება და არსებული კრიტიკული სიტუაციის დაძლევის ადეკვატური ლონისძიებანი, ამას განახორციელებს სოციალური ერთობის რომელიმე წევრი და თუ მას მომხრეები და მიმდევრები ჰყავს, მაშინ ასეთ პირობებში წარმოიშობა საზოგადოებრივი მოძრაობა.) არაოფიციალური ლიდერი შესაძლებელია ახალი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის, ან ახალი პოლიტიკური გაერთიანების, ახალი პარტიის ლიდერი გახდეს. მოვლენათა გარკვეული, მათთვის ხელსაყრელი მსვლელობის პირობებში არაფორმალურმა ლიდერებმა, შესაძლებელია, შეცვალონ ოფიციალური ხელმძღვანელები და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში „საკომანდო სიმაღლეები" დაიკავონ.[1]

კონკრეტულ პოლიტიკურ პრაქტიკაში ლიდერობისა და ხელმძღვანელობის თანაფარდობა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად იჩენს თავს. გარკვეულ პირობებში შეიძლება ერთ პიროვნებაში შეთავსებული იყოს ლიდერი და ხელმძღვანელი. სხვა შემთხვევაში, მათ ურთიერთობამ, შესაძლებელია, მიიღოს ვარიანტული ხასიათი — თანამშრომლობიდან კონფრონტაციამდე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული სოციალური ერთობის ფარგლებში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი ფუნქციონირებდეს.

გამოხატავენ რა სოციალურ ერთობათა ინტერესებსა და განწყობილებებს, პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ მოვლენათა მსვლელობაზე. ამასთან, რაც უფრო სრულად გამოხატავს ლიდერი სოციალური ერთობის ინტერესებსა და განწყობილებებს, მით უფრო ინტენსიურად გამოვლინდება მისი პიროვნული თვისებები, რაც მას სოციალური პროცესის სუბიექტად ხდის. პოლიტიკური ლიდერის მდიდარი, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობებიდან განმსაზღვრელი და ზოგადმნიშვნელოვანია მისი კავშირი იმ სოციალურ ერთობასთან, რომლის ინტერესებსაც იგი წარმოადგენს. მაგრამ ანალოგიური ვითარება ფატალური გარდუვალობით არ განაპირობებს ლიდერის ქცევას. აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული მისი შედარე-

1. როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკაში, როდესაც ეროვნული მოძრაობის ლიდერები ახალი სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელები — პოლიტიკური ლიდერები გახდნენ.

ბითი დამოუკიდებლობა, აქტიურობა და ლიდერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გარკვეულწილად სუბიექტური ხასიათი.

ზოგჯერ, და არცთუ ისე იშვიათად, ერსა და იმავე საზოგადოებრივ პირობებში, ერთი და იმავე სოციალური ერთობის წიაღში ყალიბდებიან განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსის პოლიტიკური ლიდერები. ისინი შეიძლება იყვნენ კონფორმისტები, რომლებიც თავისი მოქმედებით სოციალური ისტორიის პირდაპირ დინებას მიჰყვებიან და ისინი, რომლებიც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიარღვევენ ტალღებს, ძლევენ რა ინერციას, ბიუროკრატიულ რუტინასა და კონსერვატიული უმრავლესობის წინააღმდეგობას, ინერტულობას, საზოგადოებრივ პასიურობას, პოლიტიკურ აპათიას.

„[დიდი გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოლიტიკური ხაზის მიღმა საკმაოდ ხშირად სიმართლე კი არა, არამედ ძლიერებაა. ძლიერი განსაზღვრავს პოლიტიკას, მისი ძლიერება კი — მისი პოლიტიკის სისწორეს. „ადამიანი, ამ შემთხვევაში, საშუალებაა, და არა მიზანი, ამიტომ მართლდება ის, ვინც იმარჯვებს. ამდენად, ისტორიული სამართლიანობა საკუთარი სუბიექტური ცნებაა“.]

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ბერტრან რასელი (1872-1970) სოფისტი თრაზიმაქეს აზრს იზიარებს: „სამართლიანობა არის ის, რაც ძლიერისათვისაა სასარგებლო. ამ თვალსაზრისით იგი პლატონს უპირისპირდება, რომელიც თავის ძირითად დიალოგში — „სახელმწიფო“ თრაზიმაქეს დებულებას აკრიტიკებს.“[2]

ისტორიულ-პოლიტიკური ლიდერები, რომელთა სახელებს დიად საქმეებს უკავშირებენ, ხშირად საკუთარ თავს ველარ ცნობდნენ იმ დახასიათებით, რომელიც მათ ისტორიაში ჰქონდათ. მათი ცხოვრება საუკუნის შემდეგ უკვე მითიურ სახეს იღებდა. ადამიანის გაღმერთების ეს ფორმა, — შენიშნავს არნოლდ ტოინბი (1889-1975), ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი, — უარესია, ვიდრე ბუნების გაღმერთება.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ვსვდებით ლიდერობის ფენო-

---

1. Lessing Th., geschichte als sinngebung dessinnlosen, Munchen, 1979, s. 237.

2. Рассел Б., История западной философии, М., 1957, гз. 137.

მენის წარმოშობის პერიოდებს. ერთ-ერთია ქრონოლოგიურად ადრეული, ე.წ. „ლიდერობის თვისებათა" თეორია, რომელიც ეფუძნება მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანულ ფსიქოლოგიას (ვ.ვუნდტი და მისი სკოლა; ვიურცბურგის სკოლა — ო.კიულპე, კ.ბიულერი და სხვ.; ლაიფციგის სკოლა — ფ.კრიუგე და სხვ.; ინტროსპექტიული ფსიქოლოგია).

ამ თეორიის მიმდევრები ყურადღებას უმთავრესად ლიდერის თანდაყოლილ თვისებებზე ამახვილებდნენ. მათი აზრით, ლიდერი შეიძლება გახდეს მხოლოდ განსაზღვრული ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მქონე პიროვნება. ლიდერობისათვის აუცილებელი თვისებებისა და მახასიათებლების კვლევას, გამოყოფასა და დესკრიფციას მკვლევართა მრავალი შრომა მიეძღვნა.

ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური სოციოლოგი ე.ბოგარდუსი ლიდერობისათვის აუცილებელ ხუთ უნივერსალურ თვისებას გვთავაზობს. წარმოსახვის ძალას, სოციალურ ხდომილებათა წინასწარგანჭვრეტისა და გათვალისწინების უნარს, მოქნილობას, მრავალმხრივობას, თავშეკავების უნარს.[1] მისი კოლეგის არტურ მილერის წიგნში „ლიდერობა" აღნიშნულია, რომ გამოჩენილი სამხედრო ლიდერების ტიპური წარმომადგენლები, ინდივიდუალური ფსიქიკური სტრუქტურით რომ გამოირჩევიან, ხასიათდებიან შემდეგი თვისებებით: გონივრულობით, სამართლიანობით, ენთუზიაზმით, ტაქტით, გამბედაობით, ხასიათის სიმტკიცით, შეუპოვრობით, ლოიალობითა და სხვა თვისებებით.

ლიდერობის ზოგად ნიშან-თვისებებს შორის ედუარდ მანსონი ასახელებს ინდივიდუალობას, ქცევისა და მოქმედების მიმზიდველ მანერას, თავდაჭერილობას, მხნეობას, თავაზიანობას, სამართლიანობასა და დისციპლინას.[2]

ბერტრან რასელი ავსებს რა ლიდერის თვისებების ნუსხას, აღნიშნავს, რომ „ლიდერის პოზიციის მოსაპოვებლად პიროვნება უნდა აღემატებოდეს ხელისუფალს ისეთი ნიშნებით, როგორიცაა — თავდაჯერებულობა, სწრაფი

---

1. იხ. E.S.Bogardus, Fundamentals of Social Psychology, N7, 1942, chap. 12.

2. იხ. Munson, E.I., The Managment of Men, N7, 1920.

და სწორი (ადეკვატური) გადაწყვეტილების მიღების უნარი".[1]

რობერტ მიხელსი გამოყოფს ლიდერის შემდეგ თვისებებს: „ძლიერ ნებისყოფას, შედარებით ფართო ერუდიციას, დაჯერებულობისა და რწმენის კატონისეულ[2] ძალმოსილებას და სხვა".

30-იანი წლების დამლევს ჩარლზ ბერდმა შეისწავლა ლიდერობის ნიშან-თვისებათა ანალიზის შემცველი ოცამდე შრომა და მოიძია 79 ნიშან-თვისება, რომლებიც გადმოცემულია აღნიშნულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში.[3]

ზემოთ მოტანილი მასალა საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ლიდერობის თვისებათა თეორიის ადეპტები სრულიად სუბიექტურად, სოციალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად, არამეცნიერული მეთოდიკით ხელმძღვანელობენ ლიდერობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესწავლისა და დადგენის პროცესში.

ლიდერის ნიშან-თვისებათა ერთობლიობის ფიქსირებას განსაკუთრებით გულდასმით ეწეოდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სოციოლოგია, რომელიც, არსებითად, ემპირიული ხასიათისაა და მისი საკვლევი აპარატი მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. სოციოლოგიური და პოლიტოლოგიური კვლევა-ძიება ამ შემთხვევაში მიზნად ისახავდა ლიდერობისათვის „გამოსადეგი" პიროვნებების შესარჩევად ტესტების სისტემის ასაგები პრინციპების შემუშავებას. დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ ლიდერობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ნუსხის შედგენის ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. გარდა ამისა, ლიდერობის თვისებათა თეორიამ, მოლოდინის საპირისპიროდ, ვერ შეძლო დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცა კითხვაზე — თუ როგორ ხდება ლიდერობის ფენომენის წარმოშობა.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი-თეორეტიკოსი ტალკოტ პარსონსი (1902-1979) „მოქმედების თეორიისა" და სოციოლოგიაში სისტემურ-ფუნქციური სკოლის ფუძემდებელი, აკრიტიკებს „თვისებათა თეორიას" ლიდე-

---

1. იხ. Russell B., Power, a New Social Analysis, N7, 1938.

2. კატონი მარკუს პორციუსი უფროსი (ძვ. წ. 234 — ძვ. წ. 149), ძველი რომის პოლიტიკური მოღვაწე. კატონი რომის დაპყრობითი პოლიტიკის ენერგიული მომხრე იყო, დაჟინებით მოითხოვდა კართაგენის აღგვას პირისაგან მიწისა.

3. იხ. Bird ch., Social Psychology, N7., 1940.

რობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების უტილიტარული და პოზიტიური ინტერპრეტაციის გამო.[1]

დროთა განმავლობაში „თვისებათა თეორიის“ კვლევის მეთოდიკის ნაკლოვანებანი აშკარა გახდა. ამიტომ მკვლევრებმა ახალი მეთოდიკის ძიება დაიწყეს.

სოციოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ლიდერის ქმედება, რომელიც სავსებით მისაღებია ერთი გარკვეული სიტუაციისათვის, სავსებით გამორიცხავს ლიდერის ქმედების ადეკვატურობას მეორე განსხვავებული სიტუაციისადმი. ეს თვალსაზრისი თანდათანობით იწყებდა დომინირებას სხვადასხვა მიმართულებების სპეციალისტთა გამოკვლევებში.

ამრიგად, „თვისებათა თეორიამ“ ადგილი დაუთმო ლიდერობის „სიტუაციურ თეორიას“. ამ კონცეფციალურ სქემაში „თვისებათა თეორიის“ დებულებები მთლიანად არ იყო უარყოფილი, მაგრამ ლიდერობა ძირითადად სიტუაციის პროდუქტად იქნა მიჩნეული.

სესილ გიბი ნაშრომში „ლიდერობის პრინციპები და თვისებები“ ხაზგასმით აღნიშნავს: „იმის ცდები, რომ ლიდერობა დავიყვანოთ ლიდერის სპეციფიკურ თვისებებზე, უნდა უარყოფილ იქნეს; ლიდერობის არსი ინდივიდში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ლიდერის იმ როლში, რომელსაც საჭიროებს განსაზღვრული სოციალური ჯგუფი. ამიტომ პიროვნება ლიდერი ხდება არა იმდენად პირადი თვისებების წყალობით, არამედ იმ კონკრეტული სიტუაციის წყალობით, რომელიც განპირობებულია ჯგუფის დეტერმინირებული შეფასებითა და მოთხოვნილებებით“.[2]

ამერიკელი სოციოლოგი ალბერტ მერფი ხაზს უსვამს განსხვავებულ სიტუაციათა არსებობის შემთხვევაში ლიდერობის თვისებათა „რეალისტურ ცვალებადობას“.

ლიდერობის „სიტუაციური თეორიის“ — სიტუაციონალიზმის — დასკვნა, იმის თაობაზე, რომ ლიდერი ვითარების ფუნქციას წარმოადგენს, გაზიარებულ არ იქნა მრავალი მკვლევრის მიერ. თვალსაჩინო შვეიცარიელი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და ლოგიკოსი ჟან პიაჟე (1896-1980) აღნიშ-

1. Parsons T., The structure of social action, N7, 1938, p. 126.
2. Gibb C.A., "The Principles and Traits of Leadership", Jurnal of Abnormal and Social Psychology", 1947, p. 281.

ნავდა, რომ: „სიტუაციონალიზმი მთლიანად უგულებელყოფს ლიდერის აქტიურობას“.[1]

სოციოლოგთა და პოლიტოლოგთა დიდი ნაწილის აზრით, ლიდერობის „სიტუაციური თეორია“ ლიდერს სიტუაციის ინსტრუმენტად მიიჩნევს და ეს გარემოება, ბუნებრივია, საგრძნობლად ამცირებს ლიდერის სოციალურ აქტივობას. „სიტუაციური თეორიის მიმდევრების ყურადღების მიღმა რჩება ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ლიდერს თავად ძალუძს ზეგავლენა მოახდინოს კონკრეტულ ვითარებაზე და წარმატებით გამოიყენოს იგი „საკუთარი“ სოციალური ერთობის სოციალურ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და არსებული პრობლემების გადასაჭრელად. „დიდი ლიდერი, — წერს ჰელენ ჯენინგსი, — გრძნობს სიტუაციას და იცის როგორ უზრუნველყოს სიტუაციის განვითარება გარკვეულ წერტილამდე, რათა შესაძლებელი გახდეს მისი გამოყენება“.[2]

სიდნეი ჰუკის ნაშრომში — „გმირი ისტორიაში“, — ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ლიდერი არ არის დეტერმინირებული სიტუაციით.

ამრიგად, ლიდერობის „თვისებათა თეორიის“ მსგავსად, „სიტუაციურმა თეორიამაც“, საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომისა და სოციალური გამოცდილების უგულებელყოფის გამო, ვერ მოგვცა ლიდერობის ფენომენის მეცნიერული გაგება. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ „სიტუაციის თეორიის“ ადეპტები მკაცრი კრიტიკული სიფრთხილით ვერ მიუდგნენ საკითხის კვლევა-ძიებას და ლიდერის ქმედება ფატალიზმისა და პასიურობის ჩიხში მოაქციეს.

ლიდერობის ფენომენის წარმოშობის ზემოხსენებულმა კონცეფტუალურმა პირობებმა („თვისებათა თეორია“, „სიტუაციური თეორია“) ვერ დააკმაყოფილა მკვლევართა დიდი ნაწილი და კვლევა-ძიების (ფსიქომეტრიკული და სოციომეტრიკული მეთოდიკა და ტესტები) სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა პრობლემის შესწავლის, მათი შეხედულებით, უფრო მეტად მნიშვნელოვან ასპექტზე, კერძოდ, ლიდერისა და მიმდევრების ურთიერთობების ანალიზზე. ამგვარად, საფუძველი დაედო, ე.წ. „მიმდევართა

---

1. Studies in Leadership, Ed. by Alvin W. Gouldner, N7, 1950, p. 27.

2. Jennings N.N., Leadership und Isolation, N7, 1943, p. 205.

2. ა.ბუცხრიკიძე.

განმსაზღვრელი როლის თეორიას“.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში პოლიტიკური ლიდერის მიმდევრების ზეგავლენის გადამწყვეტი როლის აღიარებამ, სოციოლოგი ემპირიკოსები მათი თვისებების შესწავლის გადაუდებელი ამოცანის წინაშე დააყენა. 50-70-იან წლებში კვლევა-ძიება „ავტორიტარული პიროვნებისა და დემოკრატიული პიროვნების“ კონცეფციების პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობდა.

მეცნიერულ ლიტერატურაში ე.ფრომმა შემოიტანა „ავტორიტარული პიროვნების“ ცნება, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ, ე.წ. ფრანკფურტის სკოლის (მ.ჰორკჰაიმერი, ტ.ადორნო, ჰ.მარკუზე) წარმომადგენლები, რომლებიც გერმანიაში ნაციზმის წარმოშობის ხელშემწყობ სოციალურ ნიადაგს იკვლევდნენ.

ავტორიტარული პიროვნების კონცეფცია თეორიულ წარმოდგენათა ერთობლიობაა პიროვნების გარკვეულ ტიპზე, რომელიც განიხილება, როგორც ტოტალიტარული რეჟიმების სოციალური საყრდენი მისთვის დამახასიათებელი თვისებების გამო. ასეთი თვისებებია: კონსერვატიზმი, აგრესიულობა, ძალაუფლების წყურვილი, სიძულვილი ინტელიგენციისადმი, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისადმი, აზროვნების სტერეოტიპები, კონფორმიზმი და ა.შ.

ავტორიტარული პიროვნების წარმოშობას ე.ფრომი უკავშირებს, ერთი მხრივ, პატრიარქალური ოჯახური კავშირების დაშლას, მეორე მხრივ, თანამედროვე საზოგადოების გამათანაბრებელ ურბანიზაციას. ე.ფრომის მიხედვით, პიროვნების თვითრეალიზაციის ნება ვერ პოვებს გამოსავალს დემოკრატიულად ორიენტირებულ სოციალურ მოღვაწეობაში. იგი ხორციელდება ავტორიტარიზმის გზებზე სახელმწიფოს ავტორიტეტთან, ქარიზმატულ პოლიტიკურ ლიდერთან თვითიდენტიფიკაციის მეშვეობით. ავტორიტარული პიროვნებისათვის ეს ავტორიტეტი მასის ავტორიტეტის ადგილს იკავებს.

ავტორიტარული პიროვნების პროტოტიპი გახდა „ბრბოს ადამიანი“, რომელსაც უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში „მასის ადამიანი“ უწოდეს.

გამოჩენილი ესპანელი ფილოსოფოსისა და სოციალური მოაზროვნის ხოსე ორტეგა ი.გასეტის (1883-1955) მიხედვით, ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელია მასების აჯანყება. ეს არის ძირეული ფენომენი, რომელიც გან-

საზღვრავს ეპოქის ხასიათს. მის გახმაურებულ ნაშრომში — „მასების ამბოხი“ — სიტყვა ამბოხი არ ნიშნავს ბრძოლას იარაღით ხელში, ის არაა რომელიმე კლასის ბატონობის ძალადობით დამხობა. სიტყვები „ამბოხი“, „მასები“, „სოციალური ძალაუფლება“ არ არის მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობის შემცველი. მათში მოცემულია გონითი, მორალური-ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრებაც. მასების აჯანყება ნიშნავს, რ[illegible] მასები აღზევდნენ მთელი ცხოვრების წარსამართავად, ისინი ცდილობენ და ეუფლებიან ცხოვრების მართვის საქმეს, იმის მიუხედავად, შეუძლიათ მათ ეს, თუ — არა. დღევანდელი თაობის პარადოქსია ის, რომ მეტ ძალებს ფლობს, ვიდრე სხვა რომელიმე წინა თაობა, და, ამავე დროს, უფრო მეტადაა განძარცული მიზნებისა და იდეალებისაგან, ვიდრე სხვა თაობები“.[1]

(სოციალური სტრუქტურა, — დასძენს ~~ორტეგა იგასეტი,~~ — ყველა პერიოდში ორი ფენომენით განისაზღვრება — ელიტითა და მასებით. ელიტა სპეციალური კვალიფიკაციის ინდივიდები, ან ინდივიდთა ჯგუფებია, მასები კი მოკლებულნი არიან ამ განსაკუთრებულ კვალიფიკაციას და არაკვალიფიცირებულთა ერთობლიობას წარმოადგენენ. მასა საშუალო ადამიანთა ერთობლიობაა. მასას მიეკუთვნება ისეთი ადამიანი, რომელიც სხვებისაგან არაფრით გამოირჩევა, ის ისეთია, როგორც ყველა) ეს არაა გარკვეული ერთი, ერთეული სხვა, არამედ ესაა სწორედ გაურკვეველი, ანონიმური სხვა, როგორც სხვათა უმრავლესობას შორის გავრცელებული ტენდენციებისა და შესატყვისი ქცევების უკან მდგომი უცნობი და უსახელო სუბიექტი.[2]

გერმანელი სოციალური მოაზროვნენი ამ გაურკვეველ სუბიექტს სპეციალური ნაცვალსახელით აღნიშნავენ. ეს უპიროვნო man-ი არის ის სუბიექტი, ვინც, გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის (1889-1976) გამოთქმით, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების „თავისებური დიქტატორია“.[3] უმრავლესობას შორის გავრცელებული ტენდენციები საშუალო შესაძლებლობის გამომხატველი ტენდენციებია. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ man-ის როგორც ამ ტენდენციების უკან მდგომი სუბიექტის დიქტატურა ყოველივე განსაკუთრებულის დათრგუნვას მოასწა-

---

1. ხოსე ორტეგა ი.გასეტი, მასების ამბოხი, თბ., 1994, გვ. 37.
2. ვ.შუბითიძე, „რევოლუციები, ელიტა და მასა“, გაზ. რუბიკონი, №30, 1993.
3. Heidegger M., Sein und zeit, Tubingen, 1967, ss. 126-127.

ვებს. საშუალება man-ის ეგზისტენციურ ხასიათს შეადგენს. იგი დევნის ყოველივეს, რაც საშუალო დონეს სცილდება. ამ გზით საზოგადოებაში ხორციელდება შესაძლებლობათა ტოტალური სწორება საშუალოზე, ანუ რაც იგივეა, ტოტალური ნიველირება.

მასის ადამიანი მოკლებულია შემოქმედებით უნარს. მასის ანონიმურობის გამო ადამიანი მოკლებულია მოვალეობის ცნობიერებას, ვინაიდან ყოველი სოციალური ქმედება კოლექტიურად ხორციელდება და, ამდენად, არავინ არ არის პიროვნულად პასუხისმგებელი შესაძლო შედეგებზე.

თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიურ, პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ხშირია მსჯელობა მასობრივ საზოგადოებაზე. აქ არსებითად იგივე პრობლემა დგას, რომელიც მარტინ ჰაიდეგერმა man-ის დიქტატურის პრობლემის სახით დააყენა. man-ის დიქტატურა ხალხის მასად ქცევას და, ამგვარად, საზოგადოების „გამასობრივებას" მოასწავებს. ასეთ ვითარებაში სიტყვები „მასა", „მასობრივი", „ხალხისა" და „ხალხურობის" საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება. ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გერმანელი ფილოსოფოსის კარლ იასპერსის (1883-1969) მიხედვით, მასა უნდა განვასხვაოთ ხალხისაგან. „ხალხი დანაწევრებულია, მას თავისი ცხოვრების სახის, აზროვნების ყაიდისა და ტრადიციების ცნობიერება გააჩნია. ხალხი სუბსტანციური და თვისებრივი ფენომენია". იასპერსი აანალიზებს მასის ცნებას და მას განასხვავებს, როგორც ხალხის, ასევე საზოგადოებისაგან. ხალხის წარმომადგენელი ცალკეული ადამიანი პიროვნული ხასიათისაა. მასა ამის საპირისპიროდ დაუნაწევრებელია, მას არ გააჩნია თვითცნობიერება, იგი ერთგვაროვანი და რაოდენობრივი ხასიათისაა; ამასთან, პროპაგანდისა და შთაგონების ობიექტია, უპასუხისმგებლოა და ცნობიერების უმდაბლეს დონეზე იმყოფება. მასა მოკლებულია ყოველგვარ შემოქმედებით აქტივობას. ვიწრო ჰორიზონტი, ცხოვრება აქტიური მეხსიერების გარეშე, იძულება უსაზრისო სამუშაოთი... ასეთია მასის დამახასიათებელი ნიშნები.[1]

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „მასის ადამიანი გენეტიკურად უკავშირდება „ავტორიტარულ პიროვნებას" და მის პროტოტიპს წარმოადგენს.

---

1. Yaspers K., Vom Ursprung und Ziel der geschichte, Zurich, 1949, s. 165.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის ტეოდორ ადორნოსა (1903-1969) და მისი თანაავტორების შეხედულებით, რომელიც გადმოცემულია ფართო სოციოლოგიურ გამოკვლევაში — „ავტორიტარული პიროვნება"[1] — ავტორიტარული პიროვნების პოლიტიკური მიზანდასახულობანი მდგომარეობს არსებული წესწყობილებისადმი არაკრიტიკულ დამოკიდებულებაში, აზროვნების შაბლონურობაში, ხელისუფლებასა და ძალაზე ორიენტაციაში ადორნომ და მისმა კოლეგებმა გაიზიარეს ე.ფრომისა და გერმანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, ნეომარქსიზმის ფრანკფურტის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის მაქს ჰორკჰაიმერის (1895-1973) დასკვნა ფაშიზმის განადგურების შემდგომ პერიოდში ავტორიტარული პიროვნების არსებობის შესახებ. პიროვნების ეს ტიპი „ფაშიზოიდურად" დახასიათებული, წინანდებურად განიხილებოდა, როგორც „მასობრივი", რაც ნიადაგს ქმნიდა ომისშემდგომი ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმები შეფასებულიყო, როგორც „ფაშიზოიდური", ე.ი. შინაგანად ფაშიზმის საშიშროების მუდმივად მატარებელი პოლიტიკური რეჟიმი. ზემოხსენებული გამოკვლევის წინასიტყვაობაში მ.ჰორკჰაიმერი წერდა ავტორიტარულ პიროვნებაზე, როგორც XX საუკუნეში წარმოშობილი ადამიანის ახალ „ანთროპოლოგიურ" ტიპზე. გამოკვლევაში წარმოდგენილია ავტორიტარული პიროვნების ტიპოლოგია: კონვენციონალური, სადისტურ-მაზოხისტური, ახირებული, მელანქოლიკური და მანიპულატიური.

ტეოდორ ადორნოს შეხედულებები რიგი სოციოლოგებისა და პოლიტოლოგების კრიტიკის ობიექტი გახდა.[2] მაგრამ, მიუხედავად, საკმაოდ საფუძვლიანი და არგუმენტირებული კრიტიკისა, ავტორიტარული პიროვნების კონცეფციას 70-იანი წლების შუანანებამდე მრავალი, უმთავრესად, მემარცხენე რადიკალური და მემარცხენე ლიბერალური ორიენტაციის მკვლევარი იზიარებდა.[3]

---

1. იხ. Adorno Th., W, e.a., The authoritarian personality, N7, 1960.

2. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამერიკელი მკვლევრები ჰაიმენი და შიტელი, გერმანელი სოციოლოგი კ.როგმანი.

3. ზემოხსენებული კონცეფცია სრულ შესაბამისობაშია ჰერბერტ მარკუზეს (1898-1979) შრომებში — „ერთგანზომილებიანი ადამიანი", „ეროსი და ცივილიზაცია" — გადმოცემული იდეები, რომლებიც ძალზე პოპულარულია დასავლეთში 60-იანი წლების შეორე ნახევარში.

როგორც ამას ხშირად ადგილი აქვს მეცნიერების ისტორიაში, ლიდერობის ფენომენისა და ლიდერის რაობისადმი რამდენადმე განსხვავებულმა მიდგომამ, პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობის კომპრომისული ვარიანტი შექმნა — ე.წ. „რელაციური თეორიის“ წარმოშობის პირობები.

პოლიტოლოგთა აზრით, რელაციური თეორიის შექმნა შესაძლებლობას იძლევა ერთიანობაში იქნეს წარმოდგენილი ლიდერის, სიტუაციის, მიმდევრების ურთიერთზემოქმედების მექანიზმი. იგი ხსნის წინააღმდეგობებს „თვისებათა თეორიის“, „სიტუაციონალიზმისა“ და „მიმდევრების განმსაზღვრელი როლის თეორიას“ შორის.

ამ ახალ მიდგომას სინთეზური ეწოდება. მკვლევართა შეხედულებით, იგი თავისუფალია იმ მიდგომის სივიწროვისა და უკმარისობისაგან, რომელთა დახასიათებაც ზემოთ ვცადეთ. ეს ის მიდგომაა, რომლისთვისაც მეტ-ნაკლებად ცნობილია, ე.წ. ადამიანური ფაქტორის როლი სოციალურ პროცესში — და, აქედან გამომდინარე, როგორც ინდივიდის, ისე სოციალური ჯგუფის გონითი და სულიერი მოთხოვნილებისა და მახასიათებლის გათვალისწინების მნიშვნელობაც მათი აქტივობის გაგებისათვის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლიდერობის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის მიმართულების მკვლევართა შრომებში მეტ-ნაკლებად გამორიცხულია სოციალური ფაქტორების როლი და მნიშვნელობა. ისინი ინდივიდს განიხილავენ, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისაგან მოწყვეტილ, საკუთარ „მე“-ში ჩაკეტილ აბსტრაქტულ არსებას. მათთვის პიროვნების განმსაზღვრელი ფაქტორები, ეს ბიოლოგიური ფაქტორებია: ცხოველური ინსტინქტები, სქესი, არსებობისათვის ბრძოლა და ადამიანთა ურთიერთობებიდან ამ ბრძოლაში უფრო ძლიერის მიერ სუსტის გამოდევნა. სოციალური წინააღმდეგობები და ამ თავისებურებათა მიზეზები, მათი თვალსაზრისით, ადამიანის ბუნებაშია ბიოლოგიურად დაპროგრამებული.

ადამიანში ბიოლოგიური „მოხსნილი“ სახით არსებობს. სწორედ დიალექტიკურად გაგებული „მოხსნა“ გამოხატავს ბიოლოგიურის შინაარსს ადამიანში, იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ბიოლოგიურსა და სოციალურ-ბიოლოგიურს შორის.

ბიოლოგიური და სოციოლოგიური მატერიის მოძრაობის ორი, ერთიმეორის მომდევნო, დაბალი და მაღალი ფორმაა. სოციალური ბიოლოგიური-

საგან განვითარდა და ამიტომ ის ამ უკანასკნელის უარყოფის შედეგია. თუმცა უარყოფა არ ნიშნავს იმას, თითქოს სოციალური უბრალოდ უკუაგდებს ბიოლოგიურს. სოციალური „მოხსნის" ბიოლოგიურს, ე.ი. სოციალურში ბიოლოგიური შემოინახება გარდაქმნილი სახით.

ადამიანი მატერიის განვითარების უმაღლესი სახეობაა და, ამდენად, მასში მატერიის დაბალი ფორმებისათვის დამახასიათებელი კანონებიც მოქმედებს. თუმცა ამ კანონებს სოციალურისადმი დაქვემდებარებული მდგომარეობა უჭირავს. ამასთან, რაც უფრო დაბალ საფეხურზეა მატერიის მოძრაობის ესა თუ ის ფორმა, სოციალურთან შედარებით, მით უფრო უმნიშვნელოა მისთვის დამახასიათებელი კანონების მოქმედება, რასაც მატერიის მოძრაობის ფორმათა ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერება განაპირობებს.

რაც უფრო ახლოა ერთიმეორესთან მატერიის მოძრაობის ფორმათა განვითარების საფეხურები, მით უფრო მეტად გამოვლინდება დაბალი ფორმის კანონები მაღალში და, პირიქით, რაც უფრო დაშორებულნი არიან ისინი ერთმანეთს, მით უმნიშვნელოა მოძრაობის დაბალი ფორმების კანონების მოქმედება მაღალში. ბიოლოგიური და სოციალური მატერიის მოძრაობის ორი ერთმანეთს უშუალოდ მიდევნებული ფორმებია, ამიტომ ბიოლოგიური სოციალურში, მატერიის მოძრაობის სხვა ფორმებისათვის დამახასიათებელ კანონებთან შედარებით, ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი სოციალურის ერთი აუცილებელი სტრუქტურული ელემენტია, რომლის გარეშე თავისთავად ცხადი და ნათელია, რომ მისი გაგება შეუძლებელია.

ბიოლოგიურისა და სოციალურის ურთიერთობა ადამიანის ფორმირების პროცესში, ანთროპოგენეზში გარკვეულად იცვლებოდა. იმ პერიოდში, როცა ადამიანის ფორმირება დაიწყო, ჯერ კიდევ გადამწყვეტი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებით, ბიოლოგიურ ფაქტორებს, ხოლო სოციალური მხოლოდ ისახებოდა და მას, ბუნებრივია, ბიოლოგიურისადმი დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა. მაგრამ შემდგომ, ადამიანის თანდათან განვითარების კვალდაკვალ, სოციალური ნიშნები მასში სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა, არსებით მნიშვნელობას იღებდა,. ბიოლოგიური კი თანდათან კარგავდა განმსაზღვრელ ძალას და სოციალურისადმი დაქვემ-

დებარებულ ხასიათს იძენდა. ბიოლოგიურის გამოდევნის, მისი გარდაქმნის, სოციალურისადმი დაქვემდებარების პროცესი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე არ ჩამოყალიბდა "Homo sapiens-ი".[1]

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულმა ნათელყო, რომ პიროვნებაში განმსაზღვრელია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური ფაქტორი, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, პიროვნება განხილულ უნდა იქნეს, როგორც საზოგადოების წევრი.

---

1. შენგელია ხ., პიროვნების ფილოსოფიური პრობლემები, თბ., 1985, გვ. 76-78.

თავი მეოთხე

პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის ინტერპრეტაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

ლიდერობა ადამიანთა ცხოვრების ორგანიზაციის უძველეს ფორმას წარმოადგენს. იგი ყველა სოციალური ერთობისათვისაა დამახასიათებელი და ადამიანის ბუნების იმანენტური ფენომენია. კაცობრიობის არსებობის უკვე პირველ საფეხურებზე, ერთობლივი თანაცხოვრების ამა თუ იმ მოდელის ფორმირებისა და ურთიერთქმედების გარეშე, კაცთა მოდგმის არსებობა და განვითარება ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ეს ვითარება, თავის მხრივ, განაპირობებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ფორმის შერჩევას, სადაც გადამწყვეტ როლს უფრო გამოცდილი, საქმეში ჩახედული და ძლიერი ადამიანები ასრულებდნენ, რომლებიც თვისტომთა შორის ავტორიტეტით, ნდობითა და ალიარებით სარგებლობდნენ. ისინი საზოგადოებრივი ლიდერები ხდებოდნენ, ხოლო შემდგომში კლასობრივ საზოგადოებაში — პოლიტიკური ლიდერები.

სოციალური ცხოვრების განვითარება კანონზომიერად იწვევდა ლიდერობის ფენომენის ევოლუციას, რთულდებოდა ლიდერობის იერარქია, მრავალდებოდა შესაბამისი კავშირ-ურთიერთობები. პიროვნული ტიპის ლიდერობიდან საზოგადოება გადადიოდა ლიდერობის უფრო რთულ ფორმებზე. კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შედეგად ლიდერობა პოლიტიკური პროცესებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აქტიური ელემენტის გახდა.

პოლიტიკური ლიდერობის ფენომენი უძველესი დროიდან იქცევდა მოაზროვნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას. ანტიკური სამყაროს ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, „ისტორიის მამად" წოდებული ჰეროდოტე (მის ნააზრევში განსხვავება ღმერთებს, გმირებსა და უბრალო მოკვდავებს შორის რაოდენობრივი ხასიათისაა და არა თვისებრივი),[1] ისტორიის კრიტი-

1. ჰეროდოტე, ისტორია, ტ. 1-2, თბ., 1975-1976.

კულად შესწავლისა და გააზრების (ანუ ისტორიის კრიტიკულად შესწავლისა და გააზრების (ანუ მეცნიერული ისტორიის) ფუძემდებელი თუკიდიდე,[1] ქსენოფონტი (კლასიკური ხანის მწერლებს შორის იგი პირველი იყო, ვინც ისტორიული გმირების გაიდეალება სცადა),[2] პლუტარქე,[3] კვინტუს კურციუს რუფუსი,[3] გაიუს სალუსტიუს კრისპუსი,[5] ტიტუს ლივიუსი,[6] პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი,[7] გაიუს სვეტონიუს ტრანკვილიუსი,[8] აპიანე ალექსანდრიელი[9] და სხვ. თავიანთ ისტორიულ თხზულებებში უმთავრესად გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერების სამეფოთა მესვეურების, მონარქების, იმპერატორების, მხედართმთავრების, კანონმდებელთა მოღვაწეობას აშუქებდნენ და იგი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნდათ.

ანალოგიური მსოფლმხედველობრივი პოზიციები ეკავათ შუა საუკუნეების ბიზანტელ[10] და ქართველ[11] ჟამთააღმწერლებსა და ისტორიკოსებს.

გმირების კულტის ანტიკური ტრადიციისაგან თავისუფალი არ არის რენესანსის ეპოქის ადრებურჟუაზიული შეხედულებები ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ. მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული პრობლემის გაგების ასპექტით. ამ მხრივ, აღორძინების ხანის მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნიკოლო მაკიაველის

---

1. Фукидид, история, в кн. Историки Античности, М., 1989, т. 1, გვ. 205, 402.

2. Ксенофонт, Греческая История, там же, გვ. 405-498.

3. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, თბ., 1975.

4. Квинт Курций Руф, История Александра Македонского, вкл. историки Античности, М., 1989, т. 1, გვ. 501-574.

5. Гай Саллюстий Крисп, О заговоре катилины, вкл. историки Античности, М., 1989, т. 2, გვ. 5-48.

6. Тит Ливий, Истории от основания Рима, там же, გვ. 49-184.

7. Корнелий Тацит, История Римы, там же, გვ. 187-408.

9. Гай Светоний Транквилл, Жиз

9. აპიანე ალექსანდრიელი, მითრიდატეს ომების ისტორია, თბ., 1959.

10. იხ. მაგ. Прокопий Кесарийский, Война с готами, М., 1950 და Агафий Схоластик, О царствовании Юстиниана, М., 1953.

11. იხ. „მატიანე ქართლისაჲ", სუმბატ დავითის ძის „ბაგრატიონთა გვარის ისტორია", ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება", ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ისტორია" და სხვა.

(1469-1527) ნააზრევი.[1]

[პოლიტიკური ლიდერის პიროვნება ნ.მაკიაველის ნაშრომებში ყურადღების ცენტრშია მოქცეული, მაგრამ წინამორბედთაგან განსხვავებით, მას პოლიტიკური პროცესი არ დაჰყავს გმირთა მოქმედებაზე. ნ.მაკიაველის ძირითად თეორიულ შრომებში („მთავარი", „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის გამო", „ომის ხელოვნება") ღვთაებრივი ბედისწერის შუასაუკუნეობრივი კონცეფციის ადგილს ობიექტური ისტორიული აუცილებლობისა და კანონზომიერების იდეა იკავებს.]

აღორძინების ეპოქის პოლიტიკურ იდეათა ისტორიაში ნ.მაკიაველმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფოს პრობლემისადმი არათეოლოგიური პოზიციებიდან გამომდინარე. კ.მარქსი მას იმ პოლიტიკურ მოაზროვნეთა რიცხვს მიაკუთვნებდა, რომლებიც სახელმწიფოს ადამიანური თვალსაზრისით იხილავდნენ და მისი ბუნებრივი კანონები გამოჰყავდათ არა თეოლოგიიდან, არამედ გონებიდან და გამოცდილებიდან.[2]

[პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში პირველმა ნიკოლო მაკიაველმა განიხილა პოლიტიკა, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ავტონომიური სარბიელი, სადაც არსებობენ „ბუნებრივი მიზეზები" და „სასარგებლო წესები" და, რომლებიც პოლიტიკური ლიდერის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მსვლელობათა წინასწარხედვისა და საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აუცილებელ ლონისძიებათა განხორციელების საშუალებას იძლევა.] პოლიტიკის სფეროში ეს რაციონალურ-პრაქტიკული მიზანდასახულობა გადაჭრით ძლევდა შუასაუკუნეობრივ კონცეფციებს და დიდად უსწრებდა თავის დროს.

ნ.მაკიაველის მოძღვრების თანახმად, პოლიტიკის უზენაეს წესს და მთავარ პრობლემას წარმოადგენს იმ რიგის ქმედებათა გამონახვა, რომლებიც გადაწყვეტილებათა მიღების მომენტში დროის ხასიათსა - და სპეციფიკურ გარემოებებს შეესაბამება. „აქ არ შეიძლება განყენებულად ლაპარაკი, — დასძენს ნ.მაკიაველი, — ვინაიდან ყველაფერი იცვლება გა-

---

1. ნ.მაკიაველის იდეების ზეგავლენა პოლიტიკურ მოძღვრებათა განვითარებაზე შეტად მნიშვნელოვანი იყო. ახალ დროში ეს გავლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა ე.პარეტოს, მ.მოსკასა და რ.მიხელსის შრომებში.

2. Маркс К. и Энгельс. Ф., Соч., 2-ое изд., т. 1, гз. 111.

რემოებებთან დამოკიდებულებაში". ადამიანისათვის დამახასიათებელია საკუთარი ტემპერამენტის ბუნებრივი მიდრეკილების მიხედვით მოქმედება: ერთნი აღწევენ მიზნებს „სიფრთხილითა და მოთმინებით", მეორენი — „შეტევითა და მოულოდნელობით". მაგრამ, ამასთანავე, ადამიანები კრახს განიცდიან იმ დროს, როდესაც ცხოვრების პირობები ქცევის მანერის შეცვლას მოითხოვს, ხოლო ისინი კი მოქმედების ადრინდელი წესის ერთგულნი რჩებიან.

ნ.მაკიაველის კონცეფციის თანახმად, ძლიერ პოლიტიკურ ლიდერს უნარი შესწევს ობიექტურად შეაფასოს მდგომარეობა, წინ აღუდგეს ბედისწერას, გაუთვალისწინებელ შემთხვევითობას დაუპირისპიროს თავისი ენერგია და პოლიტიკური გამჭრიახობა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სიტუაციის შესაბამისად შეცვალოს პოლიტიკა. ასეთ შემთხვევაში წარმატების უზრუნველყოფა კანონზომიერია.)

ნ.მაკიაველს მიაჩნია, რომ პოლიტიკური მოღვაწის მომზადება საჭიროებს ისტორიის, პირველ რიგში, ანტიკურობის შესწავლას, აგრეთვე აუცილებელია თანამედროვე ცხოვრების მოვლენებზე, ახალ ამბებსა და ისტორიის „ავანსცენაზე" გამოსულ პიროვნებათა ქმედებაზე მუდმივი დაკვირვება და განსჯა.

(ახალი ისტორიული გამოცდილების მაკიაველისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი ღრმად ორიგინალური მოაზროვნეა და არა არისტოტელესა და პოლიბიუსის ეპიგონი, რომელთაგანაც მან სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ფორმები გადმოიღო — მონარქია, არისტოკრატია, დემოკრატია და მოძღვრება ამ სახელმწიფო მმართველობის ყოველი ფორმის თავის საპირისპიროში გარდაქმნა. აღნიშნული სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან იგი არც ერთს არ მიიჩნევდა სრულყოფილ ფენომენად და ყოველი კონკრეტული ვითარებისათვის გამოსადეგად.

„მთავარში" იგი ხოტბას ასხამს მმართველის ძლიერ პიროვნებას, რომელიც მტკიცედ მიისწრაფვის მაღალი სახელმწიფოებრივი მიზნისაკენ, ხოლო თხზულებაში „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის გამო" ცალსახად გამოხატავს სიმპათიას რესპუბლიკის მიმართ. ამ თხზულების მთავარი გმირია ხალხი, რომელიც „დიდად აღემატება მთავრებს სიქველითა და დიდებით, ხოლო თუ მთავრები სჯობიან ხალხს კანონების გამოცემის, სამოქა-

ლაქო ცხოვრების შექმნის, ახალი წყობილებისა და ახალი დაწესებულებების დამყარების უნარით, ხალხი კი, ამდენადვე, სჯობიან მათ დამყარებული წესწყობილების შენარჩუნების უნარით".

ნ.მაკიაველის მოძღვრება წარმოადგენდა „ახალი სახელმწიფოს" — გაერთიანებული იტალიის სახელმწიფოს თეორიას. ამ თვალსაზრისით მის ბრწყინვალე თხზულებაში „მთავარი" ძირითად საფუძვლად მიჩნეულია ჩეზარე ბორჯიას პოლიტიკური პრაქტიკა, რომელიც ვერაგობით, დაუნდობლობითა და გულცივი სისასტიკით თავის მცირე სამფლობელოს ერთიმეორეს მიყოლებით უერთებდა სხვათა ტერიტორიებს, ვიდრე საბედისწერო შემთხვევამ და საკუთარმა შეცდომამ მისი პოლიტიკური კრახი არ გამოიწვია.

ჩ.ბორჯიას პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიზმა ხელი შეუწყო მაკიაველის ცნობილი თეზისის წამოყენებას: პოლიტიკოსი თავის თავში უნდა აერთიანებდეს ლომისა და მელიის თვისებებს. მელიისა, — რათა აიცილოს დაგებული ხაფანგი, ხოლო ლომისა, — რათა აშკარა ბრძოლაში შემუსროს და გაანადგურის მტერი.

ნ.მაკიაველს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, რაც მმართველის უპირველესი ამოცანაა, დასაშვებია ყველა საშუალება — ძალადობა, მკვლელობა, სიცრუე, გამყიდველობა და ა.შ. ამ „მეთოდების" მეშვეობით პოლიტიკური ლიდერი გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს აღწევს და მათ საგანგებო ვითარებაში იყენებს.

ნ.მაკიაველის შემოქმედება დიქტატურის საკითხში ერთგვარ ორაზროვნებას ბადებს. მის მიერ ნახმარი ტერმინები „დიქტატურა" და „დიქტატორი" სხვადასხვა მნიშვნელობით გაიგება. „დიქტატურის" ცნებაში იგულისხმება, ერთი მხრივ, „ტირანია", მეორე მხრივ, „ბიუროკრატიული რესპუბლიკა". „დიქტატორში" კი ერთ შემთხვევაში იგულისხმება აბსოლუტური ხელისუფლების მქონე ტირანი, რომელიც ძალაუფლებას პირადი ინტერესებისათვის იყენებს და არა ზოგადი სიკეთისათვის,[1] ხოლო მეორე შემთხვევაში — ქვეყნის მმართველი, რომელიც აირჩევა ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით და, რომლის უფლებამოსილებაც გაზრ-

1. "Рассуждения о первой декаде Тити Ливия", в. кн.: Макиавели, избр. соч., М., 1982, გვ. 447.

დილია აუცილებლობისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე".[1]

(ამ დებულებაზე დაყრდნობით, მაკიაველი განასხვავებს ძლიერი ძალაუფლების მქონე ორ პირს: პირველი თვითონ მიითვისებს ძალაუფლებას, რაც სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამღუპველია და სოციალურ აფეთქებებსა და შეთქმულებებს იწვევს, მეორე კი — აღიჭურვება გაზრდილი უფლებამოსილებით თავისუფალი არჩევნების საფუძველზე. სწორედ ამ უკანასკნელის მიერ დამყარებულ დიქტატურაზე ამბობს მაკიაველი: „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დიქტატურა ყოველთვის სასარგებლო იყო".[2]

მაკიაველი ასევე დადებითად სახავს დიქტატორის მყარ საგანგებო ზომების გატარებას ცხოვრებაში, თუმცა თვით ამ ზომების მიღების დემონსტრირება საზიანოდ მიაჩნია.)

საუბრობს რა რესპუბლიკური წყობილების უპირატესობაზე, ნ.მაკიაველი თავის ნაშრომებში ხოტბას ასხამს პოლიტიკურ თავისუფლებას; მისი თქმით, რესპუბლიკაში სახიფათო არაა მმართველობის თვითნებობა, ვინაიდან რესპუბლიკური წყობილების დროს თანამდებობის პირებს ირჩევს ხალხი, ამიტომაც თანამდებობის პირნი ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ ხალხის წინაშე. რესპუბლიკური წყობილება ყველაზე სრულად სწორედ იმიტომ შეესაბამება ადამიანთა თანამშრომლობისა და თანაარსებობის მოთხოვნებს, რომ სახელმწიფო ძალაუფლება საზოგადოების ყველა ქმედითი ელემენტის ხელშია და მცირერიცხოვან რჩეულთა, ან ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა პატივმოყვარული მისწრაფებების, მათი ანგარების დაკმაყოფილებას კი არ ეშსახურება, არამედ მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს.

რესპუბლიკაში, მაკიაველის აზრით, ყველაზე უკეთ ხორციელდება არა მარტო თავისუფლება, არამედ თანასწორობაც. იგი მომხრეა ყველა ფეოდალური პრივილეგიის გაუქმებისა და მკვეთრი ქონებრივი დაპირისპირებულობის შესუსტებისა. მხოლოდ თავისუფლებასა და თანასწორობას, — აცხადებს მაკიაველი, — შეუძლია განავითაროს ადამიანის შესაძლებლობანი, შთაუნერგოს მას სიყვარული საზოგადო სიკეთის მიმართ და მათ მოქმედე-

---

2. "Рассуждения о первой декаде Тити Ливия", в кн.: Макиавели, избр. соч., М., 1982, გვ. 447. გვ. 425.

3. იქვე, გვ. 426.

ბას საფუძვლად დაუდოს სამოქალაქო სიქველე.

რესპუბლიკა, ტირანიისაგან განსხვავებით, უკეთ უზრუნველყოფს ხალხის უფლებებს. ფლორენციელი პოლიტიკოსის აზრით, ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი ნება-სურვილით სამართლიანი ბრალი დასდოს დანაშაული გამოუტანოს ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა ავანტურასა და თვითნებობას.

ტირანიისაგან განსხვავებით რესპუბლიკა კანონიერი წესრიგის საუფლოა. კანონიერება კი რესპუბლიკური წყობილების სიმტკიცის ყველაზე საიმედო საყრდენია.

რესპუბლიკური წყობისას, მაკიაველის აზრით, ადამიანის პირადი სიკეთე უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ზოგად სიკეთეს.

ფლორენციელი მდივანიცა და ლიდერობის თანამედროვე თეორეტიკოსებიც ეძიებენ იმ გზას, რომლის საშუალებითაც მათ უნდა აამაღლონ სახელმწიფო მართვის დონე, რომელიც ცივილიზაციის განვითარებას ჩამორჩება. მაგრამ თუ პოლიტოლოგებმა XX საუკუნეში ხელოვნურად შეკვეცეს აღნიშნული პრობლემა, დაიყვანეს რა იგი ლიდერობის ფსიქოლოგიურ ასპექტებამდე და მმართველი პერსონალის მომზადების სრულყოფამდე, სამაგიეროდ, მაკიაველისათვის დამახასიათებელია საკითხისადმი მიდგომის მრავალმხრივობა და საფუძვლიანობა, რადგანაც იგი „ახალი სახელმწიფოს" ორგანიზაციითაა დაკავებული.

მაკიაველისეულ „ახალ მთავარში" ერთდროულად განსახიერებულია პოლიტიკური და ეროვნული ლიდერის ფენომენი, რომელიც მოწოდებულია ისტორიულად პროგრესული მიზნის განხორციელებისათვის — იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის.

(ნ.მაკიაველის მთავარი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური ლიდერის ფენომენია, რამეთუ მისი ხელისუფლება ხორციელდება „ზემოდან ქვემოთ" და, ამავე დროს, საერთო-ეროვნული ლიდერიცაა, რადგანაც იგი ერთგვარად ერზე მაღლა დგას.)

მაკიაველის ინტერპრეტაციით, მთავრების საქმიანობა უნდა გამოხატავდეს საზოგადოების ძირითად პრობლემებს. მათ არ შეუძლიათ ნებისმიერი პრობლემის დაყენება, რომელიც აზრად მოუვათ, ამ შემთხვევაში წარმატე-

ბის იმედი არ უნდა იქონიონ. მაკიაველს მიაჩნია, რომ მთავრის მოღვაწეობის შედეგები განუყრელადაა დაკავშირებული ვითარების თავისებურებასთან. იგი ამბობს, რომ „ბედნიერია ის, ვისი მოქმედებაც დროის თავისებურებას ეთანხმება და ესადაგება, და ზუსტად ასევე, უბედურია ის, ვისი მოქმედებაც არ შეესაბამება მას".[1]

(მაკიაველის აზრით, მთავარმა არჩეული პოლიტიკური გეზის გატარებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ვითარებები, რომელთა დროსაც შეიმუშავა გარკვეული პოლიტიკური კურსი, შესაძლოა შეიცვალოს. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „ბედის ცვალებადობისას ადამიანები, რომლებიც ჯიუტად მისდევენ მოქმედების ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას, ბედნიერნი არიან მანამ, სანამ მათი მოქმედება და ბედისწერა ერთიმეორეს შეესაბამება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ბედნიერება უბედურებით იცვლება.[2] ამასთან, იშვიათად მოიპოვება ისეთი კეთილგონიერი კაცი, რომელიც დროის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, რადგანაც, ჯერ ერთი, ძნელია ბუნებრივი მიდრეკილების დათრგუნვა და, მეორეც, რაკიღა ერთი გზით ყოველთვის აღწევდა წარმატებას, ვერ დააჯერებს საკუთარ თავს, რომ საჭირო ა ამ გზიდან გადახვევა".[3]

მაკიაველი თვლის, რომ მთავარი უნდა იყოს „სიტუაციათა შექმნის ინიციატორი". მას შემდეგ, რაც იგი ვითარებათა ცვალებადობის მიხედვით კვალდაკვალ შეცვლის მოქმედების გზასაც და გეზსაც; ხოლო თანამედროვე პოლიტოლოგების ნაწილი ლიდერს სიტუაციის მონად მიიჩნევენ იმის გამო, რომ იგი გამოიმუშავებს იმ თვისებებს, რომლებიც მხოლოდ სიტუაციურ მოთხოვნებს პასუხობენ. თუ თანამედროვე პოლიტოლოგების, კერძოდ კი, ჰენრი ქისინჯერის მიხედვით „ყოველი სახელმწიფო მოღვაწე ნაწილობრივი აუცილებლობით ტყვეა, დაპირისპირებულია გარემოსთან, რომელიც მას არ შეუქმნია და, რომელიც შექმნილია კონკრეტული ისტორიული პერიოდით და მას არ ძალუძს შეცვალოს იგი", სამაგიეროდ, მაკიაველს მიაჩნია, რომ მთავარს ძალუძს მოახდინოს გავლენა გარემოზე და თვლის, რომ ეს შედეგია, როგორც მისი მოქმედების პიროვნული საწყისებისა, ასევე

1. ნ.მაკიაველი, მთავარი, გვ. 75.
2. იქვე, გვ. 76.
3. იქვე, გვ. 76.

განსორციელების მეთოდების შერჩევისა.

ამრიგად, მაკიაველი მთავარში ხედავს შემოქმედსა და სიტუაციის შემქმნელს და არა გარემოს ტყვეს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ის მოიმოქმედოს, რის „საშუალებასაც" გარემო იძლევა.

მაკიაველი მთავრისათვის დამახასიათებელ და ნიშანდობლივ თვისებებს მის მიერ დასახულ მიზნებსა და მიღწეულ შედეგებთან კავშირში აღწერს. იგი წერს, რომ „სახელმწიფოს შესანარჩუნებლად, მთავარი ხშირად იძულებულია იმოქმედოს ერთგულების, მოყვასისადმი სიყვარულის, ადამიანობის, სარწმუნოების საპირისპიროდ. ამიტომაც იგი აუცილებლად მოქნილი უნდა იყოს, რომ მოხერხებულად ესადაგებოდეს ქარის ქროლვითა თუ ბედის ტრიალით ნაკარნახევ მიმართულებას და არ გადაუხვიოს სიკეთის გზას, თუ ეს შესაძლოა, მაგრამ, იმავდროულად, შეეძლოს ბოროტების გზაზე დადგომაც, თუკი ეს აუცილებელია.[1]

მაკიაველის მიაჩნია, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მთავარს შეუძლია შელახოს პიროვნული რეპუტაცია ორპირობით, თვალთმაქცობითა და ცინიზმითაც კი. მისი მტკიცებით, „კეთილგონიერი მთავარი შეუძლებელია თავისი აღთქმის ერთგული იყოს, თუკი ეს ერთგულება შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისთვის, და თუ აღარ არსებობს მიზეზები, რომლებმაც ეს აღთქმა დაადებინეს, „მთავარს არასოდეს გამოელევა იმის კანონიერი მიზეზი, რომ გაამართლოს თავისი ორპირობა".[2] მაკიაველი დასძენს: „ყველა ხედავს იმას, რადაც გვაჩვენებ თავს, ცოტა თუ გრძნობ იმას, რაც ხარ სინამდვილეში".[3]

მართალია, შემდგომში შეიქმნა მორალური კანონების უარმყოფელი პოლიტიკის აღმნიშვნელი ტერმინი — „მაკიაველიზმი", მაგრამ მაკიაველი პოლიტიკაში პრინციპული ამორალიზმის მომხრე არ იყო. მისი შეხედულებით, პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა იცოდეს ადამიანური მოღვაწეობის მთავარი სტიმულები, უნდა შეისწავლოს და პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს ქვეშევრდომთა მიდრეკილებები და „ადამიანის სულის ფარული სურვილების გამოცნობის უნარის წყალობით" იმატონოს მათზე საგანგებო

1. ნ.მაკიაველი, მთავარი, გვ. 76.
2. იქვე, გვ. 53.
3. იქვე, გვ. 52.

ვითარებაში, როდესაც „ხალხი გარყვნილია“, საჭიროა საგანგებო ზომების მიღება. პოლიტიკური სიტუაციისათვის „მთავარი“ მხოლოდ ერთი ფაქტორთაგანია, რომელშიც ასევე „ხალხი“, „დიდკაცობა“ და „მხედრობა“ შედის. მაკიაველი მკაცრად აკრიტიკებდა ფეოდალურ დიდკაცობას, რომელშიც ქვეყნის გაერთიანების მთავარ დაბრკოლებად გამოყენებას გარკვეულ ფარგლებში იგი დასაშვებად თვლიდა. ეს აზრი აბსოლუტური მონარქიების წარმოშობის პრაქტიკის განზოგადების შედეგს წარმოადგენს. პოლიტიკური წარმატების ძირითად პირობად ნ.მაკიაველს მიაჩნდა სათნოება და არა სულიერი სიმდაბლე. სათნოების აპოთეოზით მთავრდება მისი ბრწყინვალე თხზულება „მთავარი“.

მომდევნო მე-17-მე-18 საუკუნეებში ჯერ კიდევ მძლავრობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ისტორია გმირ პიროვნებათა თვითნებურ ქმედებათა ერთობლიობას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ბლეზ პასკალი (1623-1662).

ამავე დროს, დასავლეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია — ფილოსოფიური და იურიდიული დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ადამიანები ნებაყოფლობითი ხელშეკრულების გზით კავშირდებიან და ქმნიან სუვერენულ, ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას.* ამით ისინი, მართალია, გარკვეული ზომით ასხვისებენ თავიანთ თავისუფლებასა და ნებას, მაგრამ ეს გარკვეულწილად ნაზღაურდება იმით, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის პირად უფლებებს და მათ ჰარმონიულ თანაცხოვრებას.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია უარყოფდა შუა საუკუნეებში გაბატონებულ შეხედულებას სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობასა და მის შეუზღუდაობაზე, აღიარებდა ხალხის უფლებას აჯანყებაზე, თუ უზენაესი ხელისუფლება დაარღვევდა საზოგადოებრივ ხელშეკრულებას, წაართმევდა ხალხს განუყოფელ უფლებებს.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიამ განვითარება პოვა XVII-XVIII საუკუნეებში და დაკავშირებული იყო ბუნებითი სამართლის მოძღვ-

---

* იდეა, რომ სახელმწიფოს შექმნას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ძველთაგანვე წარმოიშვა. იგი ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ეპიკურემ წამოაყენა.

რებასთან, რომლის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების ნება-სურვილით შექმნილი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, უფლებათა დაცვა. ამ თეორიის შამამთავრად ითვლება ჰოლანდიელი იურისტი და სოციოლოგი ჰ.გროციუსი (1583-1645). შემდეგ ეს აზრი კიდევ უფრო გააღრმავეს ინგლისელმა ფილოსოფოსებმა: ტ.ჰობზმა (1588-1679), ჯ.ლოკმა (1632-1704), ფრანგმა განმანათლებლებმა შ.მონტესკიემ (1689-1755), ფ.ვოლტერმა (1694-1778) და სხვა.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია უფრო რადიკალურადაა დამუშავებული უ.რუსოს ნაშრომში „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ". რუსომ (1712-1778) ამ თეორიის იდეები გამოიყენა ფეოდალიზმის მთელი სახელმწიფო სტრუქტურისა და სისტემის უარსაყოფად. ფრანგ განმანათლებელთა შორის რუსო ყველაზე რადიკალური მოაზროვნეა. მისი ამოსავალი დებულებაა: „კაცობრიობას შეადგენს ხალხი, ის, რაც ხალხზე ზევით დგას, იმდენად მცირეა, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს".

ლიბერალიზმის სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინის ფუძემდებელი ჯ.ლოკი შენიშნავდა, რომ სახელმწიფომ უმრავლესობის ნება უნდა გამოხატოს და არა მმართველის. ისტორიული წრებრუნვის თეორიის შემქმნელი იტალიელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ჯ.ვიკო (1668-1744), უშვებდა რა ღვთაებრივი საწყისის არსებობას, რომელთაგანაც თითქოს ისტორიული კანონები გამომდინარეობს, ამავე დროს, მიუთითებდა, რომ საზოგადოება ვითარდება შინაგანი, კანონზომიერი მიზეზების საშუალებით. ჯ.ვიკოს ისტორია წარმოედგინა, როგორც კანონზომიერი პროცესი და აკრიტიკებდა ვოლუნტარისტულ შეხედულებებს, რომელთა მიხედვით ისტორია გმირების ნების განხორციელების შედეგია. ჯ.ვიკოს მოძღვრების თანახმად, „ყოველი ხალხი თავის განვითარებაში გაივლის სამ ეპოქას (ღვთაებრივს, გმირულსა და ადამიანურს), რომლებიც ადამიანის ცხოვრების პერიოდების ანალოგიურია. სახელმწიფო წარმოიშობა მხოლოდ გმირულ ეპოქაში და არისტოკრატთა ბატონობას წარმოადგენს. ადამიანურ ეპოქაში მის ადგილს იკერს დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც თავისუფლება და „ბუნებრივი სამართლიანობა" ზეიმობს. ეს არის კაცობრიობის განვითარების მწვერვალი, მისი სიმწიფე, რომლის შემდეგ საზოგადოება უბრუნდება თავდაპირველ

მდგომარეობას. შემდეგ კვლავ იწყება აღმავალი ხაზით მოძრაობა. ისტორიული განვითარების ამ პრინციპებს ვიკო ავრცელებდა აგრეთვე ენაზე, სამართალზე, ხელოვნებაზე".[1] იგი ამტკიცებდა, რომ ენა — კულტურის საფუძველი — არა ცალკეული გენიის შემოქმედების პროდუქტია, არამედ ხალხის გენიისა, რომ ეპოსი არა მხოლოდ ინდივიდთა შემოქმედებას წარმოადგენს, არამედ ხალხის შემოქმედებაა. ისტორიის ვიკოსეული „ანტიჰეროიკული" ინტერპრეტაცია მიმართული იყო ფეოდალური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ისტორია ლიდერების შემოქმედებას წარმოადგენდა.

XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების — დ.დიდროს (1713-1783), კ.ჰელვეციუსის (1715-1771), ჰ.ჰოლბახის (1723-1789) შეხედულებით, ისტორიის სუბიექტნი, ისტორიის შემოქმედნი არიან ბრძენი კანონმდებელნი, მოაზროვნენი, განათლებული მონარქები და არა ხალხთა მასები. ისტორიული მოვლენების მთავარ მამოძრავებელ ძალას გამოჩენილ პიროვნებათა შეგნებული სოციალური აქტივობა წარმოადგენს.

ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციების შესწავლამ და ანალიზმა, რესტავრაციის დროინდელი ფრანგი ისტორიკოსები — ა.ტიერი (1797-1888), ფ.გიზო (1787-1874), ფ.მინიე (1796-1884), რომლებიც ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ახალი მიმართულების ფუძემდებლები იყვნენ (კლასთა ბრძოლის ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდნენ), ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ მანამდე გაბატონებული ფრანგი განმანათლებლების თვალსაზრისის საწინააღმდეგო დასკვნამდე მიიყვანა. ფრანგმა ისტორიკოსებმა ყურადღება მასების საქმიანობაზე გადაიტანეს, უმთავრესად კი, სტიქიურ სოციალურ და პოლიტიკურ მოქმედებაზე. მაგრამ ისტორიული პროცესების განვითარების ასეთი გაგებაც ისტორიის ფატალისტური ინტერპრეტაციისაგან არ იყო დაზღვეული.

ფილოსოფიურ-ისტორიული აზრის განვითარებაში მნიშვნელოვანია გ.ჰეგელის (1770-1831) შეხედულება ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ. ჰეგელის მიხედვით, ისტორიული აუცილებლობის მატარებელია მსოფლიო გონი, რომელიც მსოფლიოს მართავს. ისტორიული მოძრაობის წარმ-

1. იხ. Вико Дж., Основания новой науки об общей природе наций, М., 1940.

მართველი მსოფლიო გონი იყენებს ადამიანების, მათ შორის გამოჩენილი, დიდი პიროვნებების ინტერესებს, ვნებებს, მისწრაფებებს, როგორც თავისი მიზნის — თავისუფლების გაცნობიერებაში პროგრესის განხორციელების — მიღწევის საშუალებას.

ჰეგელის მიხედვით, მსოფლიო-ისტორიულ პიროვნებათა მიზნები და მოქმედება საყოველთაო მომენტს შეიცავს. დიდი პიროვნებები გამოხატავენ სუბსტანციურ ისტორიულ აუცილებლობას, „თავისი დროის სიმართლეს". „ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, — შენიშნავს ჰეგელი, — თითქოს ისტორიული ხდომილებანი დიდ ადამიანთა შემოქმედების პროდუქტს წარმოადგენს, მაგრამ სწორედ დიდი პიროვნებები გამოხატავენ ისტორიული განვითარების მოთხოვნილებებს. „მათ გმირები უნდა ვუწოდოთ, რამდენადაც მათ მიზნებსა და მოწოდებას ასაზრდოებს არა მოვლენათა მყარი, მოწესრიგებული, არსებული სისტემით კურთხეული მსვლელობა საგნებისა, არამედ ისეთი წყარო, რომლის შინაარსიც დაფარულია და ვერ განვითარდა მუნყოფიერებამდე; შინაგანი სული, რომელიც ჯერ კიდევ მიწის ქვეშ ბორგავს და გარესამყაროში ლამობს გამოსვლას..."[1] ამასთან ერთად, ჰეგელის მიხედვით, როგორც მთელი ხალხები, ისე ისტორიული მოღვაწეები მსოფლიო გონის ხელში მხოლოდ იარაღს წარმოადგენენ, რომელიც მათ ფარულად მართავს და მათი საშუალებით ახორციელებს თავის მიზნებს.

ჰეგელმა სცადა დიალექტიკურად გადაეწყვიტა თავისუფლებისა და აუცილებლობის თანაფარდობის პრობლემა და, ამასთან დაკავშირებით, უამრავი შეხედულებები ჩამოაყალიბა ისტორიაში გამოჩენილ პიროვნებათა როლის შესახებ. მაგრამ მისი ფილოსოფიურ-ისტორიული დეალსაზრისი ფატალიზმისა და მისტიკის სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

XIX საუკუნის კონსერვატიული რომანტიზმის წარმომადგენლებმა წამოაყენეს ისტორიული პროცესის ინდივიდუალისტურ-ვოლუნტარისტული გაგება. ამ ტენდენციამ თავისი უკიდურესი გამოხატულება პოვა ინგლისელი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის თ.კარლაილის (1795-1881) ნააზრევში. ისტორიის ფილოსოფიაში იგი „გმირების კულტის" მქადაგებლად მოგვევლინა. თ.კარლაილის მიხედვით, გმირი ღვთაებრივი წინასწარდასახულობის მა-

---

1. Гегель Г., Сочинения, М., 1, 1935, т. 8, гл. 29.

ტარებელი და ისტორიული პროცესის სულიერი შემოქმედია. ისტორიას ჭმნიან გამოჩენილი ლიდერები „ხალხთა მასები მხოლოდ ფონია ლიდერისათვის; ისტორიული აქტივობა ყოველთვის დიდი ლიდერისაგან მომდინარეობს". თავის წიგნში „გმირები და გმირობა ისტორიაში" თ.კარლაილი წერდა: „...მსოფლიო ისტორია, იმის ისტორიაა, თუ რა მოიმოქმედა ადამიანმა ამ ქვეყანაზე, ჩემი გაგებით, არსებითად არის ისტორია დიდი ადამიანებისა, რომლებიც აქ, დედამიწაზე ილვწოდნენ..."[1] მათ საქმეებს თ.კარლაილი განიხილავდა, როგორც მსოფლიო ისტორიის სულსა და გულს. თ.კარლაილის ნააზრევის ზოგიერთი ასპექტი საშუალებას იძლევა გატარებულ იქნეს პარალელი ფრიდრიხ ნიცშეს „ზეადამიანის" იდეოლოგიასთან.

ვ.ი.ლენინი ნაშრომში „კარლ მარქსი" მიუთითებდა მარქსამდელი სოციოლოგიური და ისტორიული თეორიების ორ ძირითად ნაკლოვანებაზე. პირველი: ეს თეორიები, უკეთეს შემთხვევაში, განიხილავდა ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს და არა მათ გამომწვევ მატერიალურ მიზეზებს. მარქსამდელი სოციოლოგები და ისტორიკოსები „ვერ ხედავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარებაში, ვერ ამჩნევდნენ ამ ურთიერთობათა ფესვებს მატერიალური წარმოების განვითარების დონეში".[2]

საკითხს, თუ რა განსაზღვრავს საზოგადოებრივ წყობილებას, სოციალურ სტრუქტურას, ისტორიულ განვითარებასა და ცვალებადობის პროცესებს საერთოდ — მარქსამდელი სოციოლოგია და ისტორიოგრაფია არამეცნიერულად წყვეტდა. მათი შეხედულებით, ამ როლს საზოგადოებაში არსებული იდეები და შეხედულებები, თეორიები და მისწრაფებანი, ზოგადად რომ ვთქვათ, — იდეური ფაქტორები ასრულებენ.

საზოგადოებრივი მოვლენების ცვალებადობა-განვითარების მიზეზების ამგვარი გაგება მომდინარეობდა იმ ჩვეულებრივი ფაქტიდან, რომ ყველაფერი, რაც ცალკეულ ადამიანს ამოქმედებს, წინასწარ ჯერ გონებაში უნდა გადაისინჯოს, ხოლო იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ თითოეული ადამიანი შეგნებულად დასახულ მიზანს მისდევს — კეთდებოდა დასკვნა: ადამიანთა გაერთიანების, ე.ი. საზოგადოების განვითარებასაც აგრეთვე იდეალური მა-

1. Карлейль Т., Герой и героическое в истории, СПБ, 1891, გვ. 1-2.

2. ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 52.

მოძრავებული ძალები წარმართავს. საზოგადოების რეალური, პრაქტიკული ცხოვრების უკანასკნელ მიზეზად იდეალური მამოძრავებელი ძალები ცხადდებოდა. ადამიანთა ცნობიერება მათი ყოფიერების საფუძვლად იყო აღიარებული.

მარქსის მოძღვრების მიხედვით, იდეალური მამოძრავებელი ძალები სრულიადაც არ წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო მიზანს. ცხადია, ადამიანის გონებაში უნდა გადაისინჯოს ყველაფერი, რაც მას ამოძრავებს, მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს მის აზროვნებაში, დიდადაა დამოკიდებული ობიექტურ გარემოებაზე".[1]

ისტორიულ მოღვაწეთა იდეური მოტივების მამოძრავებელი ძალებია: საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, საზოგადოების ეკონომიკური განვითარება და მისი გარკვეული დონე, საზოგადოებრივი ყოფიერება. სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების ფესვები განსხვავებული იდეური მოტივებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ პირიქით, მატერიალური ცხოვრების პირობათა სხვადასხვაობის ბაზაზე აღმოცენდება მრავალფეროვანი იდეები და მისწრაფებანი, იდეური მოტივები და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრება.

მარქსამდელი სოციოლოგიის აღნიშნული ნაკლოვანებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა მეორე არსებითი ნაკლოვანება: ხალხის მასების როლის უგულებელყოფა და გამოჩენილ პიროვნებათა მოღვაწეობის აბსოლუტიზაცია. „წინანდელი თეორიები არ მოიცავდნენ სწორედ მოსახლეობის მასების მოქმედებას".[2] საზოგადოებრივი ისტორია დაიყვანებოდა ცალკეულ პიროვნებათა, მეფეების, მხედართმთავრების, კანონმდებლების, გამოჩენილი ადამიანების მოღვაწეობაზე. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა შეუძლებელს ხდიდა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებისა და მოვლენების ობიექტურ და ადეკვატურ ინტერპრეტაციას.

მარქსიზმის მიხედვით, ისტორიული პროცესის საერთო მიმართულება, ძირითადი ტენდენცია ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებებზე არ არის დამოკიდებული. მათ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე, მაგრამ უფლება არა აქვთ გააუქმონ ან შეცვალონ საზო-

1. იხ. კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, თბ., ტ. II, 1964, გვ. 479.
2. ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ. 21, თბ., გვ. 52.

გადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი. პოლიტიკური ლიდერების საშოლვაწეო სარბიელზე გამოჩენა საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა შედეგს წარმოადგენს, და მათი მოღვაწეობა მით უფრო წარმატებული და რენტაბელურია, რაც უფრო სწორად შეიცნობენ ისინი ამ მოთხოვნილებებს. სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე გამოჩენილი პიროვნების ზემოქმედება ხორციელდება ამ პროცესების კანონზომიერებათა მოქმედების ფარგლებში. გარკვეული სოციალური მოძრაობის სათავეში მყოფი ლიდერის პიროვნულმა ნიშან-თვისებებმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მასზე, რითაც მეტ-ნაკლებად განისაზღვრება მისი წარმატებებიც.

„ხელმძღვანელობის თვისებები სრულიადაც არ არის განურჩეველი, — წერს ლტროცკი წიგნში „გაცემული რევოლუცია",[1] — მაგრამ ეს არ არის ერთადერთი ფაქტორი და საბოლოო ანგარიშით, არც გადამწყვეტი... ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს... არა ბელადების პიროვნული უპირატესობით, არამედ სოციალური ძალების ახალი შეხამებით... (საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს). ხელისუფლებაში მირაბოს, ბრისოს, რობესპიერის, ბარასის, ბონაპარტეს მონაცვლეობა ობიექტური კანონზომიერებაა, რომელიც განუზომლად უფრო ძლევამოსილია თვით ისტორიული პროტაგონისტების განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებზე".

გ.პლეხანოვის ნაშრომი „ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის"[2] შესანიშნავად წარმოადგენს მარქსისტულ ინტელექტუალურ ტრა-

---

1. „გაცემული რევოლუცია" („რევოლუცია, რომელიც გასცეს", ლ.ტროცკის წიგნის ფრანგული სახელწოდება. რუსულად იგი დასათაურებულია — „რა არის სსრკ და საით მიდის იგი". იხ. Дойчер И., Троцкий в изгнании. М., 1991, გვ. 299.

2. ისტორიაში პიროვნების როლზე მარქსიზმის შეხედულებათა ბრწყინვალე გადმოცემასთან ერთად ზემოხსენებულმა შრომამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმ ნაროდნიკული თეორიის „გმირების" და „ბრბოს" თეორიის საფუძველს, რომლის თანახმად კაცობრიობის ისტორია ეფუძნება არა როგორც გარკვეული, კანონზომიერი პროცესი, არამედ იგი მიემართებოდა შემთხვევითი გზებით. „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებათა" მიზანდასახულობათა მიხედვით, ხალხთა მასა კი რჩება „ინერტულ ძალად", „ბრბოდ". გმირს „არ შეუძლია ბრბოს ზევიდან არ დაჰყურებდეს, არ შეუძლია არ შეიგნოს, რომ ყველაფერი არის ის გმირი, მაშინ, როცა ბრბო ყოველგვარ შემოქმედებით ელემენტს მოკლებული მასაა.., რომელიც კეთილისმყოფელ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ ღებულობს, როცა მას კეთილი, მოწყალე, „კრიტიკულად მოაზროვნე" ერთეული ხელმძღვანელობს", — შენიშნავს გ.პლეხანოვი. იმავდროულად იგი ამსხვრევს იმ პოლიტიკურ დასკვნებსაც, რომლებსაც ნაროდნიკები ამ „თეორიიდან" აკეთებდნენ. იხ. გ.ვ.პლეხანოვი, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, თბ., 1939, გვ. 4.

დიციას განხილული ასპექტით. გონებამახვილობით გამორჩეული ეს შრომა ერთ-ერთი საუკეთესოა მარქსისტულ ლიტერატურაში.

გ.პლეხანოვი საკითხს იხილავს კლასიკური ანტონომიის — აუცილებლობისა და თავისუფლების — ტერმინებით. იგი არ უარყოფს პიროვნების როლს, ეთანხმება რა კარლაილის, რომელიც თავის ცნობილ თხზულებაში გმირების შესახებ „დიდ ადამიანებს უწოდებს დამწყებთ... ეს მეტად მოხდენილი სახელწოდებაა, — შენიშნავს გ.პლეხანოვი, — დიდი ადამიანი სწორედ დამწყებია, იმიტომ, რომ იგი სხვებზე უფრო შორს იხედება და სხვებზე უფრო ძლიერ სუნთქს... ის მიგვითითებს ახალ საზოგადოებრივ საჭიროებებზე, რომელნიც შექმნილია ურთიერთობათა წინმავალი განვითარებით, ის კისრულობს ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში თაოსნობას. ის — გმირია.

გმირია არა იმ აზრით, ვითომ მას შეეძლოს მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობის შეჩერება ან შეცვლა, არამედ იმ აზრით, რომ მისი მოღვაწეობა შეგნებული და თავისუფალი გამოხატულებაა ამ აუცილებელი და შეუგნებელი მსვლელობისა. ამაშია მთელი მისი მნიშვნელობა; ამაშია მთელი მისი ძალა. მაგრამ ეს კოლოსალური მნიშვნელობა, საშინელი ძალაა“.[1] ამ შემთხვევაში გ.პლეხანოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლიდერი გვევლინება ისტორიული აუცილებლობის იარაღად და აუცილებლობა ქმნის თავის იარაღს, როდესაც ეს მას ესაჭიროება. ამიტომ არც ერთი დიდი პიროვნება არ შეიძლება „შეუცვლელად“ მივიჩნიოთ. ნებისმიერ ისტორიულ ტენდენციას, თუ იგი არ არის საკმარისად ფართო და ღრმა, გამოხატავს ადამიანთა გარკვეული რიცხვი და არა მხოლოდ ერთი ინდივიდუუმი.

განიხილავს რა საფრანგეთის რევოლუციას, გ.პლეხანოვი სვამს კითხვას — როგორ განვითარდებოდა მოვლენები რობესპიერისა და ნაპოლეონის გარეშე? „დაუშვათ, რომ იგი (რობესპიერი) თავის პარტიაში შეუცვლელ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ იგი, ყოველ შემთხვევაში, პარტიის ერთადერთი ძალა არ ყოფილა. იგი რომ შემთხვევით გადმოვარდნილ აგურს მოეკლა, ვთქვათ, 1793 წლის იანვარში, მის ადგილს, რასაკვირველია, სხვა ვინმე დაიკავებდა, და ეს სხვა ვინმე კიდეც რომ მასზე ნაკლები ყოფილიყო ყოველ-

1. გ.ვ.პლეხანოვი, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, თბ., 1939, გვ. 54.

ნაირად, მოვლენები მაინც იმავე მიმართულებით წარიმართებოდა, რა მიმართულებითაც წარიმართა რობესპიერის დროს... ჟირონდისტები, ალბათ, ამ შემთხვევაშიც ვერ ასცდებოდნენ დამარცხებას, მაგრამ შეიძლება, რომ რობესპიერის პარტია ცოტა ადრე დაჰკარგავდა ხელისუფლებას... რობესპიერის პარტიის დაცემა მოხდებოდა... შეიძლება ადრე მომხდარიყო, შეიძლება კი უფრო გვიან, მაგრამ მაინც უსათუოდ უნდა მომხდარიყო..."[1]

გ.პლეხანოვი თავის არგუმენტაციას ამთავრებს მითითებით იმ გარემოებაზე, რომ ყველა შემთხვევით „ცვლილებას შეეძლო გავლენა მოეხდინა ევროპის შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაზე..., მაგრამ რევოლუციური მოძრაობის საბოლოო შედეგი მაინც არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ნამდვილი შედეგის „წინააღმდეგი". გავლენიან პიროვნებებს, თავისი ჭკუისა და ხასიათის თავისებურებათა წყალობით, შეუძლიათ შეცვალონ მოვლენათა ინდივიდუალური ფიზიონომია და მათი ზოგიერთი კერძო შედეგები, მაგრამ მათ არ ძალუძთ შეცვალონ მათი საერთო მიმართულება, რომელსაც სხვა ძალები განსაზღვრავენ".[2]

საკითხის სპეციფიკა გვაიძულებს მივყვეთ გ.პლეხანოვის მსჯელობას: „როცა ნაპოლეონი საზოგადოებრივი წესრიგის მხსნელი „კარგი ხმლის" როლში „გამოვიდა", მან ამით ამ როლს ჩამოაშორა ყველა სხვა გენერალი, რომელთაგანაც ზოგიერთები ისე, ან თითქმის ისე შეასრულებდნენ, როგორც თვითონ ნაპოლეონი ასრულებდა. რაკი საზოგადოებრივი მოთხოვნილება დაკმაყოფილდა იმ მხრივ, რომ ენერგიული სამხედრო მმართველი გაჩნდა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ყველა დანარჩენ ნიჭიერ სამხედრო პირს გზა შეუკრა სამხედრო მმართველის ადგილისაკენ... ნაპოლეონის პირადი ძალა უაღრესად გაზვიადებული სახით გვეჩვენება, ვინაიდან ჩვენ მას ვაწერთ მთელ იმ საზოგადოებრივ ძალას, რომელმაც იგი წამოაყენა და გაამაგრა. ის რაღაც სრულიად განსაკუთრებულად გვეჩვენება, იმიტომ რომ სხვა მისი მსგავსი ძალები შესაძლებლობიდან სინამდვილეში ვერ გადავიდნენ. და როდესაც გვესაუბრებიან: რა იქნებოდა ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყოვო, ჩვენი წარმოდგენა იბნევა, და ჩვენ გვგონია, რომ უიმისოდ სრუ-

1. გ.ვ.პლეხანოვი, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, თბ., 1939, გვ. 41-42.

2. იქვე, გვ. 44.

ლიად ვერ მოხდებოდა ის საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც ემყარებოდა მისი ძალა და გავლენა".[1]

ამ შემთხვევაში ცხადია, რომ ადამიანები ერთგვარი „ოპტიკური მცდელობის" მსხვერპლნი ხდებიან, რომლის შესახებაც ლაპარაკობს გ.პლეხანოვი იმ ისტორიკოსების წინააღმდეგ კამათის მსვლელობაში, რომელნიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ნაპოლეონის როლი გადამწყვეტი იყო, ვინაიდან არავის სხვას არ შეეძლო დაეკავებინა მისი ადგილი და ანალოგიური სოციალურ-პოლიტიკური შედეგები გამოეწვია. „მცდარობა" იმაში მდგომარეობს, რომ ლიდერი, ბელადი ადამიანებს წარმოესახებათ შეუცვლელ პიროვნებად, „თავისთავად ცხადია, — დასძენს გ.პლეხანოვი, — რომ კაცი, რომელიც მოვლენათა წყალობით უნდა გადიქტატორდეს, თავის მხრით, დაუცხრომლად უნდა იკაფავდეს გზას ხელისუფლებისაკენ, ენერგიულად უნდა არღვევდეს და შეუბრალებლად სრესდეს ყველას, ვინც გადაეღობება მას წინ. ბონაპარტეს რკინის ენერგია ჰქონდა და იგი არაფერს არ ზოგავდა თავისი მიზნების მისაღწევად. მაგრამ, მის გარდა, მაშინ მრავალი ენერგიული, ნიჭიერი და პატივმოყვარე ეგოისტი იყო. ადგილი, რომლის დაკავებაც მან მოახერხა, ცხადია, ცარიელი არ დარჩებოდა".[2]

უდავოა, რომ თითქმის ყველა დიდი ლიდერი, ბელადი ან დიქტატორი მის სიცოცხლეში ადამიანებს შეუცვლელ პიროვნებად წარმოუდგენიათ, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ ვიღაც სხვა იკავებს მის ადგილს. ჩვეულებრივ ეს „ვიღაც სხვა" მის კოლეგებს, თანამებრძოლებს ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელ კანდიდატად, „უფერულ" პიროვნებად მიაჩნიათ, რომლის ხვედრია მეორეხარისხოვანი, ან მესამეხარისხოვანი როლის შესრულება".[3]

ამრიგად, მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, გამოჩენილი ისტორიული პიროვნებები — დიდი პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ისტორიის სამოქმედო სარბიელზე გარკვეულმა საზოგადოებრივმა ძალებმა წამოაყენეს, ღრმად აცნობიერებენ საზოგადოებრივი განვითარების წინააღმდეგო-

---

1. გ.ვ.პლეხანოვი, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, თბ., 1939, გვ. 45.

2. იქვე, გვ. 43.

2. საკმარისია გავიხსენოთ მსოფლიო საზოგადოებრიობის გაკვირვება, როცა ი.სტალინის შემკვიდრედ და „საქმის გამგრძელებლად" ნ.ხრუშჩოვი მოგვეევლინა.

ბებს და ხელს უწყობენ მათ გადაჭრას; სამოქმედოდ რაზმავენ კლასებს, სახალხო მასებს, რომელთა საარსებო ინტერესებსაც ისინი გამოხატავდნენ.

პოლიტიკური ლიდერების როლი მეტად მნიშვნელოვანია ისტორიის გარდატეხის მომენტში, როდესაც ობიექტური რეალობა და განსაზღვრული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მათგან მოითხოვს სწორ, სიტუაციის ადეკვატურ გადაწყვეტილებათა სწრაფ მიღებას, კონკრეტულ საზოგადოებრივ ამოცანათა გაცნობიერებას.

პოლიტიკური ლიდერის როლი ისტორიულად განპირობებულია და შესაძლებელია მისი ობიექტური შეფასება სოციალური და პოლიტიკური განვითარების რეალურ მოთხოვნილებათა, ხალხთა მასების, კლასების მოქმედებათა ანალიზთან დაკავშირებით.

ვოლუნტარიზმის წარმომადგენლისა და თანამედროვე ირაციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) ფილოსოფიურმა ნააზრევმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკური ლიდერობის თეორიებზე.[1] ნიცშეს უშუალო წინამორბედად გვევლინება ანარქიული ინდივიდუალიზმის ფუძემდებელი მაქს შტირნერი (1806-1856),[2] რომლის ძირითად ნაშრომში — „ერთადერთი და მისი საკუთრება" გადმოცემულია თითქმის ყველა ის დებულება, რაც შემდგომში ნიცშეს ძირითადი ნააზრევის გირთვი გახდა: ღმერთის სიკვდილი, ტრადიციული უმაღლესი ღირებულებების გაუფასურება, ინდივიდის ნების ძალაუფლება და სხვა. შტირნერი ნიცშეს წინამორბედია ქალის კულტის დანერგვის მხრივაც. ნიცშესე-

---

1. ნიცშემ ვერ შეძლო დამთავრება ფუნდამენტური ნაშრომისა, რომელშიც ეარაუდობდა სრულად გადმოეცა საკუთარი ფილოსოფიური ნააზრევი. მოგვიანებით ასეთი შრომის მოსამზადებელი ნიცშესეული მონახაზები, „ძალაუფლების ნების" სახელწოდებით, გამოაქვეყნა ნიცშეს დამ ელიზაბეტ ფორსტერ-ნიცშემ. დიდი ხნის განმავლობაში ეს ნაშრომი ნიცშეს მთავარ თხზულებად ითვლებოდა, მაგრამ ფაქტობრივად ტენდენციურ ფალსიფიკაციას წარმოადგენდა. ნიცშეს ცალკეული ჩანაწერები ისე იყო შეკრებილ-გადმოცემული, რომ იგი გერმანული ნაციონალიზმისა, ხოლო მოგვიანებით ასევე ნიცშეს დის შემწეობით, გერმანული ნაციზმის_ იდეოლოგიად წარმოესახათ. იუცმლებელი იყო ნიცშეს მოძღვრების საფუძვლიანი დამახინჯება, რათა იგი ნაციზმის წინააღმდეგ დაესახათ. იხ. Ф. Ницше и др., Сумерки Богов, М., 1989, გვ. 346-347.

2. Штирнер М., Единственный и его собственность, Лейпциг, Спб, 1906, გვ.

ბური ტონალობით ხასიათდება მისი მოწოდება „...ხელში აიღეთ ძალაუფლება, მაშინ თავისუფლებაც თავად მოვა, შეხედეთ ვინც ძალაუფლება აიღო ხელში, იგი ამაღლდა კანონზე“.[1]

ფ.ნიცშეს ფილოსოფიური მოძღვრება იწყება „ღმერთის სიკვდილით“. ამ თეზისიდან ნიცშესთან უშუალოდ გამომდინარეობს ყოველგვარი მეტაფიზიკური, ზეგრძნობადი სამყაროს უარყოფა: „ღმერთის სიკვდილი ნიცშესთან ნიშნავს ყოველგვარი ზეგრძნობადი სამყაროს გაუქმებას, მის ძალადაკარგულობას“ — შენიშნავს მ.ჰაიდეგერი (1889-1976). ამ შემთხვევაში იგულისხმება ევროპული მეტაფიზიკის გაუქმება, მათ შორის ე.კანტის „ნივთისა თავის თავად“ უარყოფაც, ჰეგელის აბსოლუტური სულის, ობიექტური გონისა და ყოველივე თელეოლოგიის უარყოფა. ნიცშე უარყოფს სამყაროში საერთოდ ყოველგვარ კანონზომიერებას, ლოგოსს, როგორც ფარული სუბსტანციური საწყისის გამოხატულებას. ამ უარყოფით ნიცშე მიზნად ისახავს ადამიანის განთავისუფლებას ყოველგვარი ობიექტურობისაგან და მის მომზადებას საკუთარ თავსა და სამყაროზე ბატონობისათვის. ნიცშე ნიადაგს ამზადებს ზეკაცისათვის, ზეკაცის ბატონობისათვის. ამისათვის, გარდუვალია მეტაფიზიკური სამყაროს უარყოფასთან ერთად, ამგვარი სამყაროს შემოქმედი გონის უარყოფაც.

ახალ ევროპულ ფილოსოფიაში რ.დეკარტისა (1596-1650) და ფ.ბეკონის (1561-1626) ფილოსოფიით დაწყებული, ადამიანის გონმა — რაციომ — გაიარა განვითარების საფეხურები დეკარტის cogito-დან ფიხტეს (1762-1814) აბსოლუტური „მე“-ს გავლით ჰეგელის აბსოლუტურ გონამდე და მეთოდურად, თანდათანობით დაიკავა ღმერთის ადგილი. გაბატონდა ადამიანური გონის, მეცნიერული ცოდნის უსაზღვრო ძალმოსილების რწმენა. ახალ კრიზისულ, ანტირაციონალისტურ ეპოქაში ა.შოპენჰაუერის (1788-1860), გ.შტირნერის, ს.კირკეგორის (1813-1855) კვალდაკვალ ნიცშეც განსხვავებული მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან ილაშქრებს გონების შეუზღუდველი ავტორიტეტის წინააღმდეგ, რომელიც ნიცშეს მიხედვით, ყალბი ავტორიტეტია.

„ღმერთის, მიღმური სამყაროსა და ძველი მეტაფიზიკის უარყოფის,

1. Stirner Max, Die Einzige umd sein Eigentum, und andere Schriften carl Hanser verl, Munchen, 1968, s. 115.

რაციოსა და სულის უარყოფის შემდეგ, ნიცშესთან ადგილი აღარ რჩება ტრადიციული ქრისტიანული მორალისათვის — სუსტების, ავადმყოფების, მდაბიოთა, მონათა მორალისათვის, რომელიც რეაქციაა ადრე არსებულ გაბატონებულ არისტოკრატიულ მორალზე",[1] ბატონთა მორალზე, არისტოკრატიულ ღირებულებათა სისტემაზე. ნიცშეს ზეკაცი — ადამიანის უმაღლესი ტიპი, ადამიანის უმაღლესი იდეალი — აფუძნებს არისტოკრატიულ მორალს, არისტოკრატიულ ღირებულებებს. ზეკაცი ბოროტებისა და სიკეთის მიღმა დგას, მისთვის უცხოა სიკეთისა და მოვალეობის ტრადიციული ცნებები. ზეკაცის გამარჯვებისათვის საჭიროა დაძლეულ იქნეს ტრადიციული ქრისტიანული მორალი, რომელიც „ღმერთის სიკვდილის" მიუხედავად, მაინც მოქმედებს.

ნიცშე განსაკუთრებით რადიკალურად უპირისპირდება სიბრალულის, „მოყვასის სიყვარულის" ცნობილ ქრისტიანულ მორალს და ამ მიმართებით მკაცრად აკრიტიკებს შოპენჰაუერს. სიბრალული, mitleid („თანტანჯვა" შოპენჰაუერის მიხედვით), ნიცშეს აზრით, ცხოვრების უარყოფამდე მიდის, „სიბრალული არის ნიჰილიზმის პრაქტიკა". სიბრალული რომ მთელ სამყაროს დაეუფლოს, თუნდაც მხოლოდ ერთ დღეს, ეს მთელ კაცობრიობას დაღუპვამდე მიიყვანდა. ნიცშეს სიტყვით, „სიბრალული დეკადენტების სათნოებაა".[2]

ნიცშე თავის მთავარ თხზულებაში — „ასე ამბობდა ზარატუსტრა" „მოყვასის სიყვარულის" — ანტითეზად წამოაყენებს „შორეულის სიყვარულს", რაც ჩვენი შთამომავლობის, კაცობრიობის ამაღლებულ, ბრწყინვალე მომავლის, ყოველივე იმის, რასაც იდეალი ეწოდება — სიყვარულს ნიშნავს. მოყვასის სიყვარულის ფსიქოლოგიურ კორელატს წარმოადგენს სულიერი სიღბო; შორეულის სიყვარულს ფსიქოლოგიური კორელაცია — სიმტკიცე. სულიერი სიმტკიცე, როგორც საზოგადოებრივ-მორალური შე-

---

1. „არისტოკრატიული მორალი, — ნიცშეს აზრით, — ბატონობდა წარმართულ ხანაში, ჯანსაღ ანტიკურობაში", ქრისტიანობის ფორმირებამდე. „მონათა მორალი" — ქრისტიანული მორალი მონათა ყოფის შედეგია მორალში, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა არისტოკრატიულ მორალთან ორიათასწლიანი ბრძოლის შედეგად. იხ. Nietsche F., zur Genealogie der Moral, samtl W., Bd 5, B N7, s. 267.

2. Nietsche F., Nietzsch contra Wagnen, samtl W., Bd 6, B N7, 1980, s. 29.

მოქმედებისა და ბრძოლის აუცილებელი პირობა, შორეულის სიყვარულის ეთიკის ძირითადი პოსტულატია".[1]

შორეულის სიყვარული მოითხოვს შეუპოვრობას საკუთარ მისწრაფებათა განხორციელებაში ყველა დაბრკოლების მიუხედავად; მისი იდეალია — ენერგიული, შეურიგებელი ბრძოლა გარშემომყოფთა „ახლობელთა" წინააღმდეგ „შორეულის" გამარჯვებისათვის გზის გასაწმენდად.

„მე თქვენ არ გასწავლით შრომას, მე თქვენ გასწავლით ბრძოლას. მე თქვენ გასწავლით არა მშვიდობას, არამედ გამარჯვებას. დე, თქვენი შრომა იყოს ბრძოლა, თქვენი მშვიდობა — გამარჯვება...

ომმა და ვაჟკაცობამ მეტი დიდი საქმენი შექმნას, ვიდრე მოყვასის სიყვარულმა..."[2] — ქადაგებს ზარატუსტრა.

ნიცშე-ზარატუსტრას მთელი იმედები მომავალს უკავშირდება. ამ მომავლით ადამიანთა ცხოვრების ახალი, ჭეშმარიტი საზრისით — ზეკაცით უნდა გამართლდეს კაცობრიობის აწყო და წარსული. ამ ზეკაცის გარეშე კაცობრიობის მთელ ისტორიას არავითარი საზრისი არ გააჩნია. ფიხტესა და ჰეგელის აბსოლუტთაგან განსხვავებით, ნიცშეს ზეკაცი ინდივიდია, პიროვნებაა. იგი თავად უნდა იყოს ახალ ღირებულებათა ფუძემდებელი, მისგან უნდა მიიღოს საზრისი ყოველმა არსმა, მან უნდა მისცეს საზრისი სამყაროს, ყოფიერებას, ცხოვრებას. ნიცშე ზეკაცს ათავისუფლებს გონისაგან, რათა მასზე მთლიანად ბატონობდეს ირაციონალური საწყისი. ეს ირაციონალური საწყისი „ირაციონალური ობიექტურობაა", შოპენჰაუერისეული ნება, ოღონდ პოზიტიურად სახეცვლილი. შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, ნიცშესთან ნება არის არა „არსებობის ნება" ან „სიცოცხლის ნება", არამედ ძალაუფლების ნება.

---

1. Франк С., Сочинения, М., "Правда", 1990, გვ. 21.

2. ს.ფრანკი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „აქ ჩვენ ეხვდებით ნიცშეს ერთ-ერთ ზნეობრივ „პარადოქსს", რომელსაც ნვეულებრივ მისი სისასტიკისა და უზნეობის დასადასტურებლად იყენებენ. მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ, რომ „ომი" გულისხმობს, როგორც ამას თავად ნიცშე განმარტავს, „ომი აზრებისათვის", საკმარისია გაეიცნობიეროთ მოყვანილი სიტყვების მნიშვნელობა „შორეულის სიყვარულთან" დაკავშირებით, რომ გაკრეს მათი პარადოქსალობა და ადგილი დაუთმოს ღრმად მართალ და კეთილშობილ აზრს. განა „კარგი ომი", ე.ი. პატიოსანი და ვაჟკაცური ბრძოლა საკუთარი „შორეულისათვის", საკუთარი მრწამსისა და იდეალებისათვის არ გვაიძულებს პატივისცემით მოვეპყრათ ამგვარი მებრძოლის ყოველ იდეალს", იქვე. გვ. 21.

ნიცშეს აზრით, ძალაუფლების ნება წარმართავს ადამიანთა ყველა ქმედებას, იქნება ის კეთილშობილური თუ მდაბალი, ქვენა. ნება ყოველი არსებულის პირველის საფუძველია, არსებითად იგივეა, რაც კოსმიურ ძალად ქცეული ძალაუფლების ნება.

გარე სამყაროსა და სხვებთან მიმართებაში ზეკაცი თავისუფალია სოციალური იძულებისაგან და მოკმედებს „მტაცებელი მხეცის"[1] უმწიკვლო სინდისით.

ნიცშეს რადიკალური არისტოკრატიულ-ელიტარული ინდივიდუალიზმი, რომელიც დიდ ადამიანებში „ისტორიის მიზანს" ხედავს, ორგანულად უკავშირდება „გონების", უბრალო ადამიანების, ბრბოს და „ბატონობის" დუალიზმს.

ზეკაცი ნახევრად თუ სავსებით ღვთაებრივია, ხოლო „ბელადი", „ფიურერი", რომლისთვისაც თანამედროვე კაცობრიობა მხოლოდ ძალის გამოცდის ობიექტია. ნიცშეს მიხედვით, ყველაფერი დიადი და ამაღლებული რჩეულთა ხვედრია. ზეკაცების საზოგადოება ეს არის ადამიანთა უმაღლესი კასტა. ეს ზეკაცთა არისტოკრატია, ნიცშეს აზრით, პოლიტიკურად უნდა ბატონობდეს საზოგადოებაზე.

ნიცშე მკაცრად აკრიტიკებს და გმობს სოციალისტურ მოძღვრებას, ყოველგვარ რევოლუციას, რაც, მისი აზრით, კლასობრივი სიძულვილისა და შურისძიებით გამსჭვალული მდაბიოთა, ბრბოს აჯანყებაა არისტოკრატების წინააღმდეგ, ყოველივე ამაღლებულისა და დიადის წინააღმდეგ. დემოკრატიული წესწყობილება, ნიცშეს მიხედვით, არის მდაბიოთა და მონათა, სუსტებისა და ხელმოცარულების შესაფერისი წყობილება და არა არისტოკრატიის, ელიტის. სოციალური სამართლიანობა, კანონის მიმართ მოქალაქეთა თანასწორობა, — ნიცშეს სიტყვებით, — ევროპული საზოგადოებისა და

---

2. „ჰიტლერი ორიენტირებული იყო ნიცშეს მითოქმნადობასა და ტიბეტურ მისტიკაზე. მაგრამ არსებითად ამარტივებდა მათ. მან ნიცშეს მოძღვრებას ნაშოაშორა რელიგიურ-მეტაფიზიკური არსება და ფსიქობიოლოგიურ ობიექტზე დაიყვანა — მიიღო ბრიმიტიული რასიზმი და ძალადობის კულტი. ისე მოექცა რობესპიერი რუსოს მოძღვრებას, სტალინი — მარქსისას და ა.შ. არც ერთ დიქტატორს ღრმად არ შეუსწავლია სულიერ წყაროდ გამოყენებული დიდ ფილოსოფოსთა მოძღვრება და არ დაინტერესებულა საკითხის არსით".

იხ. ბარამიძე გ., ბრაჭული ი., ფიფია თ., „ედუარდ შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში", თბ., „გონი", 1995, გვ. 17-18.

კულტურის ამაღლება-განვითარებას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ პირიქით, იგი გარდუვალად გამოიწვევს „ევროპული რასის გაუარესებასა“ და ევროპული კულტურის დაცემა-დაკნინებას. სოციალიზმი, — ნიცშეს მტკიცებით, — ეს არის საყოველთაო მონობის საზოგადოება, სოციალიზმი ადამიანს აქცევს „სრულყოფილი ჯოგის ცხოველად“. სოციალისტებს, — ნიცშეს სიტყვებით, — სურთ ევროპაშიც ჩინური წესწყობილების შემოღება, ჩინური „ბედნიერების“ მიღწევა“.[1]

ლიდერობის კონცეფციების შემუშავებაზე მეტად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ფროიდიზმმა (ფსიქოანალიზის თეორია და მეთოდი). სახელწოდება დაერქვა ავსტრიელი ნევროპათოლოგისა და ფსიქიატრის ზიგმუნდ ფროიდის (1856-1939) სახელის მიხედვით. ფროიდის ახალმა იდეებმა და საკითხისადმი ახლებურად მიდგომამ დიდი როლი შეასრულა XX საუკუნის დასავლეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში.[2]

ზ.ფროიდისათვის ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ძირითად იმპულსს წარმოადგენს ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილი მისწრაფება „ლიბიდოსაკენ“[3] (ტკბობისაკენ არაცნობიერი მისწრაფება), რაც არსებითად ადამიანის ქცევის მოტივაციის საფუძველსაც წარმოადგენს. ქცევისათვის ენერგიის მიმცემი, მისი ენერგეტიკული საფუძველია „ლიბიდოიდური ენერგია“, ისე რომ თვით მაღალი ღირებულების ნებისმიერი ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმს „ლიბიდოიდური ლტოლვები“ წარმოადგენს, ოღონდ სუბლიმაციის — ენერგიის გადახრის — სახით გამოვლენილი. ასეთ სუბლიმაციაზე დაყვანება საზოგადოდ კაცობრიობის კულტურული განვითარება.

ცივილიზაციას ზ.ფროიდი განიხილავს, როგორც არაცნობიერი, პირველ

---

1. Nietsche F., Die frohliche Wissenschaft, samtl W., Bd 3, B N7, 1980, s. 399.

2. ზ.ფროიდის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავ უნივერსიტეტების გაერთიანებულ საიუბილეო სხდომაზე ფრანკფურტში სიამაყით აღინიშნა: „დღეს მსოფლიოში (სსრკ გამოკლებით) არ არსებობს ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, შედიცინა, ფილოსოფია და ესთეტიკა, რომელიც არ იყენებდეს ფროიდის მოძღვრებასა და მეთოდებს“. ამან განაპირობა ის, რომ პოპულარობა მოიპოვა ლოზუნგმა — „ჩვენი დრო ფროიდის გარეშე ძნელად მოსაზრებელია“. იხ. ვ.კაკაბაძე, „სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები“, თბ., 1979, გვ. 87.

3. ფსიქოანალიზში ლიბიდო არის სექსუალური ლტოლვის ფსიქიკური ენერგიის გამომხატველი ტერმინი.

4. ა.ბუცხრიკიძე.

რიგში, სექსუალური მიდრეკილებების სუბლიმაციას.

ფსიქოანალიზში სექსუალურ ლტოლვებზე ყურადღების შეჩერება არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს ავტორი სხვა ლტოლვების არსებობას უარყოფდეს. აქ საქმე გვაქვს, ფროიდის მითითებით, შემეცნების ცალმხრივობასთან და არა ფაქტობრივი ვითარების უგულებელყოფასთან.

ფსიქოანალიზი პანასექსუალისტურ ნიადაგზე არ დგას. მან მხოლოდ ერთმანეთისაგან განასხვავა ეროტიკული, რაც იმავე შენარჩუნებისა და გაერთიანებისაკენ წარმმართველი მისწრაფებაა, და დესტრუქციის (დანგრევისა და განადგურების) ლტოლვები. ყოველი ახალი საფეხური ცივილიზაციის პროგრესის გზაზე მოითხოვს არქაული მემკვიდრეობის შინაარსისა და ლტოლვების დაკმაყოფილების მზარდ შეზღუდვასა და ლიბიდოს სუბლიმაციას. ამგვარი ვითარების კვალობაზე სულ უფრო ძნელდება ლტოლვების ენერგიის გადატანა სოციალურად მისაღებ ქმედებებზე, ვინაიდან „სოციოკულტურული" გარემო ინსტინქტების დათრგუნვას ახდენს, თუმცა ინსტინქტებით წარმოქმნილ იმპულსებს გზა ეხშობა ცნობიერებისაკენ, მაგრამ „ფსიქიკური ენერგიის" მუხტი არ იხსნება. იგი ეძიებს შემოვლით გზებს რეალიზაციისათვის, იწვევს ნევროზებს. ასეთ ნევროტიკულ პიროვნებებს, ნაწილობრივ შეშლილებს წარმოადგენენ დიდი ადამიანები, ლიდერები. მათ ინსტინქტებში მძლავრობს სხვებზე ბატონობის სწრაფვა. დათრგუნვილი ლიბიდოს სუბლიმაცია ხდება, უწინარეს ყოვლისა, ლიდერობისადმი, ძალაუფლებისადმი სწრაფვაში.

ინსტინქტების სუბლიმირებული და არა სუბლიმირებული ფორმების, არაცნობიერისა და ცნობიერების ურთიერთქმედება განსაზღვრავს საზოგადოების ბუნებას, მის ფუნქციონირებას, კონფლიქტებს. ფროიდის აზრით, ინდივიდის ფსიქიკისათვის სიღრმისეული მარადიული კონფლიქტები იქცევა მორალის, ხელოვნების, მეცნიერების, რელიგიის, სახელმწიფოს, სამართლის, ომებისა და ა.შ. მიზეზად და შინაარსად, რაც უშუალო წვდომისათვის დაფარულია.

ფროიდის მიხედვით ადამიანის საქციელს სამი ურთიერთმოქმედი ინსტანცია განაგებს: „იგი", „მე", „ზე-მე" (Über-Ich). „იგი" ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა და ლტოლვათა სფეროს აღნიშნავს, „მე" — ცნობიერების სფეროს, ხოლო „ზე-მე" — გარემომცველი საზოგადოებისაგან მომდინარე

და ინდივიდის ცნობიერებაში დალექილი, ძირითადად ზნეობრივი ხასიათის შეხედულების, მოთხოვნილებისა და ნორმების სფეროს ინდივიდის საქციელს უშუალოდ „მე" განაგებს, ოღონდ ისე, რომ, ამასთან, ერთი მხრივ, ბიოლოგიურ ლტოლვათაგან მომდინარე იმპულსებით ხელმძღვანელობს, ხოლო, მეორე მხრივ, — „ზე-მეს" მოთხოვნილებითა და ნორმებით. რამდენადაც ლტოლვები თავიანთი იმპულსებით ზოგჯერ „ზე-მეს" მოთხოვნებსა და ნორმებს ეწინააღმდეგება, ამდენად, „ცენზორი" განდევნის მათ, „მეს" შიგნით არ უშვებს და, მაშასადამე, შესატყვის საქციელში რეალიზაციის უფლებასა და საშუალებას არ აძლევს. მაგრამ განდევნილი ლტოლვები არ ქრება და ხელს არ იღებს რეალიზაციაზე, არამედ სააბისო გზას ეძებს. ხოლო რამდენადაც ეს გზა ცნობიერებაზე გადის, ამდენად, ისინი ცნობიერებაში შეღწევის საშუალებებს ეძებენ და ბოლოს და ბოლოს პოვებენ კიდევაც: გარეგნულ სახესა და მანერებს იცვლიან, ინიღბებიან, თავს სხვად აჩვენებენ, ანუ „სუბლიმაციას" ეწევიან; ამით „ცენზურა" შეცდომაში შეჰყავთ, ცნობიერებაში იჭრებიან შეუმჩნევლად და, ამგვარად, რეალიზაციას აღწევენ. რამდენადაც განდევნილ ლტოლვას ცნობიერება ვერ შეიცნობს და სხვად იღებს, ამდენად, იგი არაცნობიერი ფაქტორის სახით მოქმედებს და მისგან განპირობებული საქციელიც არაცნობიერ საქციელს წარმოადგენს.

ერთობა ინდივიდთა, რომლებიც ერთი და იმავე პიროვნებას — ფროიდის მიხედვით პირველად ჯგუფს წარმოადგენს — ლიდერს — თავის იდეალად მიიჩნევენ, საკუთარ თავს აიგივებენ მასთან და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ ფენომენს აქვს ადგილი — საკუთარ მესაც ერთიმეორესთან აიგივებენ. აღნიშნული წესით დგინდება ემოციური კავშირების ორი რიგი: ჯგუფის წევრებს შორის და ჯგუფის ყოველ წევრსა და ლიდერს შორის. ფროიდის ჯგუფურ ფსიქოლოგიაში ლიდერი საკვანძო ფიგურას წარმოადგენს. სწორედ ლიდერთან ჯგუფის წევრების ურთიერთობა პირველი რიგის კავშირს წარმოადგენს, იგი, გარკვეული აზრით, განსაზღვრავს ჯგუფის წევრების ურთიერთდამოკიდებულებას. ლიდერთან კავშირის დარღვევის შემთხვევაში ჯგუფი იშლება. ფროიდის თვალსაზრისით, ლიდერის ფსიქოლოგია მკვეთრად განსხვავდება ჯგუფის სხვა წევრების ფსიქოლოგიისაგან. საკუთარი „მე"-ს გარდა, ლიდერი არავის მიმართ არ აკლენს ემოციურ ერთგულებას. მას არავინ არ უყვარს, საკუთარი თავის გარდა, თვითდაჯერებული

და დამოუკიდებელია. ნარცისიზმის ეს თვისება ხდის მას ლიდერად. იგი ყველა იმ თვისებითა და უნარითაა დაჯილდოებული, რომლებამდეც ვერ მაღლდებიან მისი ჯგუფის წევრები. ამიტომ ლიდერი ხდება მათი, ე.წ. მეიდეალი. ლიდერთან იდენტიფიცირებაში სრულიად არ იგულისხმება ერთგვარმნიშვნელობიანი პოზიტიური გრძნობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯგუფური დინამიკის ფროიდისეული თეორიის საკვანძო ცნებებს წარმოადგენს იდენტიფიკაციის დესექსუალიზებული ლიბიდოს ცნებები.

როგორც ცნობილია, მმართველობისა და ბატონობის იდეალს სოციალური პროცესებისა და განვითარების ტენდენციების გარკვეული გაგება უდევს საფუძვლად. ესაა აღნიშნული პროცესებისა და ტენდენციების, საზოგადოებრივი ყოფიერების გაგება სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართების სახით. თანამედროვე ადამიანისათვის ყოველივე არსებული არის ან ობიექტი (ის, რაც გარედან ზემოქმედებას, გარდაქმნას, მართვასა და მოწესრიგებას ექვემდებარება), ანდა — სუბიექტი (ის, ვინც ზემოქმედებს, გარდაქმნის, მართავს და აწესრიგებს). ყოფნა ან ობიექტად, ან სუბიექტად არსებობას ნიშნავს. ბუნებრივია, უპირატესობა სუბიექტად ყოფნას ენიჭება, რადგანაც ობიექტის სახეს სუბიექტი განსაზღვრავს და იმად აყალიბებს, რაც არის. ყოფნა, პირველ რიგში, სუბიექტად ყოფნაა და, მეორე რიგში, — ობიექტად ყოფნა. ხოლო არ იყო არც ერთი, მაშინ ეს მდგომარეობა, საერთოდ, საზოგადოებრივი ყოფიერების გარეშე დგომას მოასწავებს. ყოფნას რომ მიესწრაფვის და ყოფნის ამ გაგებით ხელმძღვანელობს, ადამიანი, პირველ ყოვლისა, მმართველგანმგებლის, ხელისუფალის, ლიდერის, — „ბელადის" პოსტს უმიზნებს, მაგრამ თუკი ამ მხრივ უძლურად გრძნობს თავს, ნატრობს ლიდერის გამოჩენას, რათა მისი ზემოქმედების ქვეშ ობიექტად მოექცეს"[1] — და, ამგვარად, საზოგადოებრივი ყოფიერების სისტემაში ჩაერთოს, ლიდერის მიერ მითითებულ და ნაბრძანებ, ძალოვანი სტრუქტურებით საიმედოდ დაცულ, ოფიციალურად რეკომენდებულ კურსს მისდევს.

ზიგმუნდ ფროიდის წარმოდგენა საზოგადოების სტრუქტურასა და დი-

---

1. თანამედროვე დასავლეთში სადიზმის გეერდით ფრიად გავრცელებულია მაზოხიზმი, როგორც სხვის ხელში თავისი თავის ობიექტად და იარაღად განწყობის ტენდენცია.

ნამიკაზე საკმაოდ ბუნდოვანია. ის მოძღვრებაში არსებითად განიხილება მხოლოდ ერთი სტრატიფიკაციული სქემა: „ლიდერი — ელიტა — მასები". მხედველობაში აქვს რა ლიდერობის მხოლოდ ავტორიტარული ფორმა, ფროიდს მიაჩნია, რომ მასები ყოველთვის ეძიებენ და თაყვანს სცემენ ლიდერებს; მათ ამოძრავებთ დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობაზე უარის თქმის უძლიერესი სურვილი. ლიდერის გაიდეალება და მასთან იდენტიფიკაცია, ფროიდის თვალსაზრისით, სოციალური ბატონობის ერთი ძირითადი მექანიზმია.

ზ.ფროიდის მოწაფეები და მიმდევრები საზოგადოებას ჰყოფენ ფსიქიკურად ნორმალურ, შემოქმედებით უნარს მოკლებულ ადამიანებად და ლიდერებად, რომლებიც მათი შეხედულებით, მანიაკებს, ფსიქოპათებს წარმოადგენენ. პარანოიკებს უდავოდ მთელი რიგი უპირატესობა ახასიათებთ ლიდერობისათვის ბრძოლაში. ექსტრემალურ სიტუაციებში, სადაც ნორმალური ადამიანი ბუნებრივად მერყეობს, ზოგჯერ კი სასოწარკვეთილებასაც ეძლევა, ფსიქოპათური პიროვნებები თავს ჩვეულებრივად გრძნობენ, მათ ყველა მოვლენასა და ფაქტზე საკუთარი აზრი გააჩნიათ.

ფროიდის ერთ-ერთი გამოჩენილი მიმდევარი ოტო რანკი წიგნში „დაბადების ტრავმა" აღნიშნავს, რომ ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სხვადასხვა საშუალებებით „დაბადების ტრავმის" მოშუშებას ცდილობს. დაბადების დროს ადამიანი მძიმე ნერვულ შერყევებს განიცდის, რომლის დაძლევაც მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ შეუძლია. არაცნობიერში განდევნილი დაბადების შიში ხდება არაცნობიერის და შედეგად ადამიანის ფსიქიკის საფუძველი. ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობს განვითარების მუცლად ყოფნის პერიოდის ნეტარებაზე, როდესაც იგი და მშობელი დედა ერთიან ორგანიზმს შეადგენდნენ. „ყველა ლეგენდა „ოქროს ხანის" შესახებ ასახავს ადამიანის მისწრაფებას — დაუბრუნდეს მშობელი დედის წიაღს"[1] — შენიშნავს ოტო რანკი. „ადამიანის კულტურული მოღვაწეობა, — განაგრძობს ავტორი, — მიმართულია იქითკენ, რათა სამყარო დედის წიაღის შემცველად გადააქციოს: გამოქვაბუ-

1. ზიგმუნდ ფროიდის ერთ-ერთი მოწაფე კოლნი კომუნიზმს განიხილავდა, როგორც ადამიანთა მისწრაფებას დაუბრუნდნენ „დედის წიაღს", იხ. БСЭ, М., 1935, ტ. 59, გვ. 192.

ლები, რომლებშიც თავს აფარებდნენ ჩვენი შორეული წინაპრები, მყუდრო ოთახი, ჩვენზე მზრუნველი სახელმწიფო და პოლიტიკური ლიდერები — ყოველივე ეს მხოლოდ დედის წიაღის სიმბოლოა".[1]

ფსიქოანალიზის ტრადიციის თანახმად, ადამიანი ცდილობს რა გადალახოს „გაუცხოების-აუტანელი გრძნობა", მიილტვის ლიდერობისაკენ, ანდა ლიდერის ნებისადმი დამორჩილებისაკენ. „ძალაუფლების ნება", ლიდერობისა და სხვა ადამიანებზე ბატონობის დაუოკებელი სურვილი განიხილება, როგორც „ადამიანის ბუნებრივი თვისება", ე.ი. როგორც აქსიომატური დებულება. ამ თეზისის ოპერირებით ხდება საზოგადოებრივ მოვლენათა, კერძოდ, ლიდერობის ფენომენის დესკრიფცია და ინტერპრეტირება.

ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე მსჯელობისას, რომლებიც დაკავშირებულია ლიდერობის ფენომენთან, დასავლეთის, ე.წ. ფსიქოსოციოლოგებს ჩვეულებრივ სიმძიმის ცენტრი გადააქვთ იდენტიფიკაციის მექანიზმზე. ზ.ფროიდის მიხედვით, იდენტიფიკაცია ნიშნავს „სიყვარულის ობიექტთან" საკუთარი თავის გაიგივებას. ჯერ კიდევ ფროიდამდე სოციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი გ.ტარდი (1843-1904) შენიშნავდა, რომ „როდესაც ბრბო შეჰხარის თავის ლიდერს, იგი საკუთარი თავით ტკბება".[2]

უ.ჰაგემანი ლიდერობას პიროვნების მიერ სხვათა ფსიქიკური „ამუხტვის" უნარით ხსნის. „იმ პიროვნებას (ლიდერს) კი არ ძალუძს მიიმხროს მასა, ვისაც ხელეწიფება ლოგიკური აზროვნება და მკაფიო მეტყველება, არამედ იმას, ვინც სომნამბულის უნარს ფლობს, შეუძლია გამოიწვიოს მღელვარება თანამონაწილეთა შორის და ფსიქიკის სიღრმისეულ ძალებზე ზემოქმედებით მთლიანად დაეუფლოს ადამიანს... ყველაზე ილბლიანი ბელადი არის არა ის, ვინც ყველაზე ჭკვიანი ან ძლიერია, არამედ ასეთი შთაგონების ძალით დაჯილდოებული ლიდერი... აზროვნების სიცხადე დაბრკოლებაა მიმდევართა ვნებებისა და ინსტინქტების გაღვივების გზაზე".[3]

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მაქს შელერი (1874-1928) ბრძოლას ადამიანთა შორის მუდმივ ფაქტად აცხადებს, რომლის პირველადი წყაროა სწრაფვა ხელისუფლებისაკენ. მისი აზრით, იგი

---

1. Rank O., Das Trauma der gebart, W., 1924, s. 79.
2. Тард Г., Общественное мнение и толпа, М., 1902, гз. 45.
3. Hageman W., Vom Mythos der mass, Heidelberg, 1951, s.13.

არ არის მოთხოვნილებით განსაზღვრული. ეს ძალა შინაგანია და შინაგანი ფსიქიკური სტრუქტურის გამოხატულება. წარმოადგენს.[1]

ფსიქოანალიზის მიმართულების წარმომადგენელი ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, ე.წ. „ინდივიდუალური ფსიქოლოგიის", სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი ალფრედ ადლერი (1870-1937) ზ.ფროიდს აკრიტიკებდა ადამიანის ქცევის დეტერმინირებისას სექსუალობისა და არაცნობიერის როლის გაზვიადების გამო. ზ.ფროიდის საპირისპიროდ იგი ყურადღებას ამახვილებდა სოციალურ ფაქტორებზე. თავის მოძღვრებაში ა.ადლერი იცავდა პიროვნების ფსიქიკური ცხოვრების შინაგანი ერთიანობის პრინციპს, უარყოფდა მკვეთრი საზღვრებისა და ანტაგონიზმის არსებობას ცნობიერსა და არაცნობიერს შორის.

ა.ადლერის კონცეფციის მიხედვით, პიროვნების განვითარების ძირითად მამოძრავებელს წარმოადგენს უნივერსალური სწრაფვა უპირატესობისაკენ, წარმატებისა და ლიდერობისაკენ, რასაც ძლიერად ალვიებს სხეულის „სისუსტით", ან რაიმე ფიზიკური ნაკლით გამოწვეული არასრულფასოვნების გრძნობა. ამით ხდება ამ გრძნობის კომპენსირება.

პიროვნების ფორმირების ადლერისეული სქემა ფორმით ფროიდისეულს გვაგონებს, მაგრამ თუ ფსიქოანალიზის მამამთავართან იგი ეფუძნება ლტოლვის, როგორც თავისი არსით ასოციალური ფენომენის გაგებას, „ინდივიდუალური ფსიქოლოგია" ემყარება წარმოდგენებს ლტოლვაზე, როგორც თავის არსობრივი მიმართულებით სოციალურ ფენომენზე.

ა.ადლერის იდეებმა ხელი შეუწყეს ფროიდიზმის მოდიფიკაციას, რამაც საბოლოო ანგარიშით „ნეოფროიდიზმის" წარმოშობა გამოიწვია. „ინდივიდუალურმა ფსიქოლოგიამ" ინტენსიური გავრცელება პოვა 20-30-იან წლებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო წრეებში.

რეკონსტრუირებული ფსიქოანალიზის კონცეფცია — ნეოფროიდიზმი, მართალია, უარყოფს ფროიდის ბიოლოგიზმს და გარკვეულ მნიშვნელობას სოციალურ ფაქტორს ანიჭებს, მაგრამ ადამიანის ქცევისა და ცნობიერების განმსაზღვრელ საფუძვლად მიდრეკილებებს მიიჩნევს, რომლებსაც ადა-

---

1. იხ. Scheler m., Der genius des [illegible]es und der Deutsche Krieg, B. 1915.

მიანის ფსიქიკაში დაუძლეველი ლტოლვების სახით აქვთ გადგმული ფესვები. ნეოფროიდიზმის ადეპტების მიერ ფსიქიკური ნორმები განიხილება, როგორც სოციალური გარემოსადმი პიროვნების წარმატებითი ადაპტაცია. მათი შეხედულებით, კონფლიქტი ადამიანსა და სოციოკულტურულ გარემოს შორის იწვევს პიროვნების ფსიქიკის დესტრუქციას, მის დაავადებებს, ნევროზებს, რომელთა რიცხვს ამერიკელი ფსიქოლოგი კარენ ჰორნეი მიაკუთვნებს „ძალაუფლების ნევროზს“ — ლიდერობისაკენ ყოვლისშემძლე მისწრაფებას, ადამიანებზე ბატონობის უძლიერეს სურვილს“.[1] ასეთ პიროვნებებში მოჰარბებულია პრესტიჟის წყურვილი და შეღლის გრძნობა მათში, ჩვეულებრივ, სხვათა დამცირების ძლიერი სურვილის ფორმას ღებულობს.

ნეოფროიდიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ერიხ ფრომის (1900-1980) მოძღვრების მიხედვით, ცალკეული ინდივიდის არაცნობიერი განისაზღვრება მისი ეგზისტენციალური და სოციალური წინაალმდეგობით, რაც წარმოშობს განცალკევებულობის, მარტოობის, დაურწმუნებლობის გრძნობებს. ადამიანის გაუცხოება შიშის ძირითადი წყაროა, ხოლო შიშისაგან თავის დახსნას ადამიანი ეძებს „ავტორიტარულობის“, „ძალაუფლების წყურვილის“, „ნგრევისადმი მისწრაფების“, „ავტომატიკის კონფორმიზმის“ კომპლექსებში. როგორც ცნობილი ბულგარელი მკვლევარი ს.სტოევი შენიშნავს კოლექტიურ მონოგრაფიაში გამოქვეყნებულ სტატიაში, ეს ყოველივე ძალზე ახლოა სადიზმის, მაზოხიზმის, ლიბიდოს, „სიკვდილისადმი სწრაფვის“ ფროიდისეულ გაგებასთან“.[2]

დღემდე პოლიტოლოგები, სოციოლოგები და სოციალური ფსიქოლოგები დიდ ინტერესს იჩენენ ლიდერობის ფენომენის ლებონისეული დესკრიფციის მიმართ. ზიგმუნდ ფროიდის მრავალი გამოკვლევა მასების ქცევის შესახებ, ჯგუფის ფსიქოლოგიისა და ego-ს ანალიზები მნიშვნელოვანწილად გუსტავ ლებონის (1841-1931) შრომებს ეფუძნება. გ.ლებონის კონცეფცია გადმოცემულია წიგნში „ბრბო“. ავტორის შეხედულებით, „ჯგუფში ან მასაში ქრება პიროვნებათა ინდივიდუალური განსხვავებანი და ამ ვითარების შედეგად

1. Horney K., Nerviousis and Human Groufh. N.Y., 1950, p. 61.
2. Бессознательное. Природа, функции, методы исследованияб Тбилиси, "Мецниереба", 1978, стр. 293.

წარმოქმნილ პიროვნებათა ნიველირება შესაძლებლობას უქმნის ძლიერ ლიდერს თავისი ნება განავრცოს მასაზე. ამას იგი მოიმოქმედებს საზეიმო განცხადებების (აფირმაცია), განმეორებების (რეპეტიცია) და მსმენელსა და მაყურებელზე საკუთარი მიზნების, შეხედულებების, შეფასებებისა და ლირებულებითი ორიენტაციების „გადადების" (Заражение, contagtion), გავრცელების მეშვეობით".[1]

ყოველგვარი მტკიცებისა და დასაბუთებისაგან თავისუფალი მარტივი და სადა საზეიმო განცხადება (აფირმაცია) მასის ცნობიერებაში პოლიტიკური ლიდერისათვის სასარგებლო იდეების ჩანერგვის საიმედო იარაღია. მაგრამ აფირმაციას არა აქვს რეალური ზეგავლენა, თუ არ ხდება მისი მუდმივად გამეორება (რეპეტიცია) და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმავე ტერმინებით. საკმარისი განმეორების შედეგად მიიღწევა ერთსულოვნება და ყალიბდება მოარული შეხედულება. ამის შემდეგ კი მოქმედებას იწყებს სოციალურ-ფსიქოლოგიური „გადადების" ძლიერი მექანიზმი. ამ მექანიზმის მოქმედების გამოვლინება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. უნდა აღინიშნოს მასობრივი ფსიქოზები, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში დიდ სოციალურ ერთობებს ეუფლება. ზოგჯერ ეს მოვლენა ცალკეულ პირებშიც ვლინდება. შესაძლებელია, რომ ისინი განსხვავებულ სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგალითად, მასობრივი სპორტული აზარტით (მაგ., ესპანეთში კორიდა), ან რელიგიური ექსტაზით (მაგ., ჰომეინის ირანში ფუნდამენტალიზმის აფეთქება) დაწყებული, დამთავრებული პოლიტიკური შეფერილობის მასობრივი ფსიქოზით (მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ გერმანული ფაშიზმი, რუსული „ელიკოდერეაკული" შოვინიზმი და ქართული ნაციონალიზმი და ა.შ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება ლიდერობის ფენომენის ანალიზსა და მასის ფსიქოლოგიას, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადამიანის ფსიქიკაში შენარჩუნებულ არქაიზმული დანაშრევების გამოვლინების საკითხს.[2]

ეს თვალსაზრისი, ისევე როგორც ჩვენ პრიმიტიულ წინაპრებს, თანამედ-

---

1. Daniel Bell, Notes on authoritarian und Democratic Leadership, in studie in Leadersip n.y. 1950, p. 400.
2. Hid, p. 399.

როგორ ადამიანსაც განიხილავს, როგორც აუხსნელი შიშით მოცულ არსებას. შიშის განსაკუთრებული მდგრადობის ფსიქოლოგიური სპეციფიკა დაკავშირებულია იმასთან, რომ მისი გამომწვევი შემთხვევები მტკიცედ ფიქსირდება, ხოლო შიშის დამადასტურებელი აშკარად არაადეკვატური ფაქტები გამოიდევნება ფსიქიკიდან. პირველადი ინტენციები (არახელსაყრელი სიტუაციების აცილების სურვილი და ა.შ.) შენარჩუნებულია ფსიქიკაში და ექსტრემალურ სიტუაციაში გამოვლინდება, როდესაც ცივილიზაციის მოჩვენებითი საფარველის ჩამოშორებით შიშვლდება უხეში, სასტიკი პიროვნება.[1] ასეთ ადამიანში ადვილად პოვებს გამოძახილს ყოველნაირი შეფერილობის მაგია, გრძნეულობა. ადამიანის სტრუქტურაში მისი განვითარების მაგიური საფეხურის რესტავრაცია პიროვნების ეთიკური და ინტელექტუალური არსის დეზინტეგრაციას იწვევს და ბიოლოგიურ-გვარეობითი არსების დონეზე დაჰყავს. მიზანდასახული პოლიტიკური ლიდერი ფლობს ადამიანში მაგიური გრძნობების გამოხმობის უნარს. ინდივიდების ჯოგად გადაქცევის მიზნით ეწყობა რიტუალური ცერემონიები (მიტინგებისა და მარშირების სახით), იქმნება მოკრძალების, რიდის, შიშის განწყობა. რიტუალურ ცერემონიებს თან ახლავს მაგიური ფორმულის უსასრულო სკანდირება (მაგ., საქართველოში ზვიადი, ზვიადი, ზვიადი..., ხოლო ფაშისტურ იტალიაში — დუჩე, დუჩე, დუჩე... და ა.შ.) და ბრბოს ვედრება ქარიზმატული ლიდერის გამოჩენის, როგორც მედიატორისა შიშით მოცულ ადამიანებსა და მათთვის გაუცნობიერებელ, გაუგებარ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალებს შორის.

ჩვენი აზრით, მასებზე პოლიტიკური ლიდერის სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მექანიზმების პარალელურად ფუნქციონირებს საზოგადოების ინტელექტუალურ-ზნეობრივსა და მმართველ ელიტებზე ლიდერის ემოციურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების — შთაგონებისა და დარწმუნების — მექანიზმები.

რეალიზაციის მეთოდების თვალსაზრისით განხილვისას, პოლიტიკური ლიდერი ძირითადად სარგებლობს პირდაპირი (იმპერატიული) წინასწარგანზრახული შთაგონების მექანიზმით (უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არ არის

1. Daniel Bell, Notes on authoritarian und Democratic Leadership, in studie in Leadersip u.y. 1950, p. 400.

გამორიცხული არაპირდაპირი წინასწარგანუზრახველი შთაგონების მექანიზმით სარგებლობა). ლიდერი წარმატებით იყენებს სპეციალურ „ვერბალურ ფორმულებს“, რომლებიც ადგილს იმკვიდრებს ინდივიდის ან ჯგუფის ფსიქიკის სფეროში და იქცევა მათი ცნობიერებისა და ქცევის აქტიურ ელემენტად. ამრიგად, ლიდერის პოლიტიკური პოზიციების შინაგანად გათავისების შედეგად ხდება ინდივიდუალური განწყობის რეალური გარდაქმნა და ამ პოზიციების შეფასება, როგორც უფრო დასაბუთებულისა და ობიექტურისა, ვიდრე საკუთარი თვალსაზრისისა. შთაგონება არ საჭიროებს ლოგიკურ დასაბუთებათა სისტემას და მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობის ღრმად გაცნობიერებას. „შთაგონება, — როგორც აღნიშნავდა ვ.ბეხტერევი, — მოქმედებს ფსიქიკურ მდგომარეობათა, ე.ი. იდეების, გრძნობებისა და აღქმათა უშუალო ჩანერგვით, არ მოითხოვს საერთოდ არავითარ დასაბუთებას და არ საჭიროებს ლოგიკას“.[1]

პოლიტიკური ლიდერისათვის შთაგონება წარმოადგენს ხელსაყრელ იარაღს სოციალური ჯგუფის, ან ცალკეული ინდივიდის ემოციური მდგომარეობის, მათი მოტივაციების მიზანმიმართული შეცვლის მიღწევის საქმეში.

შთაგონებისაგან განსხვავებით, დარწმუნება, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური, აგრეთვე ემოციურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდი, ეფუძნება ლოგიკურ დასაბუთებათა სისტემას და ადამიანის მისადმი გაცნობიერებულ დამოკიდებულებას გულისხმობს“.[2] მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ დარწმუნების ფორმირების პროცესში არ მონაწილეობდეს არაცნობიერის ელემენტები ანტიკურ ხანაში, ჯერ კიდევ პლატონი აღნიშნავდა, რომ ადამიანთა დარწმუნება შესაძლებელია ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ახალი ცოდნის ჭეშმარიტების ლოგიკურ დასაბუთებათა გზით, არამედ შთაგონებითაც. პლატონის შეხედულებით ორატორები და მოსამართლენი ხშირად არწმუნებენ მსმენელებს „არა ცოდნით, განათლების გზით, არამედ... თავისთვის სასურველი შეხედულების შთაგონების გზით“.[3]

---

1. В.М.Бехтерев, Внушение и его роль в общественной жизни, СПБ, 1908, გვ. 2.
2. იხ. Линайт С., Кром М., Лидер и тебе, М., 1995, გვ. 52.
3. Платон, Теэтет, М., 1936, გვ. 145.

დარწმუნება უბიძგებს ინდივიდს, სოციალურ ჯგუფს იმოქმედოს თავიანთი ღირებულებითი ორიენტაციების შესაბამისად, რაც პოლიტიკური ლიდერის უშუალო ზემოქმედებით ყალიბდება. მისივე უშუალო ზეგავლენით იქმნება პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ და ა.შ. შეხედულებათა მოწესრიგებული სისტემა — მრწამსის ერთობლიობა, რაც მათ მსოფლმხედველობას შეადგენს. დარწმუნების მეთოდის საფუძველს წარმოადგენს დასკვნებისა და ფაქტების ლოგიკური მოწესრიგება, რომელიც პოლიტიკური ლიდერის ერთიანი ფუნქციური ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად ხორციელდება.

თავი მესამე

პოლიტიკური ლიდერობის ტიპოლოგია

ბრავალ დასავლურ პოლიტოლოგიურ გამოკვლევაში ლიდერობის ტიპოლოგიას საფუძვლად უდევს ხელისუფლებით აღჭურვილ პიროვნებათა ავტორიტეტის კლასიფიკაცია, რაც ერთ-ერთმა პირველმა გერმანელმა სოციოლოგმა, სოციალურმა ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა და ეკონომისტმა მაქს ვებერმა (1864-1920) განახორციელა. ვებერის შრომებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს XX საუკუნის სოციალურ-მეცნიერული ცოდნის განვითარების მიმართულება.

მაქს ვებერმა გამოთქვა აზრი, რომ ხელისუფლებამ შეიძლება შეიძინოს „ლეგიტიმურობა",[1] ე.ი. მართვის სამართლებრივი საფუძვლის აღიარება, არსებითად სამი გზით:

1. ტრადიციის წყალობით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იქის მეშვეობით, რომ ის „ყოველთვის" ფლობდა კანონიერებას. მონარქიულ საზოგადოებაში ხელისუფლების სამართლებრივი საფუძველი ძირითადად ამ ტიპისაა;

2. როგორც რაციონალურ-სამართლებრივი ხელისუფლება, არსებული იქ, სადაც მმართველობის საჭესთან მყოფ პირებს ემორჩილებიან იმ კანონთა სისტემის მართლზომიერების საერთო აღიარების ძალით, რომლის პირობებშიც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ და თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ;

3. როგორც ქარიზმატული ხელისუფლება, დაფუძნებული ხელმძღვანელისადმი რწმენაზე, რომელსაც მიაწერენ განსაკუთრებულ პიროვნულ ღირსებებს. ზოგიერთ შემთხვევაში აქ შესაძლებელია გაღმერთების ელემენტი, ვთქვათ, როდესაც საქმე ეხება რელიგიურ წინასწარმეტყველს, ხოლო სხვა შემთხვევაში ასეთი რწმენა შეიძლება წარმოიშვას განსაკუთრებული

---

1. საშართალმცოდნეობის ტერმინი „ლეგიტიმურობა" სპეციფიკური სოციოლოგიური აზრით, სამეცნიერო ხმარებაში შემოტანილია მაქს ვებერის მიერ. ეს ტერმინი გამოიყენება პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიაში სოციალური წესრიგის კანონიერების ასპექტში დახასიათებისათვის. იხ. Weber m.gesammelte dufsatze zur Wissenshuftsechre. Tub. 1951.

ნიჭის გამოვლენის შედეგად.

(ამრიგად, ვებერი ერთმანეთისაგან განასხვავებს ლიდერობის ანუ ბატონობის სამ ტიპს. ამასთანავე, ლიდერობის ლეგიტიმურობას შეიძლება სამგვარი ხასიათი ჰქონდეს: ტრადიციული, რაციონალურ-ლეგალური და ქარიზმატული.)

(ლიდერობის ისტორიულად პირველი ტიპი — ტრადიციული — დამახასიათებელია წინაინდუსტრიული საზოგადოებისათვის.) იგი პირველყოფილი, მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების ფარგლებში ვრცელდება.) ბატონობის, ანუ ლიდერობის-ტრადიციული ტიპი გამორიცხავს რაციონალობის პრინციპს და ვერ უზრუნველყოფს მართვას, რომელიც გამოირჩევა სიმტკიცით, სიზუსტით, დისციპლინითა და საიმედოობით. ამგვარი მართვა შესაძლებელია მხოლოდ მოხელეების კომპეტენტურობით, სპეციალიზაციითა და საქმიანი მიდგომით. ასეთი რამ დამახასიათებელია მხოლოდ ბიუროკრატიული ანუ რაციონალურ-ლეგალური ლიდერობისათვის. ლიდერობის ეს ტიპი ნიშნავს მართვას ცოდნის მეშვეობით — ამაში ხედავს მ.ვებერი მის სპეციფიკურ-რაციონალისტურ ხასიათს. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების პრინციპად ვებერს მიაჩნია რაციონალობა... „რაციონალიზმი არის რწმენა, რომ ყველა გარემომცველი საგანი დეუნქციონირებს რაციონალურად, ექვემდებარება გარკვეულ წესებს,... რომ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების პირობები რაციონალური წარმოშობისაა, ამიტომ შესაძლებელია მათი რაციონალური ცოდნა და კონტროლი“.[1]

მ.ვებერი, როგორც სოციოლოგი, იკვლევს მეცნიერებას იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს საზოგადოების განსაზღვრული ტიპის — თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების ფაქტორს. მან ყურადღება მიაქცია განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში აღმოცენებული ბატონობის ფორმალურ-ნაციონალურ პრინციპს (რომელიც წარმოადგენს შინაარსობრივი, თვისებრივი მომენტებისაგან აბსტრაჰირებას) და მეცნიერული კვლევის ფორმალურ-რაციონალურ ხასიათს (საგნის საზრისის ახსნის უგულებელყოფა) შორის ანალოგიას.

„ფორმალურ-რაციონალური საწყისი, მეცნიერებიდან ეკონომიკაში გადატანილი, თავს იჩენს აგრეთვე, პოლიტიკაში, მმართველობაში, სულიერ

1. Weber m.soziologie, Stuttgart, 1956, s. 332.

ცხოვრებაში. მართვა, ანუ ორგანიზაცია, ვებერის აზრით, გამოდის როგორც ფორმალურ-რაციონალური საწყისი საზოგადოების ყველა სფეროს — წარმოების, პოლიტიკის და ა.შ. — ორგანიზაციის საკითხი ვებერთან დაკავშირებულია ფორმალურ-რაციონალურ სამართალთან. მმართველობის სფეროში ირაციონალური მომენტის გამორიცხვის პირობად მას რაციონალური სამართალი მიაჩნია, რომელიც თანამედროვე ევროპამ მემკვიდრეობით რომისაგან მიიღო. იგი იძლევა წინასწარი ზუსტი გაანგარიშების შესაძლებლობას. ევროპულ კულტურას რომ არ გადმოეღო რომაული სამართალი მისი ფორმალურ-იურიდიული მიდგომით, რომელიც მოითხოვს ყოველგვარი სუბიექტურ-პიროვნული ელემენტებისაგან განყენებას, მეურნეობის გაძღოლის ფორმალურ-რაციონალური პრინციპის დამკვიდრება ევროპის კულტურაში ძნელი იქნებოდა. ეს ვითარება კი, თავის მხრივ, გაართულებდა ხელისუფლების ფუნქციათა დანაწილებას, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა სახეთა ინსტიტუციონირებასა და, რაც მთავარია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების რაციონალურობის პრინციპისადმი დაქვემდებარებას.

პოლიტოლოგთა თვალსაზრისით, ლიდერობის ფენომენისა და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების დინამიკის გაგებისათვის, ლიდერობის ქარიზმატული ტიპი ევრისტიკული მნიშვნელობისაა. ამიტომ პოლიტოლოგიურ (აგრეთვე სოციოლოგიურ) ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ლიდერობის ამ უკანასკნელ ტიპს ეთმობა. ქარიზმა, ე.ი. მეთაურის პიროვნების, როგორც ხელისუფლების წყაროს კულტი, მეტად მოქნილია და არ მოითხოვს არც დიდ დროს ჩამოყალიბებისათვის, არც საყოველთაოდ აღიარებული ნორმების რაციონალურ ნაკრებს. „ქარიზმული ტიპის ლიდერი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული გმირია, რომელშიც სიმბოლიზებულია ქვეყნის იდეალები და მისწრაფებები. უფრო მეტიც: იგი აკანონებს ახალ საერო მმართველობას, ანიჭებს რა მას „თავისი მადლის უნარს".[2] პოლიტიკუ-

1. ცნება „ქარიზმა", რაც „ღვთაებრივ მადლს" ნიშნავს, ნასესხებია ადრიქრისტიანული ლიტერატურიდან. სამეცნიერო ხმარებაში ეს ტერმინი გერმანელმა მეცნიერმა ერნსტ ტრელჩმა შემოიტანა. იგი გაანალიზებულ იქნა მ.ვებერის მიერ ბატონობის იდეალური ტიპების კონცეფციაში.

ის. სეიმურ მარტინ ლიპსეტი, „კანონიერება და ეფექტურობა", „პოლიტოლოგიის საკითხები", №2, თბ., 1992, გვ. 32.

რი ლიდერობის ტიპი განისაზღვრება სოციალურ ერთობათა (კლასი, ტრანს-ჯუფობრივი ერთობა და მოძრაობანი, ერი, საზოგადოება მთლიანად) და ლიდერის ურთიერთკავშირის ხასიათით.

ანგლოსაქსური პოლიტიკური ტრადიციის საპირისპიროდ ვებერი გვთავაზობს პლებისციტარული დემოკრატიის თეორიას, სადაც მთავარ ფიგურად წარმოსახულია ქარიზმატული ლიდერი, რომელიც არჩეულია ხალხის მიერ პირდაპირი კენჭისყრით და, რომლის წინაშეც იგია პასუხისმგებელი. ასეთი ლიდერი ბიუროკრატიულ ადმინისტრაციაზე მაღლა დგას, რომელიც, თავის მხრივ, ფორმალურად ლეგალური გზით აირჩევა. ქარიზმატული ლიდერის ლეგიტიმურობის ხარისხი მისი წარმატების მასშტაბებით განისაზღვრება.

პლებისციტარული დემოკრატიის ვებერისეული თეორიის მიხედვით, მასების როლის პოლიტიკურ პროცესში მხოლოდ ქარიზმატული ლიდერის არჩევაში მონაწილეობით შემოიფარგლება. ამიტომ ისინი არსებითად მოკლებულნი არიან უფლებას განახორციელონ ბიუროკრატიის კონტროლი ქვემოდან. ამ ფუნქციებს მოქალაქენი გადასცემენ ქარიზმატულ ლიდერს, რომელიც ახორციელებს ბიუროკრატიის მოქმედებათა კონტროლს ზემოდან. მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ბიუროკრატიასთან ბრძოლა წარმოადგენს, რაც აუცილებელია მმართველობის ოლიგარქიული პრინციპის დაძლევისათვის.

ვებერის შეხედულებით კლასების, სტატუსებისა და დემაგოგიური პოლიტიკის გარეთ მდგომი ქარიზმატული ლიდერი, რომელსაც თავისი ხელისუფლების ლეგიტიმიზაციის ბიუროკრატიისაგან დამოუკიდებელი წყარო გააჩნია და არ არის ძლიერად ინტეგრირებულ ბიუროკრატიულ იერარქიულ სტრუქტურაში, შეძლებდა თავის გარშემო ერის გაერთიანებას, ბიუროკრატიისა და „სოციალისტური კოლექტივიზმის" შემოტევისაგან პიროვნებათა დაცვას. ვებერისათვის პლებისციტის ძირითადი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ არჩევნებში მთელი ხალხის პირდაპირი მონაწილეობის შედეგად შეიქმნას ქარიზმატული ავტორიტეტი.

დიდ პოლიტიკურ ლიდერს შეუძლია განახორციელოს შორსმჭვრეტელური და გაბედული პოლიტიკური კურსი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ მიიღებს ადმინისტრაციული ბიუროკრატიის რეკომენდაციებს და პირდაპირ მიმართავს მასებს, რომელთა ბრმა მორჩილება მისი მოღვაწეობის

წარმატების პირობაა. ასეთი ლიდერი ემყარება პარლამენტისაგან დამოუკიდებელი საზოგადოების სხვადასხვა ფენების დაჭუცმაცებული ინტერესების გადალახვას და ერის გამაერთიანებლის მისიის წარმატებით შესრულებას.

ვებერის თეორიაში პარლამენტს ეკისრება პლებისციტარული ლიდერების აღზრდის ფუნქცია. პლებისციტარული ლიდერის აუცილებლობა, როგორც შენიშნავდა მაქს ვებერი, განპირობებულია შემდეგი ვითარებით: ჯერ ერთი, მიღწეულ უნდა იქნეს პოლიტიკური ლიდერის უზენაესობა ბიუროკრატიაზე და ამავდროულად გარანტირებულ იქნეს მისი დამოუკიდებლობა ცალკეული ჯგუფების ეკონომიკური ინტერესების ზეგავლენისაგან. მეორეც, მკვეთრი სოციალური პოლარიზაციის პირობებში ინგლისელებისა და ფრანგებისაგან გადმოღებული ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა გერმანიაში დაემხობა სხვადასხვა ინტერესების უკომპრომისო ზეწოლის შედეგად. ამიტომ პლებისციტარული ლიდერი, რომელიც ამომრჩეველთა პარლამენტისაგან დამოუკიდებელ ბაზას ეფუძნება, ერის ერთიანობის სიმბოლოდ იქცევა.

ანგლოსაქსურ საზოგადოებებში არსებული ინდივიდუალიზმი და განცალკევებულობა სირთულეს ქმნიდა სოციალური სისტემების პოლიტიკური ფუნქციონირებისათვის, ხოლო ბიუროკრატია კვლავაც განამტკიცებდა საკუთარ პოზიციებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში არსებულმა პოლიტიკური კულტურის ისტორიულ ტრადიციებზე დამყარებულმა დემოკრატიულმა სისტემამ შეძლო თავიდან აეცილებინა ისეთი ქარიზმატული ლიდერის გამოჩენა, რომელიც დაამსხვრევდა დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ღირებულებებს. სულ სხვა ვითარება იყო ვებერის სამშობლოში, სადაც დემოკრატიული ტრადიციების არარსებობის პირობებში ქარიზმატული ლიდერი შეძლებდა დიქტატურის დამყარებას.

როგორც აღნიშნავს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი კ.ლოვენსტეინი: „...ცეზარისტული ავტორიტეტი საჭიროებს მთლიან კონტროლს ძალოვან ორგანოებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე".[1] ამრიგად, იქ, სადაც ქარიზმატული ლიდერი მოკლებულია ამ პრივილეგიებს, მას არ ძალუძს გახდეს ტირანი; გამორიცხულია ასევე შესაძლებლობა კატასტროფული შედეგების მქონე „ქარიზმატული გარღვევისა", როდესაც ქარიზ-

1. Loervensicin K., "Max Weber's political Ideas in Perspective of our Time. Boston, 1966, p. 71.

მატუელ ლიდერს ბიუროკრატიულ მანქანაზე დაყრდნობით ექმნება ტოტალიტარული ხელისუფლების ყველაზე უარესი ფორმის დამყარების პირობები.

ვებერს სულ უფრო აფიქრებდა სხვა რეალური საფრთხე, რომელსაც დემოკრატიას ბიუროკრატიზაციის ფენომენი უქმნიდა. მას უფრო აფრთხობდა სტაგნაცია და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების გაქცავება, ვიდრე „ქარიზმატული გარღვევა". [ქარიზმატულ ლიდერებს ვებერი მიიჩნევდა „პირიოვნებებად, რომლებსაც შეუძლიათ ახალი მიზნების დასახვა, ბიუროკრატთა პრეტენზიებზე კონტროლის დაწესება, საზოგადოების განვითარების ახალი გზების შემოთავაზება, რათა დაძლეულ იქნეს პოლიტიკური სტაგნაცია და ბიუროკრატიული რუტინა".[1]]

პოლიტიკური სისტემისათვის ქარიზმატული თვისებებით დაჯილდოებული ლიდერის აუცილებლობა ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა შედის ხანგრძლივი კრიზისული განვითარების ხანაში, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ბიუროკრატიას, რომელიც მოწოდებულია მოახდინოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის „რაციონალური რუტინირება", არ ძალუძს (ადეკვატურად ალიქვას) ადეკვატური რეაგირება მოახდინოს შეცვლილ (ცვალებად) პირიოვნებებზე და ახალი გადაწყვეტილებანი მიიღოს. ეს მოითხოვს ყოველდღიურობის საზღვრების გადალახვას. ამ აქციას კი „ქარიზმატული საფუძველი" უნდა გააჩნდეს. ასეთ პირობებში, ვებერის მიხედვით, არც ტრადიციულ საზოგადოებათა ბუნებრივ ლიდერებს და არც ბიუროკრატიას თანამედროვე საზოგადოებაში არ შესწევს უნარი გამოძებნოს აუცილებელი გადაწყვეტილებები ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ კრიზისულ სიტუაციებში.

ქარიზმატული ლიდერები ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებშიც გამოვიდნენ, რომელთა საზოგადოებებში ტრადიციული ინსტიტუტებისა და ღირებულებათა მსხვრევა ხდება და დასაბამს იღებს დემოკრატიული განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდუვალი სტადია. სტაბილური სოციალური ინსტიტუტების არარსებობა და მასების კონსერვატიზმი, რომლებზეც ზემოქმედებს კაპიტალისტური მოდერნიზაციის

1. Weber M., Wirtschaft und gesellschaft, Koln-B(wcss0, 1964, s. 147-148.

ნეგატიური შედეგები, შეთავსებული პოლიტიკური და „ეროვნული“ ცნობიერების დაუნაწევრებულობასთან, შესაძლებელს ხდის ზ.გამსახურდიას მსგავსი ქარიზმატული ლიდერის გამოჩენას პოლიტიკურ სარბიელზე.

ევროპულ თეორიაში ურთიერთობა მასებსა და პრეზიდენტს შორის საქართველოს რესპუბლიკაში იდეალურად შეესაბამება პლებისციტარული ქარიზმატული ლიდერისა და მასების ურთიერთობებს.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევა შეესატყვისებოდა პლებისციტარული ქარიზმატული ლიდერის არჩევის წესს. ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა პირადად პრეზიდენტის პიროვნებაზე სოციალური, პოლიტიკურ-ეკონომიკური, ეთნიკურ სირთულეთა და კრიზისის დაძლევის საქმეში. ხალხი ელოდა წარმატებებს პრეზიდენტისაგან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზე.

პრეზიდენტის ხელისუფლება და მისი შემდგომი მოღვაწეობის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიურად მოახერხებს იგი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მწვავე პრობლემების გადაწყვეტას. პოლიტიკურ სოციოლოგთა მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვა ადასტურებს პრეზიდენტის გარკვეული დამოუკიდებლობის საჭიროებასა და მის უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის განვითარების თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანი გამოკითხვებისას საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები გამოდიოდნენ ე.შევარდნაძის ადმინისტრაციის ამა თუ იმ კონსერვატიულ გადაწყვეტილებათა ან პოლიტიკური აქციების კრიტიკით, ამას არ გამოუწვევია ე.შევარდნაძის პოპულარობის დაქვეითება. ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ამ ბოლო დროს დაკავშირებულია მის სახელთან.

უკანასკნელ ათწლეულების მანძილზე ორმა მნიშვნელოვანმა ვითარებამ საგრძნობლად გაზარდა ლიდერის როლი და უზრუნველყო მისი პირდაპირი ურთიერთობა მოსახლეობის ფართო ფენებთან, ამავე დროს, მნიშვნელოვნად შეზღუდა პარტიული ბიუროკრატიის როლი.

პირველი, ეს არის პოლიტიკურ პროცესში მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების როლის უპრეცედენტო გაძლიერება, რაც შესაძლებლობას უქმნის პოლიტიკურ ლიდერს შუამავლის (პარტიის) გარეშე მიმართოს მა-

სებს და მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენოს თავისი „დემაგოგიური“ თვისებები. შემდეგი ვითარება — პარტიების როლის შესუსტება, რაც გამოწვეულია, ჯერ ერთი, მათი მცდელობით გამოხატონ მთლიანად ხალხის ინტერესები და, მეორე, პარტიული პროგრამების იდეოლოგიურ მიზანდასასულობათა ეკლექტურობით. ეს ყოველივე იწვევს არა ამომრჩეველთა მაქსიმალური რიცხვის მიზიდვას, არამედ სხვადასხვა პარტიების საარჩევნო ბაზის დესტაბილიზაციასა და პარტიული პროგრამების მნიშვნელობის დაკნინებას. ამომრჩეველი არჩევანს ახდენს არა სხვადასხვა პარტიებსა, ანდა მათ პროგრამებს შორის, არამედ უფრო მეტად იმ კანდიდატებს შორის, რომელთაც ლიდერობის გარკვეული მახასიათებლები გააჩნიათ.[1]

სრულიად კანონზომიერია ის ფაქტი, რომ არა მხოლოდ პოლიტიკის თეორიაში, არამედ პოლიტიკურ პრაქტიკაში წამოიჭრება პრობლემა ქარიზმატული ლიდერის პოლიტიკური ძლიერების საზღვრების ზრდის შესახებ. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ მასების უკმაყოფილება და მათი სტიქიური გამოსვლები დადგენილი წესების ან ინსტიტუტების წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქარიზმატული ლიდერის მიერ არსებული ინსტიტუტებისა და ლირებულებებისაგან გადამწყვეტი ჩამოშორებისათვის, ავტორიტარული ან ტოტალიტარული რეჟიმების დასამყარებლად, ხალხთა მასების უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვებისათვის. როგორც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ა.ჰაქსლეი შენიშნავს: „...იქ სადაც რესპუბლიკური ტრადიცია სუსტია, ყველაზე საუკეთესო კონსტიტუციებიც კი ვერ დააბრკოლებს ამბიციურ პოლიტიკოსებს... აჰყვნენ ხელისუფლების ხელში ჩაგდების ცდუნებას“.[2]

მ.ვებერმა წამოაყენა პოლიტიკის თეორიის ზოგიერთი კარდინალური საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკური ლიდერის, ბიუროკრატიისა და ხალხთა მასების ურთიერთობის ხასიათის გარკვევასთან. ვინაიდან ვებერის მიერ განხილული ყველა ელემენტი და მათი ურთიერთობა ჩვენი პოლიტიკური სისტემის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ ბუნებ-

---

1. როგორც ცხადყო საპრეზიდენტო არჩევნებმა საქართველოში პრეზიდენტობის ყოველ კანდიდატს ჰქონდა შესაძლებლობა სრულად ესარგებლა თავისი „ქარიზმით“ და პოლიტიკური ნიჭიერებით.

2. Huxley d. Brave · New World Revisited n.y. 1958, p. 15.

რივია, რომ ვებერისეულ თეორიაში განხილული ზოგიერთი საკითხი დადებით როლს შეასრულებს ჩვენი პოლიტიკური სისტემის წინაშე მდგარი პრობლემების გაცნობიერების საქმეში.

მაქს ვებერის სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში პოლიტიკურ მეცნიერებაში ქარიზმატული ლიდერობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი ფსიქოანალიტიკური ორიენტაციით წარიმართა. აქტიურად ხორციელდებოდა მასების ლიდერებთან არაცნობიერი კავშირ-ურთიერთობების მექანიზმის შესწავლის ცდები. ამ მიმართულებით არსებითი როლი შეასრულა აგრეთვე სხვადასხვა ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების სოციალურ-პოლიტიკურმა ანალიზმა.

პოლიტიკური ლიდერობის ქარიზმატული ტიპის არსებითი განსხვავება ლიდერობის სხვა ტიპისაგან იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ტრადიციული და ბიუროკრატიული ლიდერები მოღვაწეობენ სტაბილურ საზოგადოებრივ სტრუქტურებში, ქარიზმატული ლიდერი პოლიტიკური მოქმედების სარბიელზე გამოდის ისტორიის მკვეთრ მოსახვევში, მისი ხელისუფლება ლრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქარიზმატული ლიდერი საზოგადოებრივი პროცესების ბუნებრივ ხასიათს არ ცნობს, და ამავე დროს საკუთარ თავს აღიქვამს, როგორც ისტორიული განვითარება-ცვალებადობის ბუნებრივ და კანონზომიერ შედეგს და ენერგიულად ეწევა ილუზორული თეზისის პროპაგანდას.

ქარიზმატული ხელისუფლება ეფუძნება, ერთი მხრივ, პოლიტიკური ლიდერის „ზებუნებრივსა და მაგიურ უნარს, ხოლო, მეორე მხრივ, მასებისადმი ბრმა რწმენას".[1] მასები ქარიზმით დაჯილდოებულ ლიდერს (ბელადს, ფიურერს, კაუდილიოს, დუჩეს და ა.შ.) ღმერთკაცად, მესიად მიიჩნევენ. მასებისა და ლიდერის ურთიერთობა ემოციურ-მისტიკურ ხასიათს ატარებს, რაც ქარიზმატიული ლიტერატურისადმი მთლიან მინდობას გულისხმობს. ეს ურთიერთობები დიდი დაძაბულობით ხასიათდება: „საჭიროა გამუდმებული ჰეროიზმი, ენთუზიაზმი". ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერი რადიკალურად უარყოფს წარსულს და მიისწრაფვის საფუძველი შეურყიოს არ-

1. ი.რეხვიაშვილი, ჯ.ჯალიაშვილი, ვ.ხოპოლავა, პოლიტოლოგია, თბ., 1991, გვ. 99.

სებულ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილებას. ამ აზრით იგი სპეციფიკურად რევოლუციური ძალაა. თვით ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერი სამართლებრივ ნორმებზე, ინსტიტუციურ სტრუქტურებსა და წესრიგზე მაღლა დგას.

სოციალურ-ფსიქოლოგიური სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია ლიდერის ქარიზმის გულწრფელ რწმენასთან, დროთა განმავლობაში წმინდა ფორმად იქცევა. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჭეშმარიტი ქარიზმატული ლიდერობა ხშირად ისტორიის მცირე მონაკვეთს მოიცავს. მაგრამ მისი გარეგანი ატრიბუტები შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს ხანგრძლივი დროის მანძილზე და შენიღბოს ხელისუფლების ახალი ფორმა — დეპერსონიფიცირებული — ბიუროკრატიული.

ამასთან დაკავშირებით დავსძენთ, რომ: ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების შედეგად განთავისუფლებულ ქვეყნებში საზოგადოების ინტეგრაციისა და მოდერნიზაციის რთული ამოცანები ქარიზმატულმა ხელისუფლებამ ითავა, მაგრამ ერთი შეხედვით, ძლიერი და ერთიანი პერსონიფიცირებული ხელისუფლების რეჟიმი ხანგრძლივი არ აღმოჩნდა: „გმირი მისმა ანტიპოდმა — ბიუროკრატმა შეცვალა“.[1]

ზემოაღნიშნულის გარდა, ღუნდა ითქვას ისიც, რომ პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ლიდერი განიხილება აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ ფენომენთან მიმართებაში. ამერიკელი პოლიტოლოგი ჯროსტი ხელისუფლებასთან მიმართებაში გამოყოფს ოპოზიციურ ლიდერს და მმართველ ლიდერს. პოლიტიკურ ცხოვრებაში ოპოზიციური ლიდერის ორი ქვეტიპი გვხვდება. ერთია პოლიტიკური ლიდერის კონფრონტაციულ-ოპოზიციური ქვეტიპი — არსებული ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი წესწყობილების შეურიგებელი მოწინააღმდეგე, რომელიც ისწრაფვის დააშხოს არსებული ხელისუფლება, თუნდაც დიდი დანაკარგების ფასად. ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერის მეორე ქვეტიპს წარმოადგენს კონსტრუქციულ-ოპოზიციური პირი. იგი აკრიტიკებს არსებულ ხელისუფალთ, მაგრამ არა აქვს აღებული ორიენტაცია მათი სასწრაფოდ შეცვლისაკენ. ეს ლიდერი არ არის პასუხისმგებელი ოფიციალური ხელისუფლების შეცდომებისაგან და ამ თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში

1. პოლიტოლოგიის საკითხები, №1, თბ., 1992, გვ. 37.

იმყოფება, ვიდრე ხელისუფლების სათავეში მყოფი ლიდერი. აკრიტიკებს რა ოფიციოზს შეცდომების გამო, კონსტრუქციულ-ოპოზიციური ქვეტიპის პოლიტიკური ლიდერი მასების სიმპათიით სარგებლობს და წარმატებით აგროვებს ქულებს მომავალი პოლიტიკური ტრიუმფისათვის.

(ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების ქვეყნებში, აგრეთვე სოციალური კატაკლიზმების შემთხვევებში, როდესაც სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება კულმინაციურ წერტილს აღწევს, ძირითადად, ფუნქციონირებს ლიდერის კონფრონტაციულ-ოპოზიციური ტიპი.) ხელისუფლებაში მის მოსვლას თან სდევს პოლიტიკური კურსის შეცვლა და ღრმა სოციალური ტრანსფორმაციები.

(დემოკრატიული ტრადიციების სტაბილურ საზოგადოებებში, ძირითადად ფუნქციონირებს ლიდერის კონსტრუქციულ-ოპოზიციური ქვეტიპი, რომელიც მმართველი ლიდერისაგან ძალზე უმნიშვნელოდ განსხვავდება და ეს განსხვავება უმთავრესად გამოიხატება დასახული მიზნების ნიღწევის დროსა და მეთოდებში.) ამიტომ ამ ქვეტიპის ლიდერის ხელისუფლების სათავეში მოსვლა ლეგიტიმური წესით ხდება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარდინალურ ცვლილებებს არ იწვევს. არცთუ იშვიათად ხელისუფლების სათავეში მყოფი ამ ტიპის პოლიტიკური ლიდერი (ჩვეულებრივ, პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი) შეიძლება მართავდეს ქვეყანას სხვა პარტიის პარლამენტური უმრავლესობის პირობებში. ამ საზოგადოებებში პოლიტიკური სარბიელიდან წასვლა არ ნიშნავს ლიდერის პოლიტიკურ სიკვდილს. მრავალ შემთხვევაში ისინი მეტად შესამჩნევ როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.*

დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ფუნქციონირებენ კონფრონტაციულ-ოპოზიციური ლიდერები, მაგრამ ისინი არსებით ზეგავლენას ვერ ახდენენ მათ სტაბილურ მდგომარეობაზე.

პოლიტოლოგები ძალაუფლებრივ მიმართებაში გამოყოფენ ხელისუფლების მქონე პოლიტიკური ლიდერის ორ ქვეტიპს: ეგოცენტრულსა და სოციოცენტრულს. დასახული ამოცანების განხორციელების მეთოდებთან მი-

---

* მაგალითად, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტები რ.ნიქსონი, რ.რეიგანი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი მ.ტეტჩერი და სხვა. იხ. Skowroner st. The Politics Presidents make. Leadership from John Adams to George Bush, 1, 1993, p. 43.

მართებაში ისინი გამოყოფენ ლიდერ-რეფორმატორსა და ლიდერ-რევოლუციონერს, ხოლო მოღვაწეობის ხასიათის მიხედვით — ლიდერ-იდეოლოგსა და ლიდერ-რევოლუციონერს.

ლიდერობის ტიპოლოგიის განმსაზღვრელია ლიდერობის სტილი. ეს არის მიმდევრებზე ზემოქმედების ლიდერის ტიპობრივი მეთოდების სისტემა. გერმანელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა კურტ ლევინმა (1890-1947) გამოყო ლიდერობის სტილის სამი სახესხვაობა: ავტორიტარული, ამ შემთხვევაში ლიდერობა ხორციელდება მმართველობის მკაცრი მეთოდებით, სხვათა ინიციატივის ჩახშობით, გადაწყვეტილებათა გამოტანის განხილვის აღკვეთითა და ა.შ. შემდეგია — დემოკრატიული, რომლისთვისაც დამახასიათებელია კოლეგიალობა, ინიციატივის წახალისება და ა.შ. დაბოლოს, ლიდერობის „ანარქიული სტილი".[1] ლიდერობის სტილის ლევინისეული დესკრიფცია გაზიარებულ იქნა პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა მიერ.

ლიდერობის სტილი სოციალური ჯგუფის განვითარების დონის წანამძღვარიც არის და შედეგიც. ლიდერობის სტილი დამოკიდებულია აგრეთვე ერთობლივი მოქმედების შინაარსზე, რომელიც სოციალურ ერთობაში პიროვნებათაშორის ურთიერთობებს უდევს საფუძვლად. განვითარების მაღალი დონის მქონე სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელია ლიდერობის კოლექტიური სტილი, რომელიც გულისხმობს ლიდერის (ხელმძღვანელის) პასუხისმგებლობას სოციალური ერთობის წინაშე და ლიდერისადმი შეგნებულ დამორჩილებას, პასუხისმგებლობის ადეკვატურად განაწილებას, მაქსიმალურ დემოკრატიულობას ლიდერსა და მიმდევრებს შორის დამოკიდებულებაში, ლიდერის უნარს დეცენტრაციისადმი. კორპორაციებში მიღებულია ლიდერობის ავტორიტარული სტილი — ბიუროკრატიული ცენტრალიზმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია, კერძოდ, ცენტრალიზაციის მაქსიმუმი და დემოკრატიულობის მინიმუმი.

საუკუნის დასაწყისში მაქს ვებერი ყურადღებას ამახვილებდა ლიდერობის ავტორიტარულ სტილზე, რომელიც იმ დროს არსებული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციისადმი ინტერპრეტირებული იყო, როგორც მაქსიმალურად ადეკვატური. ლიბერალიზმის პოლიტიკისა და ფილოსოფიის რადიკალური კრიტიკოსი და ტოტალური სახელმწიფოს თეორეტიკოსი გერმანე-

1. Lewin K., Bcsolwny Social Conflicts, N7, 1948, p. 98.

ლი პოლიტოლოგი კარლ შმიტი (1888-1985) სამართლიანად შენიშნავდა, რომ პოლიტიკური ლიდერობის ავტორიტარიზმი მკვეთრად ვლინდება მიმდევრებთან, „ადეპტებთან ლიდერის ავტოკრატიულ კორელაციაში“.[1]

ეს ციტატრება თავს იჩენს, სხვათა შორის მაშინაც, როცა საქმე ეხება როგორც სტრატეგიის, ისე ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობისაგან სხვა პირების ჩამოშორებას. რა თქმა უნდა, ამგვარი ლიდერი მკაცრად აკონტროლებს სოციალური ერთობის წინაშე წამოჭრილი ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის მიმართულებასა და მსვლელობას. იგი ენერგიულად აღკვეთს ჯგუფის წევრების ინიციატივას, რასაც აღიქვამს, როგორც თვითნებობის დაუშვებელ აქტს და მისი, როგორც პოლიტიკური ლიდერის, ავტორიტეტისა და ღირსების ხელყოფას. ხელმძღვანელობს რა, არცთუ ისე იშვიათად, საკუთარი განწყობით, სუბიექტურად აფასებს მიღწეულ შედეგებს.

ავტორიტარული ლიდერი მიმდევართა და ხელქვეითთა ქმედება-მოღვაწეობას წარმართავს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით. ასეთი ლიდერისათვის ზემოქმედების მთავარი იარაღია „რკინის მომთხოვნელობა“, შიშის მოგვრა, დასჯა. ავტორიტარული ლიდერის მიმდევრებში ფსიქოლოგიური კლიმატი ჯანსაღი არ არის, სუფევს არაკეთილგანწყობილება, არ არსებობს ურთიერთპატივისცემა, ამასთან, ნორმალური ადამიანური ურთიერთობები მინიმუმამდეა დაყვანილი. მიმდევრები ლიდერის მითითებების პასიური შემსრულებლები არიან. მისი ყველა მითითება გაიცემა ბრძანების ფორმით, ლაკონიური ენითა და უსიამოვნო ტონით. ამ დროს აშკარა და პირდაპირი აკრძალვები შეუნიღბავად მბრძანებლურ ხასიათს ატარებს. ავტორიტარული ლიდერი მოითხოვს ხელისუფლების მონოპოლიას, ერთპიროვნულად განსაზღვრავს და აყალიბებს სოციალური ერთობის ამოცანებს. მიმდევართა შექება, გაკიცხვა, დასჯა სუბიექტური (ხშირად) ფაქტორების საფუძველზე ხდება“.[2]

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა უმრავლესობამ მოახდინა ორიენტაციის შეცვლა ავტორიტარული

---

1. Schmitt K., Positionen und Begriffe, Hamburg, 1940, s. 259.
2. Kutner B., Elements and Problems of Democratic Leadership, in Studies in Leadership, N 7, 1950, pp. 463-464.

სტილის ლიდერობიდან დემოკრატიული სტილის ლიდერობისაკენ, რაც, მათი შეხედულებით, აიხსნება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მასშტაბებით, პოლიტიკური ორგანიზაციების რიცხვის ზრდით, ხელისუფლების დეპერსონალიზაციით. ეს არის ხელისუფლების პრობლემისადმი ახალი მიდგომა, რაც ითვალისწინებს ხალხის მასების სოციალურ-ეკონომიკური როლის ზრდას, ლიდერსა და მასებს შორის შედარებით უფრო დემოკრატიული ურთიერთობის ფორმებს, ხალხთა მასების მართვის მიზნით მათი ცნობიერების მანიპულაციას „უფრო რბილი მეთოდებითა და ფორმებით", მაქინაციებისა და კომპრომისების გზით.

ლიდერობის სტილი ტაქტიკის საკითხია. დემოკრატიული სტილის ლიდერობის ფუნქციონირების შემთხვევაში სოციალური ჯგუფის ყოველი წევრი აღჭურვილია უფლებით ზეგავლენა მოახდინოს ჯგუფის ერთობლივ გადაწყვეტილებებზე და გარკვეულად ინარჩუნებს ალტერნატიული გადაწყვეტილების გამოტანისა და ჯგუფის კომუნიკაციების კოლექტიურად ფლობის უფლებას. ანალოგიურ ვითარებაში სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელია მმართველობის მზარდი დემოკრატიზაცია და დეცენტრალიზაცია, ჯგუფის თითოეული წევრის კოლეგიალობის გაფართოება და ზრდა. ლიდერობის ზემოხსენებული სტილის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის პირობებში. იგი გულისხმობს სტაბილურ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

აქ ერთი მომენტიც უნდა აღინიშნოს: საერთო ეროვნულ პოლიტიკურ ლიდერსა და მის მიმდევრებს შორის არ არსებობს პირდაპირი კავშირ-ურთიერთობა, იგი გაშუალებულია მასობრივი კომუნიკაციებით, ორგანიზაციებით, ადამიანებით, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკურ მანქანას ემსახურებიან. ამდენად, ეს დისტანციური ლიდერობაა.

პოლიტიკური ლიდერობა ბიუროკრატიზებულ საზოგადოებაში გამოხატავს ორგანიზებულ აქტივობას. სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერი სიმბოლურ ფიგურას წარმოადგენს.

ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს, ე.წ. „ჩაურეველ" ლიდერს, რომლის ქმედება არ ხასიათდება აქტიურობით წინადადებათა წამოყენებისა და ღონისძიებათა შემუშავებისას; ასეთი ლიდერი თავს არიდებს კონფლიქტურ სიტუაციებს და კონფლიქტების აღმოცენების შემთხვევაში მათი მიზეზების

გარკვევისა და დაძლევის ფუნქციებს, ხოლო ძალაუფლების სხვა ატრიბუტებს თანაშემწეებს გადასცემს, შეძლებისდაგვარად „ჩრდილში“ იმყოფება, არ აკრიტიკებს და არც აქებს სოციალური ჯგუფის წევრებს, თავს იკავებს მათ საქმიანობაში ენერგიული ჩარევისაგან.

იმის მიხედვით, თუ როგორ ახასიათებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დუაიტ აიზენჰაუერს თანამედროვენი, იგი, ჩვენი აზრით, შეიძლება მეტ-ნაკლებად გაუზვიადებლად მივიჩნიოთ. მას თანამედროვენი „ჩაურეველ“ ლიდერად თვლიდნენ“.[1]

დ.აიზენჰაუერი თანამედროვეთა ერთი ნაწილისათვის წარმოადგენდა ეროვნულ გმირს, ბრძენ, რბილ ადამიანს, ქვეყნის სიმშვიდისა და უსაფრთხოების დამცველს, ხოლო თანამედროვეთა მეორე ნაწილს მიაჩნდა, რომ პრეზიდენტი გონებაშეზღუდული მოხუცი, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა თავის უფლებამოსილებებს, „თანხმობაში ვერ იყო სინტაქსთან“, უყვარდა ვესტერნები, თავს ირთობდა გოლფისა და ბრიჯის თამაშით. ამ დროს კი მისი სახელით ქვეყანას მართავდა ძლიერ თანაშემწეთა ჯგუფი, რომლებიც მას „უნებლიე გმირის იმიჯს“ უქმნიდნენ.[2]

ისტორიისათვის საუცხოო მაგალითს იძლევა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, გამოჩენილი ამერიკელი ისტორიკოსი არტურ შლესინგერ უმცროსი თავის ცნობილ წიგნში

---

1. Шлезингер Артур м., циклы американской истории, М., "Прогресс-Академия", 1992, გვ. 560-561.

აქ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი შენიშვნა გვმართებს, რომელშიც შეიძლება ისტორიის ირონიის დანახვა. მას შემდეგ, რაც აიზენჰაუერის ბირად არქივში დაცულ დოკუმენტებს გასაიდუმლოების ბეჭედი ეხსნა, საზოგადოების წინაშე სრულიად ახალი, მოულოდნელი იერსახის ბიროვნება წარსდგა. დოკუმენტები შეიცავს დამაჯერებელ მტკიცებებს, რომ უწყინარი, მიამიტი ადამიანის სახე მხოლოდ ნიღაბი იყო, რომელსაც ამოფარებოდა გამჭრიახი ხელმძღვანელი, რომელიც თანმიმდევრულად მიისწრაფოდა დასახული მიზნების მისაღწევად. იგი არ გახლდათ სენტიმენტალური იდეალისტი ფილანტროპი, არამედ გაქნილი ინგარიშიანი, ჭკუადამჯდარი მოღვაწე იყო. როგორც შენიშნავს ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი არტურ შლეზინგერ უმცროსი, იგი არ ყოფილა „მიამიტი პოლიტიკური დოვლაპია“, არამედ იყო „პოლიტიკოსი წყალობითა ღვთისითა“ და არც „უწყინარი ყბედი“, რომელიც მონდენებითი ენაბრგვალობით ნიღაბავდა ჭეშმარიტ განზრახვებსა და მიზნებს, არც ბასიერ და გულგრილ მეთვალყურეს წარმოადგენდა. იქვე, გვ. 561.

2. Шлезингер Артур М., Циклы амсриканской истории, М., "Прогресс-Академия", 1992, გვ. 424-426.

„ამერიკის ისტორიის ციკლები". აი, რას წერს ავტორი: „რონალდ რეიგანი ამერიკის პრეზიდენტებისაგან გამოირჩეოდა რელიგიური ინსტიტუტებისადმი განსაკუთრებული პატივისცემით, რასაც იგი მგზნებარედ გამოთქვამდა საჯარო გამოსვლებში და ისწრაფოდა გამოეყენებინა საკუთარი მიზნებისათვის, თავად კი ძალზე იშვიათად დადიოდა ეკლესიაში. ოჯახური კერის თავგამოდებული დამცველი, ამერიკის ისტორიაში ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელიც მხოლოდ ორჯერ იმყოფებოდა კანონიერ ქორწინებაში. ტრადიციული მორალური ღირებულებების ენერგიული პროპაგანდისტი რ.რეიგანი, ჰოლივუდში მრავალი წლების მანძილზე მუშაობის პერიოდში, მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა საკმაოდ საეჭვო პიროვნებებთან — ლოთებთან, მეძავებთან, ჰომოსექსუალებთან, ნარკომანებთან და იატაკქვეშეთის აბორტარიების ორგანიზატორებთან. რეიგანამდე არც ერთ ამერიკელ პრეზიდენტს არ ჰქონია ასეთი ნაცნობობა. კანონის, წესრიგისა და კეთილგონიერების ფხიზელი დამცველი რ.რეიგანი სათავეში ჩაუდგა ადმინისტრაციას, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, საზოგადოებრივი მორალისადმი სრულ უპატივცემულობას ამჟღავნებდა.

მრავალი ამერიკელისათვის იგი პატრიოტი გმირის განსახიერებაა, რომელიც მზად იყო უყოყმანოდ დამდგარიყო სამშობლოს დასაცავად. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც აშშ საშიშროების წინაშე იდგა, რეიგანი ამ წლებს ჰოლივუდის გადასაღებ მოედანზე ატარებდა და ყოველ ღამე მშვიდად იძინებდა საკუთარ საწოლში.

რ.რეიგანის მმართველობის წლებში, ბიუჯეტის დეფიციტმა აშშ-ში მთელი ისტორიის მანძილზე, მშვიდობიანი პერიოდისათვის რეკორდულ ციფრებს მიაღწია. 1983 წელს რეიგანის ბრძანებით ლიბანში საზღვაო დესანტი გაიგზავნა, ხოლო მომდევნო 1984 წელს სამხედრო ნაწილები უკან დააბრუნა. ამ შემთხვევის გამო მადლიერმა ამერიკელებმა შვებით ამოისუნთქეს, იმის ნაცვლად, რომ პრეზიდენტისაგან ამ გაუმართლებელი მარცხის გამო ანგარიში მოეთხოვათ.[1]

ამრიგად, ზემოთქმული ნათელყოფს, რომ ელექტორატორისათვის პოლიტიკური ლიდერის (ამ შემთხვევაში პრეზიდენტის) ისტორიული იერსახის

---

1. Шлезингер Артур М., Циклы американской истории, М., "Прогресс-Академия", 1992, გვ. 561.

შექმნა მასმედიას მიერ ხალხთა ფართო მასებში მისი პოპულარობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

როგორც ვარაუდობს თვალსაჩინო გერმანელი ფსიქოლოგი ჰაინც ჰეკჰაუზენი, „უნდა არსებობდნენ ინდივიდუალური განსხვავებები არა მხოლოდ სუბიექტის ნიჭიერებასა და უნარში, არამედ ხელისუფლების მოქმედებათა განხორციელების მიდრეკილებაშიც". „ეს მომენტი, — შენიშნავს ავტორი, — ფრიად არსებითია, ვინაიდან იგი „ძლიერი" და „სუსტი" პოლიტიკური ლიდერების დიფერენცირების საშუალებას იძლევა".[1]

ცნობილმა ამერიკელმა მკვლევრებმა რ.დონლიმ და დ.უინტერმა (R.E.Donley, D.C.Witer, 1970) განახორციელეს XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების თორმეტი პრეზიდენტის „ხელისუფლების მოტივის" ძალის ინტენსიურობის გაზომვა (საინაუგურაციო სიტყვის შინაარსის ანალიზის მეშვეობით) და შეუფარდეს იგი პრეზიდენტის მოღვაწეობის პოლიტიკურ ეფექტიანობას (ისტორიკოსთა შეფასების მიხედვით), აგრეთვე ომში ქვეყნის ჩაბმასა და სამთავრობო კაბინეტის გარდაქმნის მასშტაბებს. პრეზიდენტების განკარგულებაში არსებული ხელისუფლების უზარმაზარი აპარატის მიუხედავად, იმ პრეზიდენტთაგანი, რომელიც გამოყენებული მაჩვენებლების მიხედვით, ხელისუფლების სუსტ მოტივაციას ავლენდა (ტაფტი, ჰარდინგი, კულიჯი, ჰუვერი და დ.აიზენჰაუერი), ნაკლებად აქტიურად ამოქმედებდა სამთავრობო აპარატს, ვიდრე ხელისუფლების ძლიერი მოტივის მქონე პრეზიდენტები: ფ.დ.რუზველტი, ჰ.ტრუმენი, ჯ.კენედი და ლ.ჯონსონი.

ხელისუფლების ძლიერი მოტივაციის მქონე პოლიტიკურ ლიდერს უდიდესი უნარი გააჩნია ხელსაყრელად გამოიყენოს კონკრეტული ვითარებით შექმნილი მოქმედების შესაძლებლობანი. ამა თუ იმ პიროვნებებში გამოვლენილი „უნარი", შესაძლებლობა, ე.წ. „მაკიაველიზმის სკოლის"[2] მიხედვით, დეტალურად (ექსპერიმენტულად) გამოიკვლია რ.კრისტიმ თავის კოლეგასთან ფ.გეისთან ერთად.

პირები, რომლებმაც აღნიშნული ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის შედეგად მეტი ქულები დააგროვეს, დიდად განსხვავდებიან დაბალი მაჩვენებლე-

---

1. Хайнц Хеккфузен, Мотивация и деятельность, М., 1986, т. 1, გვ. 314.

2. Christie B., geis F.L., Studies in machiavellianism n.y., 1970, p. 312-313.

ბის მქონე პირებისაგან, უწინარეს ყოვლისა, კი გულგრილობით, სიმშვიდით... მაკიაველიზმის მაღალი ღირსების მქონენი სოციალური ურთიერთობებში, მოხერხებულნი და გამჭრიახნი არიან, ხშირად იმყოფებიან მათთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში, ადვილად ზემოქმედებენ სხვებზე, თვითონ კი იშვიათად ითვალისწინებენ სხვის მრწამს. ისინი მაკიაველიზმის დაბალი მაჩვენებლების მქონე პირთაგან სხვა მხრივაც განსხვავდებიან, კერძოდ: უშუალო სოციალური ურთიერთქმედების სიტუაციებში, როდესაც მათ იმპროვიზაციისა და მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობა ეძლევათ, სადაც, ე.წ. „სუსტად გამოხატულ მაკიაველისტებს“ ხელს უშლის გამარჯვებისაგან დამოუკიდებელ წვრილმანებში ემოციური ჩართვა..., ე.წ. „გამოხატული მაკიაველისტები“ ნაკლებად არიან განწყობილნი ჩაერიონ სხვა პიროვნებათა პრობლემებში გამოამეღავნონ გულისნადები, ანდა რთულ და ძნელ გარემოებებში შეინარჩუნონ რეპუტაცია... ემოციური ჩარევისადმი ნაკლები მიდრეკილების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს „გამოხატული მაკიაველისტების“ ძლიერი წინააღმდეგობა უხეში სოციალური ზეწოლისადმი, რომელიც უბიძგებს მათ დათმობისაკენ, თანამშრომლობის ან მიზანდასახულობათა შეცვლისაკენ.

„ძლიერი მაკიაველისტებისათვის“ დამახასიათებელი ტენდენციაა, იმოქმედონ ისე, როგორც მათ მიაჩნიათ კანონზომიერად და საჭიროდ. ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი უზრუნველყოფს გარკვეული სიტუაციით შეპირობებული ყველა ხელისუფლებრივი რესურსის ეფექტთან გემოყენებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ბ.გუდშტადმა და ლ.ჰულმა მეცნიერული კვლევა-ძიებით დაადგინეს, „ინდივიდუალური განსხვავებანი“ ვლინდება აგრეთვე ხელისუფლებრივი ზემოქმედების ამა თუ იმ საშუალებისათვის უპირატესობის მინიჭებაში.

„ძლიერი მაკიაველისტები“ წარმართავენ და აკონტროლებენ ჯგუფის სოციალურ სტრუქტურას, მათ აღიარებენ ლიდერებად, ამჯობინებენ პარტნიორებად; ისინი აკონტროლებენ სოციალური ურთიერთქმედების შინაარსსა და ატმოსფეროს და, როგორც წესი, ამ სოციალური ურთიერთქმედების შედეგსაც“.[1]

---

1. Christie B., geis F.L., Studies in machiavellianism n.y., 1970. p. 312.

თავი მეოთხე

პოლიტიკური ლიდერობა გარდამავალ პერიოდში

პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ყალიბდებოდა, არ არსებობდა ქარიზმით „მადლცხებული" პოლიტიკური ინსტიტუტი, ამასთანავე, არ ხდებოდა ხელისუფლების პერსონიფიცირება ტახტის მფლობელთა მიერ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რევოლუციამდე. რუსეთში გარდამავალი პერიოდის პირველ პოლიტიკურ ლიდერს ვ.ი.ლენინს მრავალი პიროვნული თვისება გააჩნდა, რაც პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ქარიზმატულად იწოდება. აღსანიშნავია, რომ მას სახელმწიფო მმართველობაში არც ერთი პარტიული თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარტიის ბელადი და აღიარებული პოლიტიკური ლიდერი იყო. ვ.ლენინი უზარმაზარი ინტელექტუალური და მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტით სარგებლობდა. სიცოცხლის ბოლო წლებში მის ძლიერ შეშფოთებას იწვევდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პოლიტიკური ლიდერობისათვის დაწყებული ბრძოლა. დედააზრი, ვ.ლენინის ცნობილი სტატიის „წერილი ყრილობისადმი", რომელშიც პარტიის გამოჩენილი ბელადების პიროვნული თვისებებია დახასიათებული, იმაში გამოიხატება, რომ ლიდერობისათვის ბრძოლაში პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი შესაძლებელი გათიშვისაგან ეხსნა.

რევოლუციამდე ჩამოყალიბებული პარტიის ხელმძღვანელების შერჩევისა და დაწინაურების მექანიზმი მხოლოდ სამოქალაქო ომისა და მშვიდობიანი მშენებლობის პირველ წლებში მოქმედებდა. ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოურ პოლიტიკურ სისტემაში პლებისციტარული პოლიტიკური ლიდერი და არც რაიმე შემაკავშირებელი მექანიზმი არ არსებობდა. ამ შემთხვევაში უწიგნური გლეხური მოსახლეობის პოლიტიკურ კულტურას ხელისუფლების მონოცენტრული სტრუქტურა შეესატყვისებოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს ზედა ეშელონში კომუნისტური პარტიის მიერ დაწყებული მძაფრი ბრძოლა ხელმძღვანელი როლისათვის ასახავდა, რო-

გორც მისი ლიდერების, — პირველ რიგში, ი.სტალინის, ლ.ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის — პირად მეტოქეობასა და ამბიციებს, ასევე ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას სოციალიზმის მშენებლობის გზებზე. ამ უკომპრომისო ბრძოლაში ი.სტალინი იმარჯვებს. ვ.ლენინის აზრით, ცენტრალური კომიტეტის ორიდან ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი ბელადი. მეტოქეებისაგან განსხვავებით ი.სტალინი პარტიისა და მრავალეროვანი ხალხების წინაშე წარსდგა, როგორც ვ.ლენინის ერთგული მოწაფე და საქმის გამგრძელებელი. სტალინმა ჯერ ლ.ტროცკის, ხოლო შემდეგ „ახალი ოპოზიციის" (ზინოვიევი, კამენევი) წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობაში პარტიულ მასებში, დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა, როგორც მტკიცე ლენინელმა და, ამასთანავე, პარტიის გენერალური ხაზის შეუდრეკელმა დამცველმა და გამტარებელმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ი.სტალინის პოლიტიკური მანევრირების სრულყოფილმა უნარმა (ბლოკი ჯერ ნ.ბუხარინთან, ზინოვიევსა და კამენევთან ლ.ტროცკის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ — ნ.ბუხარინთან, კამენევისა და ზინოვიევის წინააღმდეგ) დიდი როლი შეასრულა სახელმწიფო მმართველობის საქმეში. ი.სტალინმა 1927 წელს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კონტროლისადმი დაქვემდებარებული პარტიის აპარატზე დაყრდნობით, განიმტკიცა თავისი, როგორც პირველი პირის, მდგომარეობა პარტიაში. 1928 წლისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 7 წევრიდან, რომლებიც მის შემადგენლობაში შედიოდნენ ვ.ლენინის სიცოცხლეში (1923), ჩამოაცილეს ლ.ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი, ხოლო შემდეგ 1929 წელს — ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი. სწორედ ამ პერიოდში სტალინმა თეორიულად „დაასაბუთა" პარტიის ხელმძღვანელობიდან გამოჩენილ მოღვაწეთა ჩამოცილების კანონზომიერება.

აბსოლუტური ხელისუფლების რეჟიმის დამყარებით უარყოფილ იქნა ლიდერების შერჩევისა და დაწინაურების ნორმალური შიდაპარტიული მექანიზმი. ი.სტალინმა „ყაზარმული სოციალიზმის იმპერიაში" არსებითად გააუქმა პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუტი და იგი ნომენკლატურის ინსტიტუტით შეცვალა. ამით მან გზა გადაუღობა მოქმედი პოლიტიკური ლიდერების გამოჩენას სამოღვაწეო ასპარეზზე. დამკვიდრდა ლიდერობის, ე.წ. „უარყოფითი სელექცია". პოლიტიკურ ხელმძღვანელ თანამდებობებზე „ირ-

ჩვდნენ არა ყველაზე ავტორიტეტულ, გავლენიან, გამოცდილ (ვ.ი.ლენინი) მოღვაწეებს, არამედ მორჩილ, მართვად პიროვნებებს, რომლებსაც, მართალია, არ აკლდათ კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი და ნიჭიერება, მაგრამ, როგორც წესი, მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკური ლიდერის პოტენციალს".[1]

ჩამოყალიბდა პოლიტიკური რეჟიმი, საზოგადოებრივი წყობილება და სახელმწიფო, რასაც საბჭოური საზოგადოებათმცოდნეობა „სამხედრო-ფეოდალურ დიქტატურას", „ყაზარმული სოციალიზმის იმპერიას", „მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემასა" და ა.შ. უწოდებდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ითვალისწინებს პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ეფუძნება იძულებით შრომას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, იდეოლოგიისა და კულტურის მკაცრ დოგმატიზაციას, პროგრესულად მოაზროვნე პირთა უმკაცრეს დათრგუნვას, აგრეთვე სხვადასხვა საფეხურზე მდგომ პიროვნებათა მკაცრ იერარქიულ დამოკიდებულებას, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ სფეროში ავტორიტარულ თვითნებობასა და ა.შ.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ასეთი სისტემა, სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად მოკლებულია სიცოცხლისუნარიანობას და თითქმის გამუდმებით პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაში იმყოფება. მმართველობის ეს სისტემა ძირითადად შენარჩუნებულ იქნა ი.სტალინის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, ნ.ხრუშჩოვის მმართველობის წლებში. ამიტომ ნ.ხრუშჩოვის სტრატეგიულ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ის, რომ იგი ძირითადად, მმართველობის სისტემის იმავე ფორმებით სარგებლობდა და მემკვიდრეობით მიღებულ ბიუროკრატიულ აპარატს ეყრდნობოდა. ახალმა საკადრო პოლიტიკამ ვერ შეცვალა ვერც აპარატის სტატუსი, ვერც ფუნქცია და ვერც შინაარსი. ერთპარტიული სისტემის პირობებში ხალხის ქმედითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია მხოლოდ მასობრივი პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუტის მეშვეობით, ე.ი. იმ პიროვნებებზე დაყრდნობით, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა სფეროსა და დონეზე ავტორიტეტითა და წარმა-

---

1. იხ. პოლიტოლოგიის საკითხები, №1, თბ., 1992, გვ. 38.

ტებებით სარგებლობენ. მაგრამ ავტორიტარულ ტრადიციაზე გამოწვრთნილ პოლიტიკურ მოღვაწეს — ნ.ხრუშჩოვს არცკი უცდია პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუტის აღორძინება. საეჭვოა ისიც, გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა მას ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა.[1] ამასთან, მის გარემოცვაში მყოფი პოლიტიკური ხელმძღვანელები ეროვნული მასშტაბის ლიდერებს არ წარმოადგენდნენ.

ამ ვითარებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ უზარმაზარ საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ისეთი მოღვაწე მოექცა, როგორიც ლ.ბრეჟნევი იყო. რადგანაც ქვეყანაში არ არსებობდა პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა ერთი ხელმძღვანელის მეორეთი შეცვლა, ამით გარკვეულწილად განისაზღვრა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაგნაცია, მმართველი წრეების ტოტალური, მორალური და პოლიტიკური გახრწნა.[2] საზოგადოების მაღალ წრეებში აღარ არსებობდა ღირსებისა და პატიოსნების ცნება, სრული გულგრილობა საზოგადოების კეთილდღეობის მიმართ და მხოლოდ პირად ბედნიერებასა და სიამოვნებაზე ზრუნვა — აი, რით გამოირჩეოდა იმდროინდელი პარტოკრატია და ბიუროკრატია.

ლ.ბრეჟნევის მემკვიდრემ ი.ანდროპოვმა საწარმოო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, აგრეთვე კორუფციის ზოგიერთი გამოვლენის აღმოფხვრის გზით სცადა არსებული პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია.[3] ქვეყნის განვითარების სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების ანალიზის საფუძველზე გამოტანილ იქნა მეთოდოლოგიური თვალსაზრისი, მნიშვნელოვანი, მაგრამ სკეპსისის შემცველი დასკვნა — „ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ და ვშრომობთ". ქვეყნის განვითარების სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების შესწავლა გარდუვალს ხდიდა მომწიფებულ გარდაქმნათა მკაფიო პროგრამის შემუშავებას. საბჭოთა საზოგადოებას განახლების იმედი ჩაესახა, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობაში კონსერვატიულ-ბიუროკრატიული ძალები უმრავლესობას შეადგენდნენ, რაც ნათელყო სკკპ ცენტ-

1. პოლიტოლოგიის საკითხები, №1, თბ., 1992, გვ. 39.
2. იქვე გვ. 39.
2. იქვე. გვ. 39.

ალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კ.ჩერნენკოს „არჩევამ“. „ხელისუფლების პირამიდის მწვერვალზე ამდაგვარი ოდიოზური პიროვნების გამოჩენა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის სრული დეგრადაციის მაჩვენებელი იყო“.[1]

შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური კრახი მათ ფიზიკურ სიკვდილზე - ბევრად ადრე მოხდებოდა, საბჭოთა კავშირში რომ დემოკრატიული წესწყობილება, და, როგორც დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი — არაფორმალური ლიდერობის ინსტიტუტი არსებულიყო.

რა თქმა უნდა, საბჭოური ტოტალიტარული ტრადიციის შესაბამისად, პოლიტიკური მოღვაწეობის გადამწყვეტ და უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, არც მ.გორბაჩოვის დაწინაურება მომხდარა ხელმძღვანელის შერჩევის დემოკრატიული მექანიზმის -მოქმედების პრინციპით, არამედ, პირიქით, საზოგადოების თვალსმოფარებული კომბინაციების მეთოდი კვლავ ამოქმედდა. საბჭოთა იმპერიაში საზოგადოებრივი ცხოვრების ბიუროკრატიზაციამ მეტად უარყოფითად იმოქმედა სწორედ პოლიტიკურ ლიდერობაზე, სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობაზე. საყოველთაო სამართლებრივი ნიჰილიზმის პირობებში, ამ საკითხების ფაქტობრივ-კონსტიტუციური მოუგვარებლობა, ხელს უწყობდა საზოგადოებისათვის ადმინისტრაციულ ძალადობაზე დამყარებული მეთოდების განხორციელებას. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ საბჭოთა სახელმწიფო ვერ იტანდა თავისი დოქტრინების კრიტიკას და პრაქტიკაში ძალზე ხშირად უპირისპირდებოდა თავისავე ოფიციალურად დეკლარირებულ დებულებებს. მარქსისტული დოგმატიზმის მარწუხებში მომწყვდეული სახელმწიფო იდეოლოგია ამაოდ ცდილობდა მოენახა კულტურული კომპრომისი საწარმოო ძალების წინსვლისა და ქვეყნის გაყინული სახელმწიფო წყობილების ფორმებს შორის, ფაქტობრივად, ღრმავდებოდა არა მარტო შიდაკლასობრივი დაპირისპირება, არამედ ერთაშორისი წინააღმდეგობაც. გათიშული აღმოჩნდა ინტელიგენცია, რომლის ერთი ნაწილი ცენტრზე იყო მიჯაჭვული და ამიტომ მორჩილად ასრულებდა იმპერიული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებებს, ხოლო მეორე ნა-

1. პოლიტოლოგიის საკითხები, №1, თბ., 1992, გვ. 39.

წილი, რომელიც პრაქტიკულად სახელმწიფოს რეალური მართვისაგან ჩამოცილებული იყო, გარკვეული მსხვერპლის ფასად ცდილობდა მდგარიყო ეროვნულ პოზიციაზე.

აქვე აღსანიშნავია ერთი საგულისხმო შენიშვნა, კერძოდ, ბიუროკრატიული ინსტიტუტების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის აღმავლობის პირობებში სახელმწიფო ლიდერის მოქმედება რეგლამენტებულია და იგი საბოლოოდ სისტემის ფუნქციად იქცევა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაციამ, რაც პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუტის აღორძინებაში გამოიხატა, — სამოღვაწეო ასპარეზზე პლებისციტარული ლიდერების (პირველ რიგში, ზ.გამსახურდიას, ბ.ელცინის, რომლებმაც პრეზიდენტის სიმბოლურ როლს „ქარიზმა" შესძინეს), აგრეთვე არაფორმალური ლიდერების გამოჩენამ, ეს საშიშროება გარკვეულწილად მოხსნა.

პლებისციტარული ლიდერის, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლოს, როლი კრიზისულ ვითარებაში გარკვეულად იზრდება. მასები მისგან გაბედულებასა და სიმტკიცეს მოელიან. საზოგადოების, ხალხთა მასების განსაკუთრებულ მოწონებას პოლიტიკური ლიდერის ისეთი თვისებები იმსახურებს, როგორიცაა: სიმტკიცე, კომპეტენტურობა, გაბედულება პოლიტიკური ხაზის განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით ძალზე ნიშანდობლივია მოსკოვის 1991 წლის 19-21 აგვისტოს ამბები. უნდა აღინიშნოს, რომ მ.გორბაჩოვის ფონზე ბ.ელცინმა შესძლო მთლიანად „გამოეწურა" ქარიზმა, რასაც პრეზიდენტის სიმბოლური როლი შეიცავს, თუმცა ბ.ელცინის პოლიტიკა გარკვეულ დრომდე გამოკვეთილად დემოკრატიულ ხასიათს არ ატარებდა, მაგრამ მ.გორბაჩოვისგან განსხვავებით, იგი მას მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა.[1]

დემოკრატიზაციის ფონზე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სულ უფრო აქტიურად დაიწყო გამოსვლა მცირერიცხოვანი ერებისა და ხალხების ეროვნული ინტერესების დასაცავად. ტოტალიტარული რეჟიმების მსხვრევამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების არნახული მობილიზაცია გამოიწვია, რაც, პირველ რიგში,

1. პოლიტოლოგიის საკითხები, №1, თბ., 1992, გვ. 39.

ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნებში გამოიხატა. ამ სიტუაციაში საბჭოთა იმპერიაში შემავალმა რესპუბლიკებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშად და დემოკრატიის სიმბოლოდ დამოუკიდებლობის მოთხოვნა გამოაცხადეს.

„ყაზარმული სოციალიზმის" კრახმა, საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის დაშლა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოშობა განაპირობა. საზოგადოების წინაშე, როგორც რუსეთში, ისე ცალკეულ რესპუბლიკებში, მთელი სიმწვავით დადგა სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე (კაპიტალიზმზე) გადასვლის გარდამავალი პერიოდის აუცილებლობა. ამჯერად, ყოფილ „ბოროტების იმპერიაში" შემავალმა ხალხებმა უნდა განახორციელონ ისტორიაში ჯერ კიდევ არნახული გადასვლა სოციალიზმიდან — კაპიტალიზმზე, სახელმწიფო საკუთრებიდან — კერძო საკუთრებაზე. საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთიანი სამეურნეო პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული მექანიზმის დაშლას შედეგად მოჰყვა უდიდესი წინააღმდეგობების დაძლევა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ურთულეს საქმეში. ყოველივე ამას დაემატა რუსული „ველიკოდერჟავული" შოვინიზმის მომძლავრება, რამაც მკაფიო გამოხატულება საწყის ეტაპზე ხალხთა „თანამეგობრობის" ახალი მოდელის შექმნაში (დ.ს.თ.) პოვა. ამ ბოლო დროს რუსეთის მმართველი წრეები ახალ ნაბიჯებს დგამენ იმპერიის ხელახალი აღორძინების გზაზე. რუსეთის სახელმწიფოს მესვეურნი ენერგიულად იყენებენ ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტებს და სამხედრო ძალადობის გამოყენებასაც არ თაკილობენ, რათა აიძულონ რესპუბლიკები ახალ კავშირში გაერთიანდნენ. რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე დიდადაა დამოკიდებული გარდამავალი პერიოდის წარმატებები, როგორც ჩვენთან, ისე სხვა რესპუბლიკებში და თვით რუსეთშიც.

გარდამავლი პერიოდის ბუნება რევოლუციურია, არა გარდაქმნათა ტემპების, არამედ ახალ თვისებრიობაზე გადასვლის თვალსაზრისითაც. რადიკალური ცვლილებები ეკონომიკაში, პოლიტიკასა და კულტურის სფეროში ადამიანებისაგან მოითხოვს უარი თქვან ძველ სტერეოტიპულ წარმოდგენებზე, ტრადიციულ კულტურაზე, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურ ვითარებაზე.

ამდენად, იგი, გარკვეული აზრით, ადამიანურ დრამას წარმოადგენს, ვინაიდან ყოველდღიური ცხოვრება სიხარულისა და ტანჯვის მონაცვლეობაა. გამარჯვებები, შემოქმედებითი მიღწევები სასიხარულოა, მაგრამ წარუმატებლობა, იმედების გაცრუება, რაც გარდაქმნის არასწორხაზოვან განვითარებას თანსდევს, სიმწარისა და ტანჯვის საწინდარია.

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, უპირველეს ყოვლისა, გაურკვევლობის ატმოსფეროსა და სიბნელეთა ფართო სპექტრს ქმნის. საზოგადოებაში მიმდინარეობს იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა იმ სოციალურ ძალებს შორის, რომლებიც, ბუნებრივია, იცავს status quo ante-ს და იმ სოციალურ ძალებს შორის, რომლებიც კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვენ. ამ ვითარების მოწესრიგება ურთულესი ამოცანაა. გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვის წინააღმდეგობრივი წესწყობილების უპირატესობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება და. იგი მხოლოდ მატერიალურ ასპექტზე არ დაიყვანება. ინტერესები პიროვნულია, — როდესაც ამა თუ იმ ადამიანთა ნააზრევი და კარიერა დამოკიდებელია ღირებულებათა გარკვეულ სისტემაზე, ინსტიტუციონიზებულია (ამა თუ იმ ინსტიტუტის იდეური საფუძვლების შერყევა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს), დაბოლოს, ეს ინტერესები შეიძლება იყოს სოციალური, ე.ი. გაბატონებული ჯგუფების ან კლასების იდეოლოგია. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ძველ სოციალისტურ წესწყობას იცავს, კანონზომიერად ყოველგვარი ცვლილებებისა და სიახლის შეფერხების ფაქტორად გვევლინება.

საზოგადოების ნაწილს არ სჯერა, რომ სოციალიზმის ნგრევას შეიძლება უკეთესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესწყობილების მშენებლობა მოჰყვეს, რადგან მათ თვალწინ მხოლოდ დანგრეული სახალხო მეურნეობაა. საზოგადოების ეს ნაწილი ეშვის თვალით უყურებს და სკეპტიკურად აფასებს „შემოქმედებითი ნგრევის“ აუცილებლობას, არ ძალუძს კავშირი გაწყვიტოს ძველ შეხედულებებთან, ძველ მიდგომასთან და ახალი ცხოვრების შექმნა იწყოს. გარდაქმნის მოწინააღმდეგეები შეშფოთებულნი არიან ყოველდღიური ცვლილებებით, რადგან საწყის ეტაპზე მხოლოდ ძველის უარყოფა ხდება და გამოკვეთილად არ ისახება მომავლის პერსპექტივები. მათ (ისინი, ძირითადად, უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან) არ აკმაყო-

ფილებთ არამდგრადი მდგომარეობა, ამდენად, სიახლე, გარკვეული აზრით, მერყეობის საფუძველია, ხოლო ახალი ინიციატივები ძალზე ხშირად საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს. ასევე, უცნობი და გაუცნობიერებელი მიზნისაკენ ნოვატორთა მოწოდება, მათში არცთუ ისე იშვიათად, არჩევანის სისწორეში დაურწმუნებლობის სინდრომს წარმოშობს.

გარდამავალი პერიოდი ძველის (სოციალიზმის) საფუძვლიან შერყევადამხობასა და ახლის (საბაზრო ეკონომიკის) გამარჯვების საფუძვლების შექმნა-დამყარების პროცესს წარმოადგენს. როგორც შენიშნავს ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ნოელ ტიჩი, გარდამავალ პერიოდს შეიძლება, გარკვეული აზრით „ნეიტრალური ზონა"[1] ვუწოდოთ, ვინაიდან ძველი საბოლოოდ არ არის უარყოფილი, ხოლო ახლის სახე გამოკვეთილად წარმოდგენილი არ არის. ყოველივე ეს რთული ფსიქოლოგიური პროცესია. ადამიანებზე ზემოქმედებს „ძველში ყოფნისა" და „ახლის შექმნისკენ" წარმმართველი ძალები. ამ სტადიაზე ადამიანები თავიანთ მოქმედებებსა და მოღვაწეობაში არათანმიმდევრულნი არიან, რაც არსებული სიტუაციის არაადეკვატური ასახვის შედეგია. ერთ დღეს ადამიანი აღფრთოვანებულია მომავლის პერსპექტივებით, მაგრამ როცა იგი რწმუნდება, რომ მომავალი არცთუ ისე ახლოა, მას მოთმინების გრძნობა არ ყოფნის და უკვე მეორე დღეს ეჭვის თვალით უყურებს გარდაქმნის პერსპექტივებს. ყოველივე ამან შეიძლება მეტად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გარდამავალი პერიოდის ამოცანების დროულად და ეფექტიანად შესრულების ურთულესი პროცესის განხორციელებისას. სიღრმისეული სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნის გარდუვალობა და ისტორიული აუცილებლობა ადამიანებმა მანამდე უნდა გააცნობიერონ, ვიდრე სიტუაცია საგანგაშო გახდებოდეს.[1]

საერთოდ, გარდამავალ პერიოდში ეს იქნება კაპიტალიზმიდან სოცი-

---

1. „ნეიტრალური ზონაში" — აქ საავტომობილო ტრასის შუა ნაწილი იგულისხმება. ნ.ტიჩის ხატოვანი გამოთქმით, გარდამავალი პერიოდის ადამიანი ამ ზონაში იმყოფება, ხოლო ავტომანქანების ნაკადი ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობენ და ქმნიან იმის საშიშროების, რომ იგი გარდაქმნათა პროცესის საწინააღმდეგო მხარეს გაიშალოს.

1. Тичи Н., Деванна М.Л., Лидеры Реорганизации, М., 1990. გვ. 68.

ალიზმზე თუ პირიქით, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე გამოდიან ახალი პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ენერგიულად და მიზანსწრაფულად ცდილობენ საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და ის სიძნელეები, რომლებიც მათ გარდამავალ პერიოდში, ახალი სახელმწიფოს მშენებლობისას წინ გადაეღობებათ. მაგრამ, ამავე დროს, გარდამავალი პერიოდის ურთულესი ამოცანების ეფექტური გადაჭრის აუცილებლობა, თავის მხრივ, იწვევს პოლიტიკური ლიდერების მონაცვლეობას, რაც, რასაკვირველია, სრულიად კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს.

საზოგადოების განვითარების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციები პოლიტიკური ლიდერისაგან მოითხოვს ახალ თვალთახედვას, ახალ იდეებს, სტრატეგიული ხაზისა და ამოცანების ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებას, კარდინალურ ცვლილებებს საკადრო პოლიტიკაში და სხვა ურთულესი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას. მათი გადაწყვეტა „არატრადიციულ" ხასიათს ატარებს და საჭიროებს ახალი ტიპის ხელმძღვანელებს — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერებს.

საზოგადოებაში არსებული ძველი ტრადიციული მმართველობის კულტურა დღესაც აუცილებელია, ამასთანავე, იგი სათანადოდ უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა საზოგადოების ძირეულად გარდაქმნისათვის საკმარისი არ იქნება. ამიტომ, პოლიტიკურ ლიდერს მოეთხოვება გამუდმებით ეახლებოდეს ბრძოლის მეთოდებსა და ხერხებს, საზოგადოებას წარმართავდეს მის მიერ წარმოდგენილი და გაცნობიერებული წესწყობილების მოდელის განსახორციელებლად, სასიკეთო ცვლილებები შეჰქონდეს სახელმწიფოს მშენებლობაში, რადგან პოლიტიკური ლიდერი, გარკვეული აზრით, მომავალი სოციალური ურთიერთობების შემოქმედი და დამფუძნებელია.

გარდამავალი პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიდერები უშუალოდ უნდა ჩაებნენ გარდაქმნის პროცესში და წარმატებით გადაჭრან ამოცანა — საზოგადოების დიდ ნაწილს გამოუმუშაონ გარდაქმნის გარდუვალობისა და პოზიტიურობის შეგნება.

ამ გზაზე უპირველეს ამოცანას წარმოადგენს გარდაქმნის მომხრე, პოლიტიკური კულტურის ერთგული კადრების ჩამოყალიბება, რომელთაგან თითოეულ წევრს ღრმად და მრავალმხრივ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული

გარდაქმნის აუცილებლობა და სწამდეს მომავლის უკეთესი პერსპექტივების. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ უზრუნველყოფენ მასების მხარდაჭერას დასახული მიზნების მისაღწევად და ვერ შესძლებენ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ამოცანების გადაჭრას.

ამავე დროს, გარდამავალი პერიოდის მსვლელობის პროცესში პოლიტიკური ლიდერის მიზანდასახული ქმედება მიმართული უნდა იყოს თავისი ერთგული პირების, მმართველი ელიტის „მმართველობითი კულტურის" ამაღლებისაკენ, რადგან მარტო მომავლის რწმენა და ენთუზიაზმი საკმარისი არ არის პრობლემების წარმატებით და საფუძვლიანი გადაწყვეტისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა იდეა და მიზანი, რაოდენ დიადიც არ უნდა იყოს, მმართველი ელიტის კომპეტენტურობისა და მაღალი პროფესიონალიზმის გარეშე განუხორციელებელია.

გარდამავალ პერიოდში მოქმედ-მოღვაწე პოლიტიკური ლიდერის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებაში ახალი შეხედულებების, ახალი მსოფლმხედველობის, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი ახლებური მიდგომის დამკვიდრება და საზოგადოების აქტიურად მხარდასაჭერად ენერგიული მობილიზება. აუცილებელია აგრეთვე იმ შედეგების საფუძვლიანი გაცნობიერება, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური ლიდერისა და მისი მიმდევრების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

დაბოლოს, გარდამავალ პერიოდში შემოქმედებითი ნგრევისა და ახლის მშენებლობის გზაზე მიღწეული წარმატებები, რაც განპირობებული უნდა იყოს საზოგადოებრივი განვითარების დემოკრატიზაციის პროცესით, პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა განამტკიცოს და დააკანონოს იმ პოლიტიკური ინსტიტუტებითა და სტრუქტურებით, რომლებიც გარდამავალი პერიოდის პოლიტიკურის სიტემის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დაწყებით ეტაპზე უკვე ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიის დამყარებას. დასავლეთში დღეს დემოკრატია განიხილება არა მარტო, როგორც ხალხთა მასების მართვა დემოკრატიული გზით არჩეული სახელმწიფო სტრუქტურებით, არამედ ერთდროულად, როგორც პიროვნების უფლებების განუხრელი დაცვა, მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, როგორც ყველა სტრუქტუ-

რებისა, ასევე თანამდებობის პირების მიერ კანონისადმი უსიტყვო მორჩილება და ოპოზიციის თავისუფლება, ამიტომ დემოკრატიის მშენებლობა საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც საზოგადოების ზნეობრივ და იდეოლოგიურ განწმენდასთან ერთად ქვეყნის ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული ძალების სრულ კონსოლიდაციას საჭიროებს. დემოკრატიისაკენ წარმატებით სვლა ეროვნულ ერთიანობას მოითხოვს, რაც სახელმწიფოს მთლიანობის საძირკველია.

საქართველოს რესპუბლიკის წინა ხელმძღვანელობა ქვეყნის დემოკრატიზაციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების დამკვიდრებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტირების შექმნის ნაცვლად არსებული ტოტალიტარული მმართველობის სისტემის განმტკიცებას შეუდგა. საპრეზიდენტო მმართველობის ინსტიტუტის დაწესებით მოახდინა უნიტარული მმართველობის რესტავრაცია, დააწესა მკაცრი ცენზურა მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაზე. ამ დროს რესპუბლიკაში ინტენსიურად იდევნებოდა, არცთუ იშვიათად, უხეში ძალის გამოყენებით, როგორც საპარლამენტო, ისე პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციური ძალები.

ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელობა ოპოზიციას არ მიიჩნევდა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ორგანულ შემადგენელ ნაწილად, რაც ამ სისტემის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე უარი თქვა ოპოზიციასთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე. პარლამენტიდან განიდევნა მისი შემადგენლობის თითქმის ნახევარი. — სხვადასხვა პარტიული დაჯგუფებები და ცალკეული, პრეზიდენტისათვის არასასურველი დეპუტატები. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად საქართველოს რესპუბლიკის ყოფილმა პარლამენტმა — უზენაესმა საბჭომ — ფაქტობრივად შეწყვიტა თავისი პირდაპირი ფუნქციების შესრულება და ერთი პიროვნების — ქვეყნის პრეზიდენტის ნების გამომხატველ ორგანოდ იქცა.

ოფიციოზმა ვერ განახორციელა საბჭოური მმართველობის ფორმების დემონტაჟი, მიწის რეფორმა, პრივატიზაცია, რამაც ხელი შეუწყო კლეპტოკრატიულ-მაფიოზური ძალების მოქმედებათა ფართოდ გაშლას.

წინა ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა გარკვევა საკადრო საკითხებში, დისკრედიტაცია განიცადა პრეფექტურებმა, რომლებიც საბჭოური ადგი-

ლობრივი მმართველობის ორგანოთა კოსმეტიკურ სახეცვლილებას წარმოადგენდა.

ოფიციოზმა ვერა და ვერ შესძლო ეთნიკური კონფლიქტების მოგვარება. ქართული მესიანიზმის იდეის გავრცელებამ მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერებთან. ყოველივე ამას დაემატა 1991 წლის 2 სექტემბერს მშვიდობიანი მიტინგის დარბევა. ამჯერად სხვადასხვა პარტია-ორგანიზაციების აქტიურად მოქმედ რადიკალურ ოპოზიციას გარკვეული თვალსაზრისით აქამდე განზე მდგომი, პასიური ქართველი ეროვნული ინტელიგენციაც დაემატა. მისმა მოწინავე წარმომადგენლობამ „სანგრები" დატოვა და ავანგარდში მოექცია. პერმანენტულად მოქმედ ეროვნულ შეურიგებელ ოპოზიციას თუ რაიმე წინააღმდეგობები, ხარვეზები, სისუსტეები ჰქონდა, მის მოქმედებას — ეროვნული გონის ელიტარული წარმომადგენლობა — ქართველი ინტელიგენციის, აქამდე ასე თუ ისე „მთვლემარე" ნაწილი ჩაუდგა სათავეში, რომელიც სიტუაციის ანალიზს, მისი განვითარების ტენდენციებს, პრობლემებს, პროცესებს აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ. ამასობაში, საზოგადოების ამ ნაწილმა მართვის სადავეები ხელთ იგდო, დაირაზმა, რამაც საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ძალთა განლაგების გადაჯგუფება მოახდინა.

დღის წესრიგში დადგა მოქმედების კანონიერი, კონსტიტუციური გზების ძიება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა დაძაბულობის განმუხტვა, ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, გარდამავალი პერიოდის ძირითად პრობლემათა კონსტრუქციული განხორციელება.

საქართველოში პოლიტიკური კულტურის დაბალმა დონემ გამოხატულება პოვა რადიკალურ პოლიტიკურ აზროვნებაში. ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესების შეფასებისას ერთიმეორეს დაუპირისპირდა პრეზიდენტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ძალები, რამაც საბოლოოდ ერისათვის საბედისწერო შედეგები გამოიღო.

საზოგადოების რადიკალურად განწყობილმა ნაწილმა ზვიად გამსახურდიას ქარიზმატული თვისებები აღიარა და თავისი დამოკიდებულება პრეზიდენტისადმი ფანატიკური რწმენით გამოხატა. დამოუკიდებლობის იდეა, რომელიც რეალობად იქცა, ხალხის მასებმა საკვლევით დამსახურებულად და-

უკავშირა მ.კოსტავასა და ზ.გამსახურდიას სახელებს. ეროვნული მოძრაობის ბელადად ზ.გამსახურდიას აღიარებამ, მისი თანამოაზრეებისა და მიმდევრების უარყოფითმა ზეგავლენამ, აგრეთვე გარემოცვის ფანტასტიკურმა დამოკიდებულებამ გარკვეული თვითრწმენის „მუხტი" მისცა მას, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა გამსახურდიას პიროვნულ თვისებებზე.

საპარლამენტო და პარლამენტგარეშე ოპოზიციის, აგრეთვე ინტელიგენციის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც აქტიურად არ უჭერდა მხარს პრეზიდენტს და სკეპტიკურად იყო განწყობილი მისი საქმიანობისადმი, ე.წ. „ეროვნული იდეოლოგიისადმი", არასასურველი ხასიათის ღონისძიებანი განხორციელდა. კრიტიკით გაღიზიანებულმა პრეზიდენტმა ყოველდღიურ ხმარებაში შემოიტანა ტერმინები — „კრემლის აგენტი", „კრიმინალური ინტელიგენცია", „სუკის აგენტი" და ა.შ. დაიწყეს სუკის არქივების ქექვა, ძველი ცოდვების ძიება. პრეზიდენტის ხელში აღმოჩნდა უშიშროების კომიტეტის მრავალრიცხოვანი აგენტების სია, რამაც, ბუნებრივია, დიდი შეშფოთება გამოიწვია „მანქურთების" ბანაკში. პეტრიაშვილის, ქორიძის, ტალიაშვილის, დომუხოვსკის გამოსვლებში მიტინგებზე, ტელევიზიითა და რადიოთი ყალიბდებოდა შეურიგებელი, ექსტრემისტული ხასიათის იდეოლოგია, რომელმაც უკიდურეს დაპირისპირებამდე მიიყვანა ქვეყნის საზოგადოებრივი ძალები.

→ ხელისუფლების ახალი ორგანოს შექმნა, რომელსაც პარიტეტული წესით უნდა გაეერთიანებინა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალა, საპირისპირო მიმართულება მიიღო. ინტელიგენციის რადიკალურად განწყობილმა ნაწილმა ფაქტობრივად კანონიერი ხელისუფლების დამხობის, საქართველოს პრეზიდენტის იარაღით ჩამოგდების იდეოლოგია მოამზადა. ყოველივე ამას თან დაერთო რუსეთის მმართველი წრეების შეუნიღბავი „სიმპათიები" მათ მიმართ. ბუნებრივია, რუსეთი ვერ შეურიგდებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ზ.გამსახურდიას, რომელიც არაორაზროვნად გამოხატავდა ერთგულებას დამოუკიდებლობის იდეებისადმი და მკაცრად უპირისპირდებოდა რუსეთის ინტერესებს კავკასიაში. რუსეთის მმართველი წრეები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნით ფაქტობრივად ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს ფორმით ახალ კავშირში შესვლისაკენ უბიძგებდნენ, ეს განსაკუთრებით ეხებოდა სა-

ქართველოს რესპუბლიკას. სერიოზული მიზეზი სახეზე გახლდათ. გარედან აშკარა ჩარევის აუცილებლობა გამოირიცხა, ვინაიდან კანონიერი ხელისუფლებისა და მისი პრეზიდენტის იარაღით დამხობის მომხრეები და შემსრულებლები საქართველოში ბევრნი იყვნენ. აქციის უშუალო ხელმძღვანელად თ.კიტოვან-თ.სიგუას „ტანდეში" მოგვევლინა. გვარდიასა და ძირითადად კრიმინალურ შეიარაღებულ ელემენტებზე დაყრდნობით, იარაღის ძალის გამოყენებით დამხობილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება. საქართველოს პრეზიდენტის უახლოესმა გარემოცვამ საშუალება არ მისცა ზ.გამსახურდიას ადეკვატურად და რეალურად შეეფასებინა შექმნილი ვითარება, რაც, შეიძლება ვივარაუდოთ, თავიდან აგვაცილებდა სისხლისღვრას.

ამ მოვლენას თავდაპირველად ე.შევარდნაძემ „სახალხო აჯანყება" უწოდა. იგი საქართველოში მოწვეულ იქნა „აჯანყებულთა" მიერ და, ბუნებრივია, მას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა მათი შეფასებები და ინტერესები.*

კანონიერი ხელისუფლების არაკანონიერი გზით დამხობა დიდ უბედურებას მოასწავებდა ქვეყნისათვის. იარაღის ძალა ირწმუნა მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა. პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა კრიმინალური სამყარო. ისინი, ვინც 6 იანვრიდან ე.შევარდნაძის ჩამო-

---

* ჩვენი აზრით, თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას, როცა სამოქალაქო ომს, სახალხო აჯანყებას უწოდებენ, არ არის სწორი, ვინაიდან ეს ომი, თუ აჯანყება მხოლოდ „მრგვალი მაგიდის" შიგნით მომზდარმა დაპირისპირებამ გამოიწვია. სამხედრო ძალა მხოლოდ მით გააჩნდათ. ერთმანეთს მხოლოდ ხელისუფლებისათვის და არა რაიმე პრინციპებისათვის დაუპირისპირდნენ. ამაში, უეჭველია, უცხო ქვეყნის ხელიც ერია, ვინაიდან ასე დაუფარავად მისი სპეცსამსახური არსად არ მუშაობდა. აჯანყებულთ კონსულტანტებიც გვერდით ედგნენ. ამის ნათელი მაგალითია კიტოვან-სიგუა-ფიფიას ალიანსი. გენერალი ფიფია სწორედ იმ სამსახურის თანამშრომელი იყო, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეებს ებრძოდა. შემდგომ იგი პრემიერ-მინისტრის მთავარ მრჩველად იყო დანიშნული. მრავლისმეტყველია ისიც, რომ მოხსნილი კაცი (კიტოვანი) კარგი ხანს ეიცე-პრემიერის კაბინეტში იჯდა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ასეთი „ეროვნული" პიროვნებები მხოლოდ ძალაუფლებისათვის იბრძოდნენ. საქართველოსათვის ესეც ტრადიციულია: ზოგიერთი ნვენი წინაპარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად სპარსეთსა და თურქეთში, მოგეიანებით, რუსეთში გარბოდა და საშშობლოში ეშმაკსაც შემოჰყვებოდა თავისი გაელენის აღსადგენად.

სვლამდე საქართველოს მართავდა, სახელმწიფო-სამართლებრივი ნორმების ცოდნით არ გამოირჩეოდნენ და არც ჰქონდათ პრეტენზია სათავეში ჩასდგომოდნენ საქართველოს მმართველობას. შეიარაღებული ადამიანები, რომელნიც საქართველოს შინაგან ჯარებში არ ირიცხებოდნენ, არ იმყოფებოდნენ არც ერთ სამხედრო ფორმირებაში, პოლიციაში (ჩვენ მხედველობაში გვყავს მხედრიონი),* გამოყენებულ იქნა საქართველოს მოქალაქეთა წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. ეს იყო მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ჯგუფი, რომელსაც თითქმის არაფერი გააჩნდათ, არც წესდებები და არც იერარქიული წყობა, ჰქონდათ მხოლოდ ძალა — იარაღი და სროლის უფლება. საზოგადოება გაიყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა და მოწინააღმდეგე მხარეებად, მისი პოლიტიკური მენტალიტეტი გამარტივდა, ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა სამოქალაქო ომისათვის. შედეგმაც არ დააყოვნა: ჯერ დარბეულ იქნა სამეგრელო, ხოლო შემდეგ დაიწყო ყოვლად გაუმართლებელი და ავანტურისტული აქციები აფხაზეთში, რასაც მოჰყვა ომი, აფხაზეთის დაკარგვა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრად გადაქცევა.

ამრიგად, საქართველოში გარდამავალი პერიოდის პირველი პოლიტიკური ლიდერის, ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას ხელისუფლების ძალისმიერ დამხობას ჩვენი ერის ცხოვრებაში უაღრესად ტრაგიკული შედეგები მოჰყვა, რომელთა გამოსწორებას საუკუნეები დასჭირდება.

საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და ახალი პარლამენტის არჩევნების შემდეგ რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის აღიარებულ სუბიექტად იქცა.

თანამედროვე ვითარებაში უაღრესად აქტუალობას იძენს საქართველოს, როგორც ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს, კონსტიტუციური განვითარების სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა.

---

* მხედრიონისა და მისი მეთაურის ჯ.ოსელიანის ფუნქცია ამდროისათვის ჩვენი შეფასებით, და საერთოდ საზოგადოების შეფასებითაც, ორშრიანი იყო: პირველი — პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნვა კანონიერი კონტროლის გარეშე, ხოლო მეორე — მოსახლეობის დაშინება დესტაბილიზაციითა და აზროვნებითი სტერეოტიპის ჩამოყალიბება — სახელმწიფო მეთაურის გადადგომის შემთხვევაში ქვეყნის სათავეში მოექცეოდა მაფიოზურ-კრიმინალური ძალები.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკამ, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა, სწრაფად განვლო ის ეტაპი, როცა მთავარ მიზანს წარმოადგენდა დამოუკიდებლობის მოპოვება და ამის ფორმალურად აღიარება სხვა ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ასევე სწრაფად გაიარა თავისუფლებით გამოწვეულმა ეიფორიამ და პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილური, სამხედრო თუ სოციალურ-კონფლიქტებში ჩათრეული, ორგანიზებული დამნაშავეობის სენით შეპყრობილი ახალი სახელმწიფო — საქართველოს რესპუბლიკა დიდი პოლიტიკის პირისპირ აღმოჩნდა. ბუნებრივია, ამან გამოიწვია ორიენტირების შეცვლა და არა მხოლოდ პოლიტიკური წყობის, არამედ ახალ გარემოში მოხვედრილი ადამიანის მსოფლაღქმის გარდაქმნის აუცილებლობა. კომუნისტურ სივრცეში ჩამოყალიბებული აზროვნება, რომელიც ზემოდან თავსმოხვეულ, იძულებით ინტეგრაციაში კოლონიური პოლიტიკის გამოხატულებას ხედავდა, მსოფლიო ინტეგრაციული პროცესის პირისპირ აღმოჩნდა.

აუცილებელია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ თავისუფლებისა და კოლონიური კომპლექსებისაგან განთავისუფლების შემდეგ, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — საქართველოს სათავეში მყოფი პოლიტიკური ლიდერი წარმატებით იყენებს საქართველოს მოქალაქეობის სტატუსს, როგორც რესპუბლიკის მოსახლეობის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების საიმედო გარანტს, რადგან საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, კულტურული ტრადიციებით, წარმოდგენებით დემოკრატიაზე, ადამიანის თავისუფლებაზე და ა.შ. საკმაოდ განსხვავებულია.

სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის თავმჯდომარე ენერგიულად იღვწოდა რადიკალური პოლიტიკური გარდაქმნების ლოგიკურ დაბოლოებამდე მისაყვანად — საქართველოს რესპუბლიკაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისათვის. მას მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი ანგარიშვალდებული იქნებოდა ამომრჩეველების — ელექტორატის წინაშე და ისიც ხუთ წელიწადში ერთხელ იგულისხმებოდა, რომ მთლიანად საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ხალხისგან მიღებული მანდატი დაიკავდა პრეზიდენტს პარლამენტისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის ჩარევისაგან. პრეზიდენტი უნდა აღჭურვილიყო უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტის განუსაზღვრელი

უფლებამოსილებით, მისი მოქმედების თავისუფლება არ უნდა შეზღუდულიყო შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, სანამდე ელექტორატს მიეცემოდა პრეზიდენტის შეცვლის შესაძლებლობა.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, ასეთ ვითარებაში იგი გადაჭრით მოითხოვდა საქართველოს რესპუბლიკაში მმართველობის პარლამენტური სისტემის დაფუძნებას. ოპოზიციონერთა გატაცება პარლამენტური მოდელით ემყარებოდა მათ იდეალიზებულ წარმოდგენას მმართველობის ინგლისურ სისტემაზე. პარლამენტური მოდელი გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოების ყოვლისშემძლეობას, მაგრამ სინამდვილეში პარლამენტურ რესპუბლიკებში აღმასრულებელი ხელისუფლება აშკარად დომინირებს საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი პარლამენტის გარეშე ნიშნავს თანამდებობის პირებს, ასევე მათ გარეშე შეიმუშავებს საგარეო პოლიტიკურ კურსს, უფლებამოსილია გამოაცხადოს ომი პარლამენტის სანქციის გარეშე, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს პარლამენტში მათი შემდგომი რატიფიკაციის გარეშე და ა.შ. მაშასადამე, როგორც შენიშნავს ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი არტურ შლეზინგერი უმცროსი, „იგი სარგებლობს აბსოლუტური მონარქის პრეროგატივებით".[1]

დევიდ ლოიდ ჯორჯი ჯერ კიდევ 1931 წელს შენიშნავდა, რომ „პარლამენტის კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მოღვაწეობაზე — წმინდა ფიქციას წარმოადგენს". ეს თემა წინანდელ რეფერენად ეღერს თანამედროვე ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწეების გამონათქვამებში. „ადმინისტრაცია აკონტროლებს პარლამენტს და არა პირიქით... ჩვენ ვცხოვრობთ თეორიულად შეუზღუდველ არჩევითი დიქტატურის უღელქვეშ".[2]

„პარლამენტი, — განაცხადა 1985 წელს სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა დევიდ ოუენმა, — უბრალოდ პაიკია აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ხელში".[3] გარდა ამისა, ინგლისში არ არსებობს ისეთი ინსტიტუტი, როგორც უზენაესი სასამართლოა, რომელიც აღკვეთდა აღმასრულებელი

1. Шлезингер Артур М., Циклы американской истории, М., 1992, გვ. 441.
2. იქვე, გვ. 441.
3. იქვე, გვ. 441.

ხელისუფლების მიერ თავის უფლებამოსილებათა გადამეტების ცდებს.

თუ საკითხის განხილვას წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით მივუდგებით, ხელისუფლების დაყოფაზე დამყარებული მმართველობის სისტემისათვის, სადაც ყოველი ხელისუფლებრივი ფრაქცია თანაბარი პრეროგატივების მქონეა და შეთანხმებულად მოქმედებს, დამახასიათებელია ინერციისა და უმრავლესობის ტენდენცია. ამიტომ ხელისუფლების ერთ-ერთმა შტომ დინამიკურობა უნდა მიანიჭოს მმართველობის პროცესს. თავისი სტრუქტურული მახასიათებლებით ამ როლისათვის უფრო გამოსადეგია აღმასრულებელი ხელისუფლება. სწორედ ეს როლი დააკისრა მას ახლადარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის ხელისუფლების როლის ზრდა ნაკარნახევია ურთულესი სოციალური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე მდგარი დეფორმირებული აგრარულ-სამრეწველო ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყნის მართვის აუცილებლობით. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მრავალი ამ პრობლემათაგანი გადაუჭრელი დარჩება დინამიკური აღმასრულებელი ხელისუფლების შემოქმედებითი, თანმიმდევრული და ენერგიული ფუნქციონირების გარეშე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება ეფექტურად აამოქმედებს მთელ სახელმწიფოებრივ-მმართველობით სისტემას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს — საქართველოს პარლამენტის მიერ პარლამენტის თავმჯდომარე, ე.შევარდნაძე პოლიტიკური პროგრამის შემუშავებაში ფართო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი, თავდაპირველად მისი ხელისუფლება ქმედუნარიანობას მოკლებული იყო. ამასთან, იგი გარემოცული იყო ეგოისტური ინტერესების მქონე მაფიოზურ-კლეპტოკრატიული ჯგუფებით. რის გამოც პრაქტიკულად მოკლებული იყო პოლიტიკური პროგრამის ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობას. ხშირად პარლამენტის თავმჯდომარე მარტოხელა პოლიტიკური მოღვაწის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელსაც თავს დაატყდა მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსით განპირობებული მეტად რთული, თითქმის გადაუჭრელი პრობლემების მოგვარება.

საქართველოს, ალბათ, არასდროს არ ესაჭიროებოდა გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერები, ისე როგორც დღეს. მაგრამ, თავის მხრივ, ლიდერე-

ბიც არასდროს არ საჭიროებდნენ ასე სისხლხორცეულად აქტიურ და განათლებულ მოქალაქეთა მხარდაჭერასა და კონსტრუქციულ კრიტიკას, როგორც ამჟამინდელ ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში. კატასტროფის დაძლევის შესაძლებლობას მხოლოდ ლიდერებისა და სახალხო მასების პოზიტიური ურთიერთქმედება უზრუნველყოფს.

საზოგადოების სოციალური საფუძვლებისა და პიროვნების თავისუფლების შენარჩუნებისათვის მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ ლიდერის მხარდაჭერა აბსოლუტურად აუცილებელია.

ამიტომ დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური ლიდერის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს არა უბრალოდ ეფექტური, არამედ უმრავლესობისათვის მისაღები ლონისძიებების შემუშავება; აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს მოქალაქეთა კონკრეტულ მოთხოვნილებებსა და არა, ე.წ. „ისტორიულ აუცილებლობას". „ისტორიისათვის ადამიანის სიცოცხლე ჩვეულებრივ მხოლოდ წამია, — ამბობდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, — აღუშფოთველი განგებისათვის მწუხარებისა და გაჭირვების რამდენიმე ათწლეული ბევრს არას ნიშნავს, მაგრამ თუ, ამასთან, საზოგადოება მთლიანად სწორი მიმართულებით მოძრაობს... მე მომენტით ნაკარნახევი მიზანშეწონილი ლონისძიებების მომხრე ვარ... მე არავითარ შემთხვევაში არ შევწირავ ჩემი თაობის ბედნიერებას მსხვერპლად უკეთილშობილეს პრინციპებს, უმაღლეს ჭეშმარიტებას".[1]

ბუნებრივია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ უმრავლესობის მხარდაჭერისა და ნდობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება პოლიტიკურ ლიდერებს რთული ამოცანების წინაშე აყენებს. ადამიანის ცნობიერების კონსერვატულობის გამო გაძნელებულია დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობის სფეროში ახალი იდეების შეთვისება. თუ მხედველობაში მივიღებთ ტრადიციებსა და ჩვევათა ინერციას, ორთოდოქსალურ შეხედულებებსა და ადამიანურ თვითკმაყოფილებას სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ, ამოცანა, ლიდერმა უმრავლესობას შთააგონოს ნოვატორული იდეები, რომლებიც ახალი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით არის ნაკარნახევი, ძნელად გადასაწყვეტია. ადამიანები ძალზე ხშირად მხოლოდ ზე-

1. Churchill R. W., Companion, Vol. 1, Purt 1, Boston, 1964, p. 668.

წოლის შედეგად ამბობენ უარს ძველ შეხედულებებზე. ნოვატორი — პოლიტიკური ლიდერი არწმუნებს მათ გადასინჯონ თავიანთი შეხედულებები. შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც მან უნდა გადალახოს საკუთარ ცნობიერებაში, საგრძნობლად უფრო ძლიერია უმრავლესობაში, რომელნიც ნოვაციებს ალიქვამენ, როგორც არსებული მართლწესრიგის საფუძვლების შერყევას. ასე რომ რეალურ ცხოვრებაში მთავარი როლი ძირეულ ცვლილებებს ეკისრება, რაც ამხობს ძველს და ღირებულებითი ორიენტაციების შეცვლას იწვევს.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტი: პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების სათავეში დგას (ჩვენს პირობებში პრეზიდენტი), პერმანენტულად იმყოფება მმართველის აპარატის (ადრე სახელმწიფოს მეთაურის, ამჟამად — საპრეზიდენტო აპარატი) ზრდის ცდუნების წინაშე; აპარატისა, რომლის დანიშნულება პრეზიდენტის ობიექტური, მართებული ინფორმაციის ანალიტიკურ ორგანოს წარმოადგენს. გაბერილი აპარატი სრულიად უბრალოდ იქცევა ბუფერად, ერთი მხრივ, პრეზიდენტსა და მთავრობის კაბინეტს შორის; მეორე მხრივ, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის, ხოლო „მრჩეველთა" ვიწრო წრე შუამავლად მოგვევლინება აპარატის სხვა წევრების დიდ ნაწილთან.

პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია ასუსტებს მთავრობის კაბინეტის პოზიციებს. სამთავრობო ორგანო უნდა იყოს გავლენიანი, შედგებოდეს ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიდერებისაგან, რომლებიც მხოლოდ პიროვნული თვისებების გამო სარგებლობენ ავტორიტეტით. პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკამ არ უნდა გადააჭარბოს ისინი უსახო მოხელეთა კონგლომერატად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელისუფლების ანალოგიური კონცენტრაცია ქმნის აგრეთვე საიდუმლოების ატმოსფეროს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რადგან პრეზიდენტის აპარატის თანამშრომლები, მთავრობის კაბინეტის წევრებისაგან განსხვავებით, არ არიან ანგარიშვალდებულნი ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს — საქართველოს პარლამენტის წინაშე.

უდავოა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს ესაჭიროება აპარატი, რათა დროულად და ადეკვატურად გაერკვეს მოვლენათა განვითარების მსვლელობაში, მოახდინოს მთავრობის ღონისძიებათა კოორდინირება და მობილიზება გა-

უკეთოს მოხელეთა გაზრდილ არმიას საპრეზიდენტო ღონისძიებათა განსაზორციელებლად. მაგრამ ამ პოლიტიკური და ადმინისტრაციული აქციებისათვის, ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისია თანაშემწეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტს მიაწვდის სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ადმინისტრაციის ღონისძიებებისა და შიდაპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რათა იგი პერმანენტულად საქმის კურსში იმყოფებოდეს. გაბერილი აპარატი კი, პირიქით, პრეზიდენტს რეალური სამყაროსაგან გამიჯნავს. აპარატი, რომელიც იმდენად არის გაზრდილი, რომ პრეზიდენტის პირადი კონტაქტები მისი თანამშრომლობის უმრავლესობასთან თითქმის შეუძლებელი ხდება, მიმდინარე საქმეებზე პრეზიდენტის კონტროლს კი არ აადვილებს, არამედ საგრძნობლად ართულებს. რიცხობრივ ზრდასთან ერთად აპარატი მოუქნელი და ნაკლებეფექტური ხდება. იგი პრეზიდენტს სულ უფრო მეტ დროს ართმევს, იმის ნაცვლად, რომ ეაათავისუფლოს ზედმეტი საზრუნავისაგან და შექმნას შესაძლებლობა, რათა მან ყურადღების კონცენტრირება ქვეყნის წინაშე წამოჭრილ საარსებო პრობლემებზე მოახდინოს. უფრო მეტიც, პრეზიდენტის მიერ „კედლის“ აღმართვა, რაც მას სხვა სამთავრობო უწყებებისაგან მიჯნავს, ასუსტებს მის ზეგავლენას მმართველობის პროცესის დეპერსონიფიკაციაზე.

პრეზიდენტის აპარატი, ჩვენი აზრით, დამხმარე ორგანოს უნდა წარმოადგენდეს და არა უმართებულოდ გაზრდილ კონგლომერატს — დახმარების მოყვარული მოხელეების — ამბიციური, უკანონო მფარველობა, დიდ ზიანს აყენებს პრეზიდენტის იმიჯს. აპარატი, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს მიჯნავს ხალხისაგან, ხოლო ხალხს — პრეზიდენტისაგან.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მმართველობის ორგანოები ადგილზე და სახელმწიფო აპარატი ცენტრში თითქმის მთლიანად დაკომპლექტებულია ყოფილი პარტიული და კომკავშირული კადრებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს წლებში მოხდება მათი განთესვა. ის ვინც მხოლოდ მოხელეა, ფუნქციონერი ან შემთხვევითი სელმძღვანელია და არა მებრძოლი პიროვნება, ლიდერი, ბუნებრივია, ვერ შესძლებს მაღალი დანიშნულების გამართლებას. რესპუბლიკის ამჟამინდელ სპეციფიკურ ვითარებაში კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი საკმარისი არ არის. საზოგადოებრივ პოლიტიკურ ლიდერებს მოეთხოვებათ ფარ-

თო ერუდიცია, მრავალპარტიულობის პირობებში მუშაობის უნარი და, რაც მთავარია, მაღალადამიანური თვისებები — პატიოსნება, პრინციპულობა, კაცთმოყვარეობა.

ყოველივე ზემოთქმული ნათელყოფს, რომ თუ საყოველთაო-სახალხო არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მყოფი ხელმძღვანელი, პლებისციტარული პოლიტიკური ლიდერი ´ახორციელებს მთლიან კონტროლს სამართალდამცავ ორგანოებზე, არმიასა და საერთოდ ყველა ძალოვან სტრუქტურაზე, მაშინ პლებისციტარული ლიდერის გადაგვარების აშკარა საფრთხე არსებობს. მაქს ვებერის ტერმინები რომ მოვიშველიოთ, ეს არის ცეზარისტული ტიპის პოლიტიკური ლიდერი — ტირანი. „ყოველ რესპუბლიკას ყველა დროს, — სამართლიანად შენიშნავდა ალჰამილტონი, — ჰყავდა თავისი კატილინები და თავისი კეისრები“.[1] ამ ფენომენის ასაცილებლად აუცილებელია პოლიტიკური ლიდერის ´ქმედების გზაზე აღიმართოს ინსტიტუციონალური დამაბრკოლებელი სტრუქტურები, რათა პლებისციტარული ლიდერობის პრინციპი შეუთავსდეს დემოკრატიის შენარჩუნებას. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ერის ცხოვრებამ ფაქტობრივად ორასწლიანი ანექსიისა და ოკუპაციის პირობებში განსაზღვრა პოლიტიკური კულტურის საგრძნობლად დაბალი დონე.

---

1. Шлезингер Артур М., Циклы американской истории, М., 1992, გვ. 71.

დასკვნა

მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ნათელყო, რომ პოლიტიკური ლიდერობის ფენომენი ოდითგანვე სოციალურ მოაზროვნეთა გამუდმებული და ინტენსიური ყურადღების ობიექტს წარმოადგენდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ისტორიული ასპექტით, მკვლევართა უმრავლესობას, საზოგადოების ცვალებადობა-განვითარება გამოჩენილ პიროვნებათა — პოლიტიკური ლიდერობის მონაცვლეობის პროცესად აქვთ წარმოდგენილი.

პოლიტიკურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეხედულებებს პოლიტიკური ლიდერობის შესახებ. სხვადასხვა განსხვავებულ თეორიულ კონსტრუქციათა კომპარატიული (შედარებითი) ანალიზი პოლიტიკური ლიდერობის არსებით ნიშან-თვისებათა დადგენისა და პრობლემის გენეტიკური და სტრუქტურულ-ფუნქციონალური შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს. პოლიტიკური ლიდერობის, როგორც ზოგადი კატეგორიის, არსში ჩაწვდომა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ პოლიტიკური ლიდერობის თავისებურება, მისი განხორციელების ფორმები, მეთოდები, ტიპოლოგია და ა.შ. ზემოხსენებულ ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო პოლიტიკური ლიდერობის კონკრეტულ ფუნქციათა გამოკვლევას და ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფენომენის პოლიტოლოგიურ, ასევე გარკვეული აზრით, სოციოლოგიურ, სამართლებრივ და ფილოსოფიურ შესწავლას.

// პოლიტიკური ლიდერი თავისი ეპოქის შვილია. მოცემული ეპოქის განვითარების კანონზომიერებანი, სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციები, ობიექტური რეალობანი აყალიბებს კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის პიროვნულ, მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს. მას მოცემული ეპოქის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ცხოვრებაში თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პოლიტიკური ლიდერი ამა თუ იმ დიდი სოციალური ჯგუფის — კლასის, ერის, საზოგადოების წარმომადგენელია და, გარკვეული აზრით, მათი ინტეგრატორი და მათი ინტერესების რეალიზატორი. მთლიანობაში კი ეპოქის მოთხოვნები და განვითარების სპეციფიკური თავისებურებანი განსაზღვრავს პოლიტიკურ საზოგადოებრივ საქმიანობასა და ხელ-

დროთა განმავლობაში საზოგადოებათმცოდნეებმა პოლიტიკური ლიდერებისათვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებების, მათი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენის წინაპირობების შესწავლა იწყეს, რომლებიც ყველა ისტორიულ ეტაპზე მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივია პოლიტიკური ლიდერობისათვის. ასე ჩამოყალიბდა ლიდერობის თეორიები, რომლებიც განსხვავებული თვალთახედვითა და სხვადასხვა პოზიციებიდან განიხილავს ლიდერობის ფენომენის წარმოშობის მიზეზებს.

პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული გავრცელება პოვა თვისებათა, სიტუაციის („სიტუაციონიზმი") რელაციურმა ანუ სინთეზურმა, მიმდევრების და სხვა თეორიებმა, რომლებშიც პოლიტიკური ლიდერების ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ-ფსიქიკურ და ფიზიკურ ნიშან-თვისებებთან ერთად დიდი ადგილი ეთმობა სიტუაციის, ისტორიული განვითარების კანონზომიერებებიდან გამომდინარე მომენტების არაადეკვატურ, გადაჭარბებულ შეფასებას.

ზოგიერთმა მკვლევარმა პოლიტიკური ლიდერობის ტიპოლოგიისა და მმართველობის ფორმების სისტემატიზაციაც მოახდინა, ასევე სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანა ტრადიციული, ბიუროკრატიულ-ლეგალისტური, ქარიზმატული, ჩაურეველი პოლიტიკური ლიდერის ცნებები, ავტორიტარული, ტოტალიტარული, დემოკრატიული მმართველობის ფორმების ცნებები. ისტორიულ განვითარების თანამედროვე ეტაპზე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ობიექტური რეალობის გათვალისწინებით სულ უფრო ხშირად დომინირებს ცნება — გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ლიდერი.

არსებითად, პოლიტიკური ლიდერობის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი დომინირებს: გამოჩენილი ისტორიული პიროვნება — პოლიტიკური ლიდერი განსაზღვრავს ურთულეს პროცესს თუ ამ პროცესის განმსაზღვრელია საზოგადოებაში მოქმედი კანონზომიერებანი.

კაცობრიობის ისტორიაში საერთოდ და, კერძოდ, საქართველოს ისტორიაში, მრავლადაა იმის მაგალითები, როდესაც გამოჩენილი პიროვნება, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული დიდი პოლიტიკური და მხედართმთავრული ნიჭიერება, თითქმის არარაობიდან აღადგენდა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალებს. დავით აღმაშენებელმა „ისევე შექმნა

საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო".[1] ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოსა და ქართველობას გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. დიდგორის ველზე ფაქტობრივად საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა და მისი წარმატებით გადაწყვეტა მთლიანად დავით აღმაშენებლის სტრატეგიისა და პოლიტიკოსის დამსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მაგრამ არ ვიქნებით სავსებით ობიექტურნი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ დავით აღმაშენებლამდე საქართველო უკვე გაერთიანების გზაზე იყო შემდგარი. ცალკეული ფეოდალური სამთავროების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ქვეყნის გაერთიანებას მოასწავებდა. ხოლო დავით აღმაშენებლის — უდიდესი პოლიტიკური მოღვაწისა და სტრატეგის — საქმიანობასა და ქვეყნის გაერთიანებას ხელი შეუწყო „ბუნებრივმა ისტორიულმა პროცესმაც", რის შედეგად ძლიერი და აყვავებული საქართველო აღმოცენდა.

საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში მრავლადაა იმის მაგალითებიც, როდესაც „ისტორიის ძალებთან" დაპირისპირებაში" მარცხდებოდნენ გამოჩენილი პიროვნებები. მრავალი ისტორიკოსი შეხებია გიორგი საკაძის პიროვნებისა და ღვაწლის შეფასებას. ეს შეფასებები წინააღმდეგობრივი სასიათისაა. ჩვენი აზრით, მისი პიროვნების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის კონკრეტული ისტორიული პერიოდიც, რომელშიც მოღვაწეობდა იგი. გრანდიოზული იყო გიორგი საკაძის ჩანაფიქრი საქართველოს გასაერთიანებლად, მაგრამ ამ მიზნების განხორციელების გზები და საშუალებები კი მცდარი, რადგან საქართველოს გაერთიანებას იგი ქართველი ხალხის მტრული ძალების საშუალებით ცდილობდა. მას საკუთარ ხალხში შინაგანი ძალების გამონახვის უნარი არ ჰქონდა, რაც ასე ჰარბად გააჩნდათ დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს. გიორგი საკაძის ოცნებამ ფრთები ვერ შეისხა, ვინაიდან ეს უბადლო სარდლური ნიჭიერებით დაჯილდოებული მხედართმთავარი ვერ ითვალისწინებდა იმდროინდელი საქართველოს განვითარების წამყვან და განსაზღვრულ ტენდენციას — ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცებულობის კანონზომიერ პროცესს.

ალსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებული ვითარების

---

1. ლ.სანიკიძე, დედა ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 199 , გვ.

გამო, პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის პრობლემა დღითიდღე მეტ აქ-ტუალობას იძენს. დღეს კიდევ უფრო გაიზარდა პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობა პოლიტიკური კურსის განხორციელების საქმეში. დღემდე სახელმწიფოები წლობით ემზადებოდნენ ომისათვის. ამ აქციის შედეგს წარმოადგენდა რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი (ამის საილუსტრაციოდ გამოდგება პირველი და მეორე მსოფლიო ომები), ხოლო კაცობრიობის ისტორია გარკვეული შეფერხებებითა და ზიგზაგებით მაინც ვითარდებოდა.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალური ომის შემთხვევაში არ იარსებებს გამარჯვებული სახელმწიფოები, ამ შემთხვევაში კაცობრიობას დალუპვა-განადგურების საფრთხე ემუქრება. ყოველივე ამას ემატება ბირთვული პოტენციალის ამოქმედებაც. ყოველივე ეს განუზომლად ზრდის სახელმწიფოთა მესვეურების — საერთო ეროვნული პოლიტიკური ლიდერების — პრეზიდენტების, პრემიერებისა და საერთო ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობას, როგორც საკუთარი ხალხის, ისე კაცობრიობის წინაშე.

ლიდერობის ფენომენის შესწავლის აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება გარდამავალ პერიოდში, რადგანაც პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა, ლოკალური ომები, ეთნოკრიზისები, სეპარატიზმი, გაბატონებულ ტენდენციად იქცა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის, სადაც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას აგრძელებენ, ე.წ. „გარდაქმნილი" პარტოკრატები და, მეორე მხრივ, „ახლადშობილი" პოლიტიკური ლიდერები. ამ თვალსაზრისით უდავოდ კანონზომიერია საქართველოში გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ლიდერების — ზ.გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის პიროვნებებისადმი კომპარატიულ-ისტორიული მიდგომა. მკვლევართა ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის უცილობელი ფაქტი, რომ ზ.გამსახურდია ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარ პიროვნებას წარმოადგენდა და მისი შეცდომები არაკომპეტენტური და ექსტრემისტულად განწყობილი გარემოცვის, ძალზე ხშირად, ანგარებიანი მოტივებით და არა სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნაკარნახევი ინტენსიური ზეწოლის შედეგი იყო.

პოლიტიკის თეორიის მიხედვით პოლიტიკის ხელოვნების უმნიშვნელო-

ვანეს ასპექტს წარმოადგენს პროგნოზირების პროცესი, რაც გულისხმობს არსებული სიტუაციის ადეკვატური და ობიექტური ანალიზის უნარს, ზუსტი დასკვნების გამოტანის და მათ საფუძველზე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და ხდომილებათა შესაძლო ცვალებადობა-განვითარების მოდელის შექმნას. შემდგომში ეს მოდელი ხდება პოლიტიკური კურსის საფუძველი. ამ შემთხვევაში სტრატეგიული შეცდომების დაშვება, როგორც სოციალური ჯგუფებისათვის, ისე საერთოდ ქვეყნისათვის, დამღუპველია.

ასევე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბის პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ მოვლენათა მსვლელობაზე. ხშირად მათ მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის მიღმა სიმართლე კი არა, ძლიერებაა.

ძლიერი განსაზღვრავს პოლიტიკას, მისი ძლიერება კი — მისი პოლიტიკური ხაზის სიწორეს. პოლიტიკური ლიდერის მრავალმხრივი ურთიერთობებიდან განმსაზღვრელია მისი დამოკიდებულება იმ სოციალურ ჯგუფებთან, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენს. მაგრამ ამგვარი ვითარება აუცილებლობით არ განაპირობებს ლიდერის მოღვაწეობის ხასიათს. მხედველობაში უნდა მიღებულ იქნეს პოლიტიკური ლიდერის შედარებითი დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მისი აქტიურობა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გარკვეულწილად სუბიექტური ხასიათი.

РЕЗЮМЕ

Как свидетельствуют научные исследования, феномен политического лидерства с давних пор являлся объектом пристального внимания исследователей.

Это естественно, так как большинством ученых исторические перемены в общественном развитии увязываются со сменой политических лидеров, появлением новых выдающихся личностей.

Политический лидер сын своей эпохи. Закономерности развития данной эпохи, социально-политические тенденции, объективные реальности формируют личностные, спе-

цифические черты конкретного политического лидера. Он занимает свое особое место в общественной, политической, экономической, культурной и государственной жизни.

Политический лидер представитель той или иной большой социальной группы нации, класса, общества и в определенном смысле ее интегратор и реализатор ее интересов. В общем же требования эпохи и специфические особенности развития в определенном смысле определяют общественно-политическую деятельность.

С течением времени обществоведы начали изучение общих свойств, характеризующих политических лидеров вообще на всех исторических этапах, предпосылки их появления на творческой арене.

В политологическом наследии значительное место занимают взгляды о политическом лидерстве.

Компаративный анализ различных теоретических конструкций даст возможность установления существенных свойств политического лидерства, а также генетического и структурно-функционального изучения проблемы. Углубление в проблему сущности политического лидерства как общей категории позволяет определить особенности политического лидерства, формы и методы его осуществления, его типологию и т.д.

В труде значительное внимание уделено исследованию конкретных функций политического лидерства и изучению этого важнейшего политического феномена в политологическом, а также, в определенном смысле, в социологическом, правовом и философском аспектах.

Сформированные таким образом различные теории обоснования лидерства с различных точек зрения и позиций рассматривают причины возникновения феномена лидерства.

В политологической и социологической литературе особое распространение получили теории свойств, ситуации /"ситуационизм"/, реляционная или синтезная, последователей и другие, в которых наряду с интеллектуальными,

психолого-психическими и физическими свойствами политического лидера большое место уделено неадекватным оценкам ситуационных моментов, закономерностям исторического развития.

Ряд исследователей провели систематизацию типологии политического лидерства и форм управления, ввели в научный оборот понятия традиционного, бюрократически-легалистического, харизматического, невмешивающегося политического лидера, понятия авторитарной, тоталитарной, демократической форм управления. С учетом объективной реальности на современном этапе исторического развития в политической литературе все чаще муссируется понятие "политический лидер переходного периода".

В сущности, о политическом лидерстве доминируют два различных взгляда: выдающаяся историческая личность политический лидер определяет сложный процесс общественного развития или этот процесс определяют действующие в обществе закономерности.

В истории человечества вообще и, в частности, в истории Грузии найдется много примеров того, когда выдающийся деятель, гармонически сочетающий в себе большой политический и полководческий талант, почти из ничего, можно сказать, из пепла, восстанавливал политические и экономические силы своего государства. Давид Строитель "так же создал Грузию, как бог вселенную".* Это случилось тогда, когда Грузии и грузинам грозила опасность уничтожения, так как обычаи кочевных племен, турок-сельджуков в своей основе противоречили обычаям, нравам и культурному оседлому хозяйству коренных жителей страны. Дидгорская битва фактически решила вопрос существования Грузии и эту победу можно полностью отнести к заслугам Давида Строителя, его стратегии и политике.

Но мы не будем полностью объективны, если не учтем

---

* Л.Саникидзе. Мать история, часть I, Тб., 1986, стр. 124.

то обстоятельство, что еще до прихода к власти Давида Строителя Грузия уже стояла на пути к объединению, что являлось следствием экономического и политического развития отдельных феодальных княжеств. Развитие торговли и ремесел уже само собой подразумевало экономическую связь между различными областями страны, что вело к неизбежной необходимости политического объединения Грузии. В данном случае деятельность Давида Строителя, величайшего политического деятеля и стратега, и "естественный исторический процесс" объединения страны совпали друг с другом, и уже в эпоху царицы Тамары Грузия была единым, сильным и процветающим государством.

В мировой истории и, в частности, истории Грузии множество примеров, когда выдающиеся деятели терпели поражение при противостоянии "историческим силам". Многие историки пытались оценить как личность, так и деятельность Георгия Саакадзе. Эти оценки противоречивы. По нашему мнению, при оценке его личности необходимо учесть тот конкретный исторический период, в котором он жил. Но насколько грандиозными были цели Георгия Саакадзе, настолько неоправданными были пути и средства для их осуществления. Объединить Грузию он пытался с помощью вражеских сил. Он не сумел увидеть и использовать внутренние силы силу собственного народа, что осуществили впоследствии Давид Строитель Георгий V. Мечты Саакадзе не осуществились, так как он не учел ведущих и определяющих факторов развития Грузии того периода, феодальной раздробленности страны.

В заключение можно отметить, что в настоящее время проблема феномена политического лидерства приобретает все большую актуальность в связи с существующей в современном мире обстановкой.

ლიტერატურა

1. ასათიანი მ., თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია, თბ., 1987.
2. ბალანჩივაძე რ., ადამიანის პრობლემა პერსონალიტიკაში; ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწ. II, 1971.
3. ბარამიძე და სხვ., ედუარდ შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში, თბ., 1995.
4. ბრეგაძე ა., ადამიანის არსი და ხასიათი, 1991.
5. ბრეგაძე ა., მარქსიზმი და ეგზისტენციალიზმი გაუცხოების შესახებ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები.
6. ბერძენიშვილი ა., პოლიტოლოგიური სოციოლოგია, თბ., 1995.
7. ბუაჩიძე თ., ნიცშე XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, 1970.
8. გორდეზიანი რ., ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993.
9. ვებერი მ., პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა, თბ., 1994.
10. ვებერი მ., ქარიზმატული ბატონობა, თბ., 1995.
11. კოდუა მ., სოციოლოგიის შესავალი, თბ., 1986.
12. კოდუა ე., სოციოლოგიური ნარკვევები, I და II ნაწ., ობ., 1995.
13. მაკიაველი ნ., „მთავარი", თბ., 1984.
14. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994.
15. ენგელსი ფრ., ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953.
16. მარქსი კ., ენგელსი ფრ., რჩეული ნაწერები, ტ. I, II, III, თბ., 1964.
17. ლენინი ვ., კარლ მარქსი, ტ. 21.
18. ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1977.
19. პლეხანოვი გ., ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, თბ., 1939.
20. პლეხანოვი გ., ისტორიაში მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის, თბ., 1986.
21. ლუტიძე ბ., ისტორიული მატერიალიზმის საკითხები, თბ., 1986.
22. ნიცშე ფრ., ესე იტყოდა ზარათუსტრა, თბ., 1993.
23. პოლიტოლოგიის საკითხები, №1, თბ., 1992.

24. პოლიტოლოგიის საკითხები, №2, თბ., 1992.
25. პოლიტოლოგიის საკითხები, №3, თბ., 1993.
26. პოლიტოლოგიის საკითხები, 2/4, თბ., 1993.
27. რეხვიაშვილი ი., ჯალიაშვილი ჯ., ხოჭოლავა ვ., პოლიტოლოგია, თბ., 1991.
28. სანიკიძე ლ., დედა ისტორია, ნაკვეთი პირველი, თბ., 1986.
29. შევარდნაძე ე., ჩემი არჩევანი, თბ., 1994.
30. შენგელია ხ., პიროვნების ფილოსოფიური პრობლემები, თბ., 1985.
31. ქობალია ი., პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება.
32. ორტეგა ხ. ი. გასეტი., მასების ამბოხი, თბ., 1993.
33. შუბითიძე ვ., აიტები და ფარტაძეები, გაზ. „რუბიკონი", №27, თბ., 1993.
34. შუბითიძე ვ., რევოლუციები, ელიტა და მასა, გაზ. „რუბიკონი", №30, 1993.
35. ჯაფარიძე. შ., პოლიტოლოგია, თბ., 1995.
36. ჯანდა ბერი გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ., 1995.
37. ჰაიდეგერი მ., ყოფიერება და დრო, თბ., 1995.
38. Adorno Th., W, e.a., The authoritarian personality, N7, 1960.
39. Bell D., Notes on authoritarian und Democratic Leadership, in studie in Leadersip n.y. 1950.
40. Blonded I., Political Leaderschip, N. Y. 1977.
41. Bottomore T., Elites and Soviety, N 7, 1964.
42. Christie B., geis F.L., Studies in machiavellianism n.y., 1970.
43. Dahrendorh R:, Geselschaft und Freiheit, Munvhen, 1961.
44. Ehrlich E., Recht und Leben, Munchen, 1967.
45. Fromin E., Escape from freedom, N 7, 1941.
46. Fromm E., Greatness and limitations of Freuds thought, N 7, 1979.
47. Gouldmer A., Studies in Leadership (Ed), N 7, 1950.
48. Hageman W., Vom Mythos der mass, Heidelberg, 1951.
49. Heidegger M., Nietzsches Wort, "Gott ist tot" - in Holz wege, Fa. M., 1957.

50. Heidegger M., Sein und Zeit, Tubingen, 1967.
51. Yaspers K., Vom Ursprung und Ziel der geschichte, Zurich, 1949.
52. Jennings N.N., Leadership und Isolation, N7, 1943.
53. Kutner B., Elements and Problems of Democratic Leader ship, in Studies in Leadership, N 7, 1950.
54. Lasswell N., The analysis of political behavior, L., 1940.
55. Lewin K., The consequences of Authoritarian and Democratic Leaership: in Studies in Leadership, N 7., 1950.
56. Lewin K., The Problem of Minority Leadership, in Studies in Leadership, N 7, 1950.
57. Lessing Th., geschichte als sinngebung dessinnlossen, Munchen, 1979.
58. Lipset S., Leadership and New Social Movements: in Studies in Leadership, N 7., 1950
59. Luhman N., Soziale Systeme, Tr/m., 1984.
60. Michels R., Zur Sociologie des Parteiwesens in der modern Democratic, B., 1970.
61. Mills Ch., Power, politics and People, N 7, 1963.
62. Nietsche F., Nietzsch contra Wagnen, samtl W.; Bd 6, B N7, 1980.
63. Nietsche F., Die frohliche Wissenschaft, samtl W., Bd 3, B N7, 1980.
64. Nisbet R., Tvilight of authority, N 7, 1975.
65. Parsons T., The structure of social action, N7, 1938.
66. Political leadership in industrialized societies / Ed. by Edinger/, N 7., 1976.
67. Rost g. Leadership for dre twenty-first century, N7, 1991.
68. Schumpeter I., Kapitalismus, Socialismus und Demokratie, Bern, 1946.
69. Stogdill R., Handbook of Leadership, N 7,-L., 1974.
70. Toynbre A., Sinn oder Sinnlosigkeit? Fr., a.m/Wien

71. Weber M., Wirtschaft und gesellschaft, Koln-B(wess0, 1964.
72. Weber m. Gesammelte dufsatze zur Wissenshaftsechre. Tub. 1951.
73. White W., The Changing Nature of Political Leadership: in Studies in Leadership /Ed. by Alvin W. Gouldner/ N 7, 1980.
74. Американская социология: перспективы, проблемы, методы, М., 1972.
75. Ананиев Б.Г., Человек как предмет познания, Л., 1968.
76. Ануфриев Е.Г., Социальная роль и активность личности, М., 1971.
77. Архангельский Л.М., Социально-этические проблемы теории личности, М., 1974.
78. Ашин Г.К., Критика современных буржуазных концепций лидерства, М., 1978.
79. Бессознательное. Природа, функции, методы исследования, Тбилиси, "Мецниереба", 1978.
80. Бехтерев В.М., Внушение и его роль в общественной жизни, СПб, 1908.
81. Буслов К.П., Формирование социального в человеке, Минск, 1986.
82. Буева Л.П., Социальная среда и сознание личности, М., 1968.
83. Бутенко А., Политическое лидерство и борьба за власть при социализме в свете задач марксистского обществоведения, Московские новости, 1988, 28 апреля.
84. Васильцов С.И., Фактор лидера в современном политическом развитии, Рабочий класс и современный мир, 1989, 2.
85. Вебер М.; Избранные произведения, М., 1990.

86. Вельдер Р., К вопросу о феномене подсознательной агрессивности. - Журн. "ОНС", 3, 1993.
87. Вико Дж., Основания новой науки об общей природе нации, М., 1940.
88. Гегель Г., Сочинения, М., 1, 1935, т. 3.
89. Дойчер И., Троцкий в изгнании, М., 1991.
90. Демин М.В., Проблема теории личности, М., 1991.
91. Кон И.С., Социология личности, М., 1930.
92. Корнеев С.В., Проблема социальной типологии личности, СПб, 1891.
93. Крутова О.Н., Человек и история, М., 1982.
94. Карлейль Т., Герой и героическое в истории, СПб, 1891.
95. Лебон Г., Психология народов и масс, СПб, 1896.
96. Ливаин С., Кром М., Лидер в тебе, М., 1995.
97. Макиавелли Н., Избранные сочинения, М., 1982.
98. Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2-ое изд., т. 1.
99. Новиков К.А., Свобода воли и марксистский детерминизм, М., 1981.
100. Ортега-и-Гассет Х., Восстание масс, "Вопросы философии", 1989. 3,4.
101. Платон, Теэтет, М., 1936.
102. Психология, Словарь, М., 1990.
103. Рассел Б., История западной философии, М., 1957.
104. Современная западная социология, Словарь, М.,
105. Современная западная философия, Словарь, М., 1991.
106. Тард Г., Общественное мнение и толпа, М., 1902.
107. Тичи Н., Девонна М.Л., Лидеры реорганизации, М., 1990.
108. История политических и правовых учений, М., 1991.
109. Философский энциклопедический словарь, М., 1983.
110. Франк С., Сочинения, М., "Правда", 1990.

111. Фролов И.Т., Перспективы человека, М., 1983.
112. Хекхфузен Х, Мотивация и деятельность, М., 1986, т. I.
113. Халипов В.Ф., Политический лидер. Каким ему быть? "Партийная жизнь", 1990, 8.
114. Шарипов В.В., Психология класса, Л., 1975.
115. Шлезингер Артур М., Циклы американской истории, М., "Прогресс-Академия", 1992.
116. Штирнер М., Единственный и его собственность, Лейпциг, СПб., 1906.
117. Шевченко Ю.Г., Некоторые вопросы биосоциальной природы человека, М., 1976.
118. Основы политологии /Реферат академического пособия "Наука и политика" под. ред. А.Боджери, Варшава, 1988/, М., 1990.
119. Основы политологии, Курс лекций, часть I, М., 1991.
120. Политология. Материалы к лекциям, Выпуск I, М., 1991.
121. Политология и современный политический процесс, М., 1980.
122. Политология вчера и сегодня, М., 1990.
123. Лекции по политологии, т. I, Таллин, 1991.
124. "Вопросы философии", 1988-1993 отдельные номера.
125. "Социально-политические науки", 1990-1992 отдельные номера.
126. "Партийная жизнь" 1990 отдельные номера.
127. "Полис" - 1991-1993 отдельные номера.
128. "Общественные науки и современность" 1989-1993 - отдельные номера.

შინაარსი

შესავალი 3
თავი პირველი — პოლიტიკური ლიდერის ცნება და
წარმოშობის კონცეფციები 7
თავი მეორე — პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის
ინტერპრეტაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში 25
თავი მესამე — პოლიტიკური ლიდერობის ტიპოლოგია 61
თავი მეოთხე — პოლიტიკური ლიდერობა გარდამავალ
პერიოდში 79
დასკვნა 102
რეზიუმე 106
ლიტერატურა 110

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ე ლ ი ზ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.09.96
საბეჭდი ქაღალდი 60x84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,25
სააღრ.-საგამომც. თაბახი 6,5
ტირაჟი 1000
შეკვეთა № 97
ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი", „კაბადონი"
თბილისი, გურამიშვილის გამზირი 74

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 14